

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი



არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის
თანამედროვე პრობლემები

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი № 11, ISSN 2233-3266

2019

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

გია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ბადრი გორგილაძე

სამეცნიერო - სარედაქციო კოლეგია:

ნინო იმნაძე, ვახტანგ დავითაია, ვლადიმერ ბელოგოლოვსკი, ნოდარ ამაშუკელი, გიგა ბათიაშვილი, დავით აბულაძე, ლევან ბერიძე, გიზო ურუშაძე, ნანული თევზაძე, ზურაბ კიკნაძე, გიორგი სალუქვაძე, გოჩა მიქიაშვილი, ნიკოლოზ შავიშვილი, ნინო ჩაჩავა, ნინო ხაბეიშვილი, ვახტანგ ფირცხალავა, თინათინ ჩიგოგიძე, თენგიზ მახარაშვილი.

პასუხისმგებელი მდივნები : ირმა კოდუა.

საკონტაქტო ტელ: 62-60; 2 33 71 63

E-mail: arch@gtu.ge

რედაქციის მისამართი 0175, თბილისი, მ.კოსტავას 77

Современные проблемы архитектуры и градостроительства

Научно - технический журнал

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР

Г.НАЦВЛИШВИЛИ

ЗАМ. ГЛАВНОГО РЕДАКТОРА

Б. ГОРГИЛАДЗЕ

НАУЧНО-РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ :

Н. ИМНАДЗЕ, В. ДАВИТАИА, В. БЕЛОГОЛОВСКИ, Н. АМАШУКЕЛИ, Г. БАТИАШВИЛИ, Д. АБУЛАДЗЕ, Л. БЕРИДЗЕ, Г. УРУШАДЗЕ, Н. ТЕВЗАДЗЕ, З. КИКНАДЗЕ, Г. МИКИАШВИЛИ, Г. САЛУКВАДЗЕ, Н. ШАВИШВИЛИ, Н. ХАБЕИШВИЛИ, В. ПИРЦХАЛАВА, Т. ЧИГОГИДЗЕ, Т. МАХАРАШВИЛИ.

ОТВЕТСТВЕННЫЙ СЕКРЕТАРЬ И. КОДУА.

КОНТАКТНЫЕ ТЕЛЕФОНЫ :62-60; 2 33 71 63; *E-mail:* arch@gtu.ge

Адрес редакции : Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава 77

Modern problems of Architecture and Town Planning

Scientific and Technical Magazine

EDITOR-IN-CHIEF

G.Natsvlishvili

DEPUTY OF EDITOR-IN-CHIEF

B. Gorgiladze

MEMBERS OF SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD :

N. Imnadze, V.Davitaia, V. Belogolovski, N. Amashukeli, G.Batiashvili, D. Abuladze, L. Beridze, G. Urushadze, N. Tevzadze, Z. Kiknadze, N.Shavishvili, G. Mikiashvili, N. Khabeishvili, V. Pirtskhalava, T. Chigogidze, T. Makharashvili.

Executive secretary

I.Kodua.

Tel: 62-60; 2 33 71 63; *E-mail:*

arch@gtu.ge

Address of editorial office : 77, Kostava Str. 0175, Tbilisi, Georgia

შინაარსი

1. **ბელოგოლოვსკი ვ.** არქიტექტურის კრიტიკის როლი არქიტექტურის განვითარებისთვის6
2. **ბერიძე ლ.** ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის ანგარიში ვიზუალურ-სივრცითი მეთოდით13
3. **ბოსტანაშვილი დ., სალუქვაძე თ.*** ხელოვნების სხვადასხვა დარგთა მუსიკალურობის შესახებ23
4. **გასიმოვა ფ. ქ.** ბაქოს მოდერნიზაცია, როგორც უდიდესი სატრანსპორტო ჰაბის სამხრეთ კავკასიის რეგიონში 2009 – 2019 წლებში34
5. **გალიმჯანოვა ა., გლაუდინოვა მ., ტრუსპეკოვა კ.** დასავლეთ ყაზახეთის რეგიონალური არქიტექტურა: ადგილის იდენტობის კონცეფცია ..46
6. **იმნაძე ნ., ფოჩხუა მ., გაბუნია გ., მჭედლიშვილი ო.** თანამონაწილეობრივი ურბანული დაგეგმარება ჭკვიანი სისტემების გამოყენებით53
7. **კიკნაძე ზ., მაისურაძე მ., ქესანაშვილი ლ.** ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები ლანდშაფტურ დიზაინში62
8. **მელქაძე მ.** დარგის დაკარგული ფანტომები70
9. **ფრანგიშვილი ვ.** რეგიონის განსახლების სივრცითი მოწყობის სქემის დამუშავებისთვის82
10. **ყიფიანი გ.** ძველი სამყაროს არქიტექტურული ლექსიკონი94
11. **ჩაჩავა ნ., ლეკვეიშვილი ნ.** თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა არქიტექტურული მეხსიერების ჭრილში131
12. **ძიძიგური მ.** თბილისის ბოტანიკური ბაღის მე-19 ს-ის მეორე ნახევრის და მე-20 ს-ის დასაწყისში აგებული რამდენიმე ობიექტის შესახებ139
13. **ძიძიგური მ., კვაჭაძე ნ.** აჭარული ჯამე, როგორც ქართული ხითხურობის ძეგლი152
14. **ჭანტურია თ.** „XIX საუკუნის ქ. თბილისის საცხოვრისის არქიტექტურული თავისებურებანი“163

Contens

1. Belogolovsky V.	On the State of Architectural Criticism	6
2. Beridze L.	Calculation of the geometric coefficient of natural lighting visual-spatial method	13
3. BostanaShvili D., Salukvadze T. *	About the musicality of different fields of ART	23
4. Gasimova F.	Development and modernization of Baku city as the largest transportation hub in the southern Caucasus region, in 2009-2019	34
5. Galimzhanova Assiya *, Glaudinova Mekhribanu *, Truspekova Khalima **	REGIONAL ARCHITECTURE OF THE WESTERN KAZAKHSTAN: PLACE IDENTITY CONTEXT	46
6. Imnadze N., Pochkhua M., Gabunia G., Mtchedlishvili O.	Participatory Urban Planning with the Tool of Smart Systems	53
7. Kiknadze Z., Maisuradze M., Kesanashvili L.	Application perspectivs information technologies in landscape design	62
9. Melqadze M.	The Missing Phantoms of the Field	70
10. Prangishvili V.	For the development of regional settlement schemes	82
11. Guram Kipiani	Architectural Dictionary of the Old World	94
12. Chachava N., Lekveishvili N., Lekveishvili M.	The importance of modern digital technologies in the context of architectural memory	131
13. M. Dzidziguri	About several units built in the beginning of the second half of the 19th century and the beginning of the 20th century in Tbilisi Botanical Garden	139
14. Dzidziguri M., Kvachadze N.	Mosques of Adjara “Jame” as monuments of Georgian wooden architecture	152
15. T. Chanturia	Architectural features of the XIX century Tbilisi buildings ...	163

On the State of Architectural Criticism

Belogolovsky Vladimir

I firmly believe that architectural criticism is not an abstraction and must be embraced by everyone in our profession – from practicing architects and university professors to students. Any architectural expression, whether an essay, speculative project, exhibition, or a building, should be conceived as a form of criticism. Every architect must develop a critical position. Architecture is not a thing, architecture is a discourse. Architecture must have a theory.

Today architectural criticism is in crisis. Critics limit themselves to mere descriptions, pure praise, or chose to mobilize to unearth schemes for how projects are financed. Architectural theories are largely ignored. Form-making has become *passé*. Pragmatism and problem-solving. We are missing at least three key conditions in order for architectural criticism to be meaningful and relevant.

One – any criticism must be nonpartisan. The leash between critics and architects' whose work they review is too short. Too often these critics are commissioned not by independent publications but by architects directly. This situation is exasperated by the fact that no longer serious critics can compete with such superficial but more popular topics as lifestyle and tourism. Electronic data suggests that most readers prefer not to be bored by issues that are non-entertaining. Without citing names, we know those former critics who lost their jobs at magazines and are now employed by architects as their public relations agents.

Two – there must be a common system of values and principles, whereas today we are no longer categorical about what is proper and what is unacceptable. Too often architects defend their preferences with capricious “why not?” Architecture has become diverse, uncritical, and even random. No wonder that even the most devoted and scholarly critics have lost their sense of objectivity. We tend to celebrate just about anything; all styles are welcome. Yet, no style can attract our 4consensus. The current proliferation of ideas and testes led to the critics' refusal to discuss aesthetics altogether. They switched to the tangibles: social, economic, technical, ecological, and other aspects. Architecture is good as long as it can

demonstrate good intentions. In such uncritical times just about any architect can become the recipient of the most coveted prize and the most mundane project can land on the cover of the most prestigious magazine. We all noticed this slide of judgment, but we don't hear any objections. Instead, critics are too busy forming their lists, with which they assess whether projects are worthy: on budget – check, public access – check, trees – check, a bench – check, waterless urinals – check.

Three – we no longer have authorities – not among critics, not among architects. We lost confidence in just about everyone. Mies, Gropius, Kahn, Rudolph, Venturi, Ando. These and some other architects' convictions and visions used to be unquestionable. Their values were toppled a long time ago. The pedestal remains empty. The field is now leveled. Anyone can either fall from grace (Richard Meier stepped down as leader of his practice after sexual harassment allegations from his former employees) or rise to the stardom (Bjarke Ingels of BIG whose formulaic approach found unprecedented interest and following), but not everyone will boo or cheer. Everyone is entitled to their opinions. The authorities were replaced by starchitects but the profession's turn away from designing buildings as standalone objects toward built environments and from focus on individual geniuses toward teamwork, already turned all starchitects into former starchitects. What do we have left now? There is still a healthy proliferation of ideas and any form of expression is forgiven for as long as you defend it with a vocabulary that includes words such as social, teamwork, economy, nature, environment. In the age of the image it is the rhetoric that has become more important than anything else. All images blur, while the use of a few key words has gained power.

Our views on the current state of architecture are shaped by a sequence of individual events, significant enough to be referred to as milestones of the profession of architecture. They contribute to our personal and collective judgments, and force us constantly to reassess our convictions and critical positions. Nothing is definitive and conclusive. These milestones help to form a perspective on architectural tendencies in recent years. The following top-ten list features only key events that I find most relevant, but to be sure, there are many others in between that are relevant as well, which require a more detailed study. My list that follows starts in 1997 not because the date represents a watershed moment, but because this list is personal and, therefore, it starts one year after my graduation

from Cooper Union School of Architecture, as in this survey, I did not want to go into history beyond of what I can claim to know first-hand.

1. 1997 – Guggenheim Bilbao became a triumphal achievement not only as a building that contributed greatly to turning around the economy of a whole region, but it also brought new confidence to architects who suddenly realized that from that point on, a building could achieve any form. It triggered so-called Bilbao effect, a rush of city mayors, university presidents, and corporate boards to hire the most artistically talented architects to produce iconic buildings that would attract attention and most importantly – capital.
2. 2001 – terrorist attacks on September 11 toppled the Twin Towers of the World Trade Center in New York. Should the iconic symbol of western civilization be rebuilt exactly the way it was or be replaced by a new vision?
3. 2002 – on December 18 world's most famous architects presented their semifinalist visions of how they saw the heart of New York rebuilt anew. For the first time architecture becomes number one news in the mainstream media, ahead of politics, sports, sex. Architects whose names were mentioned will soon be referred to as the first starchitects. Now the public is not only interested in these architects' buildings but also what they had for breakfast and what kind of eye glasses or boots they prefer. Starchitecture has taken root.
4. 2008 – world financial crisis coincided with the end of the iconic. Two projects for Beijing Olympics, the Bird's Nest by Herzog de Meuron and CCTV by Rem Koolhaas are completed. Koolhaas announces his disinterest in the iconic. Architecture has lost its confidence. Is it all about just another shape? Is eccentric and therefore expensive architecture ethical?
5. 2010-11 Rem Koolhaas curates two exhibitions titled Cronocaos on preservation in Venice and New York to express two opposing views – modernization and conservation. This theorizing leads to two critical realizations: Garazh Contemporary Art Center (Moscow, 2015) and Fundación Prada (Milan, 2016). These buildings set new direction – playing with old buildings of no historical significance. David Chipperfield's Neues Museum in Berlin and Paulo Mendes da Rocha's Pinacoteca do Estado in Sao Paulo, as well as other adaptive reuse projects around the world were all done before, but it was Koolhaas who conceptualized the trend. Architects were given a new repertoire.

6. 2012 – David Chipperfield’s Venice Architecture Biennale asks the key question in recent times – What is our common ground? At the time, common ground was the last thing architects were interested in. Nevertheless, soon everyone begins to align. It is now unfashionable to stand out. In retrospect, 2012 now can be viewed as the absolute peak of creativity. The wings of that creative moment were cut, but perhaps the question of commonality and alignment was inevitable.

7. 2014 – The profession is in disarray. Koolhaas, our most cerebral and ideological architect, was asked to save the profession by directing the next Biennale. but instead of providing the answer to Chipperfield’s existential question he decides to pile up more questions by compartmentalizing everything into categories: doors, windows, roofs, toilets... He breaks architecture into fundamental elements. Everyone goes back to the drawing board. What is architecture? Is there such a thing as consensus possible among contemporary architects? Not aesthetically, to be sure.

8. 2016 – Alejandro Aravena was our last hope. He was asked to direct Venice Biennale that year and even given the Pritzker Prize a few months before the opening to add weight to his status. Four years after we were challenged with the idea of common ground the answer had to be found at any cost. It was presented eloquently in a form of an exhibition at the Arsenale’s entrance pavilion. Aravena’s installation was put together out of seven miles of recycled metal studs and 10,000 square meters of gypsum board, the leftovers from the art biennale the year before. The Biennale that Aravena directed under his slogan “Reporting from the Front” finely turned the course of architecture from the art project it was since the late 1990s to the social project. It was specifically problem-solving that now was elevated above all else. The key message was – let’s address real-life problems, of which the world has plenty of, and put on hold our imagination for dreaming up projects no one any longer needs anyway. Coming from Chile this idea seemed genuine and it was embraced instantly. The critics could now distant themselves from aesthetics that they no longer could understand, while the architects could feel good about themselves, not just make money. It was a win-win situation. The only loser became architecture itself. Why? Because it has become formulaic, impersonal, universal, and overall expected. Actually, it disappeared behind trees, benches, and the old brick walls.

9. 2018 – The world is back to Venice and the biggest prizes are given to curatorial projects, not architectural. The most telling pavilion was British that presented its walls empty and set up a circle of chairs to discuss politics, social behavior, urban planning, technical innovations, and other topics that architects have become the leading experts on. The surrounded empty walls were a telling testament to the fact that debates are stronger than any image, so curators decided not to bother. The Golden Lion Lifetime Achievement went to a historian Kenneth Frampton, not a practicing architect. The attention was now firmly fixed upon the past, not future. Meanwhile, the Chinese pavilion was full of representations of realized projects in cities and villages we never knew existed. The work on display was brilliant, plenty, and unmistakably Chinese. Regional small-scale projects with the use of traditional materials captured the imagination of many international critics.

10. 2019 – Notre Dame lost its iconic roof and spire in negligence fire that was televised globally and became number one news for days. Architects threw themselves to work while the building was still burning. Their super activity was met with criticism. And despite that initially, France pledged to launch an international competition to redesign the spire of Notre Dame and French President Emmanuel Macron promised the nation (and the world) that Notre Dame, “a powerful symbol of France’s history and culture,” will be rebuilt, and it will be “more beautiful than before,” soon French government retracted its decision and sided with the public that associates architecture only with the things of the past. Glass on top of Notre Dame? Cacrelige! Russian-American philosopher, Svetlana Boym once noted, “The *twentieth century began* with utopia and ended with *nostalgia*.” We are now firmly in the 21st century and nostalgia has become our new utopia. We tend to be cautious about the future and are much more comfortable with the past.

If architectural criticism is irrelevant, where do we find meaning in our current production of buildings? We should trust our gut feelings and revisit our most fundamental texts by such architects and critics as Robert Venturi and Denise Scott-Brown, Rem Koolhaas, Herbert Muschamp, Jeff Kipnis, Witold Rybczynski, and Aaron Betsky. We should also not afraid to be ironic about our intentions and revisit such texts as Thom Wolfe’s “From Bauhaus to Our House.” The conversation between architects and critics is important. As soon as you hear prescriptions on

how to do architecture run the other way. Find your own truth. Stay out of comfort zone. Ask questions. What are you afraid of?

I find my truth by engaging with architects directly. The above observations are based on personal experience and my interviews with architects. I follow their intentions and want to know what they are after. Since I have started my interview project in 2002, the architects' rhetoric changed completely. One indicator is based on one particular question I always ask them: What single words would you use to define the kind of architecture you do or want to achieve? The range of answers I have been given is, and even as recently as five years ago I never heard the same term mentioned twice. I repeat – never. Here are some examples: “aligned precision,” “misalignments,” “complexities,” “deep structure,” “self-referential,” “notion of randomness,” “clarity,” “pursuit of ambiguity,” “incomplete,” “provocative,” “fun,” “speed,” and “forget gravity!” When I ask the same question today, whether I am in China, Australia, Mexico, Japan, or Russia, the answers are consistent and singular. The first word I hear almost every single time: “context,” then follows a typical list: “site,” “brief,” “budget,” “nature.” At least as far as our leading architects are concerned, the transition from recently ego-driven to eco-centric architecture is now complete. Buildings that were finished in the last few years no longer can be identified. If every architect asks the same questions, it is only logical that their architecture sooner or later will become indistinguishable.

Resume

Architectural criticism is not an abstraction and must be embraced by everyone in architectural **profession – from practicing architects and university professors to students. Any architectural** expression, whether an essay, speculative project, exhibition, or a building, should be conceived as a form of criticism. Every architect must develop a critical position. Architecture is not a thing, architecture is a discourse. The Problems of today architecture We are missing at least three key conditions in order for architectural criticism to be meaningful and relevant: asence of professional ritics and its forms expansios not to be bored by issues that are non-entertaining.

Our views on the current state of architecture are shaped by a sequence of individual events, significant enough to be referred to as milestones of the profession of architecture.

О роли архитектурной критики в развитии архитектуры

Белоголовский Владимир

Резюме

Архитектурная критика не является абстракцией и должна быть воспринята всеми в архитектурной профессии - от практикующих архитекторов и преподавателей университетов до студентов. Любое архитектурное выражение, будь то эссе, умозрительный проект, выставка или здание, следует понимать как форму критики. Каждый архитектор должен выработать критическую позицию. Архитектура это дискурс.

Проблемы современной архитектуры требуют по меньшей мере три ключевых условия для того, чтобы архитектурная критика была осмысленной и актуальной: неограниченность возможности профессиональных ритуалов и их экспансивных форм, очистка от не определенных вопросов, выявление общей системы ценностей и принципов.

არქიტექტურის კრიტიკის როლი არქიტექტურის

განვითარებისთვის

ბელოგოლოვსკი ვლადიმერ

რეზიუმე

პრაქტიკოსი, თეორეტიკოსი და სტუდენტი არქიტექტორებისათვის არქიტექტურული კრიტიკა არ უნდა იყოს აღქმული, როგორც აბსტრაქცია. ნებისმიერი არქიტექტურული გამოხატულება, როგორცაა: ესსე, ინტელექტუალური პროექტი, გამოფენა ან ცალკე შენობა, უნდა გავიგოთ, როგორც კრიტიკის ფორმა. ყოველმა არქიტექტორმა უნდა გამოიმუშაოს კრიტიკული პოზიცია, არქიტექტურა ხომ დისკუსიაა.

ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის ანგარიში ვიზუალურ-სივრცითი მეთოდით

ლ. ბერიძე
პროფესორი

შენობების და განაშენიანების სწორი დაპროექტებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი განათებულობისა და ინსოლაციის გამართული გაანგარიშების სისტემის არსებობა, რომელიც ეყრდნობა სათანადო ნორმატიულ პარამეტრებს.

ბუნებრივი განათებულობა, რომელიც მოდის დედამიწაზე, არის მზის გამოსხივების ხილვადი სპექტრის ნაწილი. დღისით განათებულობის წყაროს შეადგენს შემდეგი ძირითადი კომპონენტები:

- ა) ცის კამარის გაფანტული შუქი;
- ბ) ირგვლივ მდებარე შენობებიდან არეკლილი შუქი;
- გ) მიწის ქვაფენილი ზედაპირიდან არეკლილი შუქი.

რაც შეეხება მზის პირდაპირ შუქს, იგი მარაგშია და ანგარიშებში არ გაითვა-ლისწინება. აქედან გამომდინარე, რომელიმე ზედაპირის მთლიანი ჯამური განათე-ბულობა შეადგენს აღნიშნული კომპონენტების ჯამია.

ვინაიდან განათების წყარო ცის კამარაა, ბუნებრივი განათებულობა დღის განმავლობაში ცვალებადია. ამ ცვალებადობის რეგლამენტირების მიზნით, შენობების ბუნებრივ განათებულობას განსაზღვრავენ განყენებული საზომი ერთეულით, რომელიც პროცენტებში გამოისახება. ამ ერთეულს *ბუნებრივი განათებულობის კოეფიციენტი (ბ.გ.კ.)* ეწოდება.


ბუნებრივი განათებულობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ განათებულობა სათავსოს საანგარიშო წერტილშია, რა ნაწილს შეადგენს გარე ღია ადგილზე მდებარე თარაზული მოედნის განათებულობისა, როდესაც ეს მოედანი ცის კამარის დიფუზური (გაფანტული) შუქითაა განათებული. ბუნებრივი განათებულობის კოეფიციენტი ნორმირებულია სათავსების ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე.

შენობის სათავსების ბუნებრივი განათებულობის გაანგარიშება ითვალისწინებს ციდან მოსულ გაფანტულ შუქს, მოღრუბლული ან მოწმენდილი ცის სიკაშკაშის არათანაბრობას, ირგვლივ მდებარე შენობებიდან არეკლილ შუქს, მიწის ქვეფენილი ზედაპირიდან არეკლილ შუქს, შუქლიობების შევსების სახეობებს და მინების შუქგამტარობის ხარისხს, სათავსების პროპორციებს და გაბარიტულ ზომებს, ინტერიერის ფერებში გადაწყვეტის თავისებურებებს.


ბუნებრივი განათებულობის საერთო საანგარიშო ფორმულაში ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების მნიშვნელობების უმრავლესობა მიიღება საპროექტო გადაწყვეტებიდან, მოყვანილია სათანადო ცხრილებსა და დიაგრამებში. ცალკე ანგარიშის საგანია ციდან შემოსული გაფანტული შუქი და მეზობელი შენობებიდან არეკლილი შუქი, რომელიც ფასდება **ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტების** სახით.

ამ კოეფიციენტის საანგარიშოდ მსოფლიოში გავრცელებულია სხვადასხვა მეთოდი და გრაფიკი. მაგალითისთვის განვიხილოთ, თუ რა მეთოდიკას იყენებენ რუსეთსა და გერმანიაში.

რუსეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. ა. დანილუკის გრაფიკები. ანგარიშის მეთოდი მოიცავს ორ გრაფიკს: პირველი ცის გუმბათის ვერტიკალური ჭრილია (სურ.1), ხოლო მეორე გრაფიკი მისი პროექციაა ჰორიზონტალურ ზედაპირზე (სურ.2).




სურ. 1 ა.დანილუკის ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის საანგარიშო გრაფიკი №1



სურ. 2 ა.დანილუკის ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის

საანგარიშო გრაფიკი №2

ანგარიში გულისხმობს რომ გამოსაკვლევნი სათავსოს ჭრილი თავსდება 1-ელ გრაფიკზე, ხოლო გეგმა მე-2 გრაფიკზე და დაითვლება სხივების რაოდენობა, რომელიც შემოდის ფანჯარაში (სურ.3).




სურ. 3 ა. დანილუკის გრაფიკების ხმარების წესი


გრაფიკების მოხმარების თითქოსდა სიმარტივეს ახლავს გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, მისაღებ შედეგს ვიღებთ, როდესაც მეზობლად მდგომი შენობები მარტივი გეომეტრიული ფორმისაა და განლაგებულია საანგარიშო სახლის პარალელურად. სხვა შემთხვევაში გაანგარიშების სიზუსტე მკვეთრად ეცემა.

მეორე ტიპის დიაგრამა, რომელსაც იყენებენ გერმანიაში, განკუთვნილია ჰორიზონტალურ ზედაპირზე იმ განათებულობის დასადგენად, რომელიც შემოდის ვერტიკალური შუქლიობებიდან (სურ. 4).

დიაგრამა შეთავსებულია კედლის ხედთან, რომელზეც განლაგებულია შუქლიობები (სურ. 5).



სურ. 4 ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის საანგარიშო გრაფიკი (გერმანია)




სურ. 5 კედლის ხედთან შეთავსებული დიაგრამა

ამ მეთოდით ანგარიშის ჩასატარებლად საანგარიშო ნახაზის მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს დიაგრამის ნახაზს, ან დიაგრამა უნდა გამოიხაზოს სხვადასხვა მასშტაბში, რაც ქმნის გარკვეულ უხერხულობას.

საქართველოში გამოიყენება პროფესორ **ლევან ბერიძის** მიერ დამუშავებული ბუნებრივი განათებულობის ანგარიშის **ვიზუალურ-სივრცითი მეთოდი**.

ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის გამოსათვლელად გამოიყენება საანგარიშო გრაფიკი, რომელიც აგებულია ცის გუმბათის ვერტიკალურ ზედაპირზე პროექციის პრინციპზე (სურ. 6).


ეს მეთოდი არ არის დაკავშირებული მასშტაბთან, მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი სივრცით-მოცულობითი პარამეტრების და განაშენიანებაში თავისუფლად განლაგებული შენობების ანგარიშისთვის.



სურ. 6 ღ. ბერიძის ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის საანგარიშო გრაფიკი (ვიზუალურ-სივრცითი მეთოდი)


საანგარიშო წერტილში ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტი განისაზღვრება ფანჯრიდან ხილული ცის სექტორის და მომიჯნავე შენობების ვიზუალურ-სივრცითი სურათის გათვალისწინებით.

ამ სურათის ასაგებად გამოითვლება ჯერ ფანჯრის და შემდეგ დამჩრდილავი ობიექტების საკვანძო წერტილების ჰორიზონტალური და ვერტიკალური კუთხეები ფანჯრის ნორმალის მიმართ (სურ. 7).



სურ. 7 დაჩრდილვის კონტურის ასაგებად საჭირო ჰორიზონტალური და ვერტიკალური კუთხეების საანგარიშო სქემა

მიღებული კუთხეების გამოყენებით, გრაფიკულად ფანჯრის და მომიჯნავე შენობების კონტურის აგების შემდეგ, საანგარიშო გრაფიკის ბადეზე ცალ-ცალკე გამოითვლება ცის სექტორის და დამჩრდილავი ობიექტების ფართი, რომელიც ფანჯრის ღიობში მოჩანს საანგარიშო წერტილიდან. მიღებული ფართების სათანადო კოეფიციენტზე გადამრავლებით ვიღებთ ციდან შემოსულ პირდაპირ და მომიჯნავე შენობების ფასადებიდან არეკლილი შუქის ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიულ კოეფიციენტებს (სურ. 8).



სურ. 8 ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტების საანგარიშოდ, ლ. ბერიძის გრაფიკზე, ფანჯრიდან ხილული ცის სექტორის და მომიჯნავე შენობების ვიზუალურ-სივრცითი სურათის აგება

ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტების მნიშვნელობების მიღების შემდეგ შეიძლება შენობების სათავსების საანგარიშო წერტილებში ბუნებრივი განათებულობის კოეფიციენტის სრული ანგარიში და მიღებული შედეგის შედარება ბუნებრივი განათებულობის ნორმატიულ კოეფიციენტთან.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ლ. ბერიძე. „არქიტექტურული ფიზიკა“, ელექტრონული ვერსია. 2010 წ. (CD/324). 120 გვ.
2. პროექტირების ნორმები „სამშენებლო კლიმატოლოგია“, (35 01.05-08).
3. А. Гершун. «Метод расчета естественного освещения». Современная архитектура. 1929. № 2.
4. „РАСЧЕТ КОЭФФИЦИЕНТА ЕСТЕСТВЕННОЙ ОСВЕЩЕННОСТИ ПРИ БОКОВОМ ОСВЕЩЕНИИ ПОМЕЩЕНИЯ“ Методические указания к расчетно-графической работе для студентов архитектурных и строительных специальностей. Санкт-Петербург 2007.

რეზიუმე

შენობების და განაშენიანების სწორი დაპროექტებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი განათებულობის გამართული გაანგარიშების სისტემის არსებობა, რომელიც ეყრდნობა სათანადო ნორმატიულ პარამეტრებს. შენობების ბუნებრივ განათებულობას განსაზღვრავენ განყენებული საზომი ერთეულით, რომელსაც ბუნებრივი განათებულობის კოეფიციენტი (ბგკ) ეწოდება.

ბგკ-ს საანგარიშოდ საჭიროა ჯერ ბუნებრივი განათებულობის გეომეტრიული კოეფიციენტის მნიშვნელობის განსაზღვრა. ამისთვის მსოფლიოში იყენებენ განსხვავებულ მეთოდებს და გრაფიკებს. სტატიაში განხილულია სხვადასხვა ქვეყანა არსებული მეთოდები და გაანალიზებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საქართველოში გამოიყენება პროფესორ ლევან ბერიძის ვიზუალურ-სივრცითი გრაფიკული მეთოდი, რომელიც მოკლებულია მნიშვნელოვან ხარვეზებს და შეუძლია დასახული ამოცანების სრული სპექტრის გადაწყვეტა.

სტატიაში კონკრეტულ მაგალითზე მოცემულია ლ. ბერიძის ვიზუალურ-სივრცითი მეთოდით ბგკ-ს გეომეტრიული კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდიკა.

Calculation of the geometric coefficient of natural lighting visual-spatial method

L. Beridze

Resume

To properly plan buildings and construction development, it is necessary to have a well-designed system, based on proper regulatory parameters, for calculating natural lighting. Natural lighting of buildings is determined by the particular unit of measurement, which is called the coefficient of natural lighting (KEO).

To calculate the KEO, it is necessary to first determine the value for geometric coefficient of natural light. For this different methods and graphs are being utilized around the world. The article discusses existing methods used in different countries and analyzes their positive and negative sides.

In Georgia, the visual-spatial graphic method of Professor Levan Beridze is utilized, which is free of any major shortcomings and is able to solve a wide range of tasks.

The article, based on specific example, shows the methodic of calculating the geometric coefficient of KEO by the visual-spatial method of Levan Beridze.

Расчет геометрического коэффициента естественного освещения визуально-пространственным методом

Беридзе Л.

Резюме

Для правильного проектирования и строительства зданий необходимо наличие хорошо продуманной системы расчета естественного освещения, основанной на надлежащих нормативных параметрах. Естественное освещение зданий определяется единицей измерения, который называется коэффициентом естественного освещения (КЕО).

Для расчета КЕО необходимо вначале определить геометрический коэффициент естественного освещения. В статье рассматриваются графические методы, используемые в разных странах, и анализируются их положительные и отрицательные стороны.

В Грузии используется Визуально-пространственный графический метод профессора Левана Беридзе, который способен решать обширный спектр задач.

В статье на конкретных примерах показана методика расчета геометрического коэффициента КЕО визуально-пространственным методом Л. Беридзе.

ხელოვნების სხვადასხვა დარგთა მუსიკალურობის შესახებ

დ. ბოსტანაშვილი

ასოც. პროფ.

თ. სალუქვაძე*

დოქტორანტი

ჩვენ მიერ შემოთავაზებული საკითხი, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუსიკალურობის შესახებ, სიახლე არ არის და ამდენად არ აცხადებს პრეტენზიას განხილვის პირველობაზე, თუმცა ჩვენი მიზანია კიდევ ერთხელ წამოვწიოთ ეს თემა და შევმატოთ ის უმნიშვნელოვანესი, ჯერ კიდევ საკვლევი პუნქტები, რომლებიც დღესაც არსებობს ამ დარგში და რომლის მიმართაც ასეთი დიდი სამეცნირო წრეთა ყურადღება და ხელოვნებათმცოდნეთა ინტერესი.

აანალიზებდა რა თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგს კომპოზიტორი რიჰარდ ვაგნერი, თვლიდა, რომ ისინი შეზღუდულნი არიან თავიანთ შესაძლებლობებში და ამდენად ურთიერთ დახმარების გარეშე უჭირთ მიაღწიონ მაღალმხატვრულობის მაჩვენებელს, იდეალურს. მნელია, არ დაეთანხმო დიდი კომპოზიტორის ამ მოსაზრებას. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნებათა თითოეულ დარგს აქვს თავისი, ინდივიდუალურად მკვეთრი, გამორჩეული მახასიათებელი და ღირებულება, ისინი უდავოდ ერთმანეთთან არიან სინთეზირებულნი საერთო მახასიათებლებისა და გამაერთიანებლის აშკარა გამოვლენით, რამეთუ, მათ შორის აზრებისა და გრძნობების გაცვლის, ურთიერთზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც ყოველ შემთხვევაში ჩამოთვლილს აერთიანებს არის თავად -ხელოვნება.

ის რომ ხელოვნების თითოეული დარგი მონათესავეა, ამას ისტორია საკმაოდ დიდი ხნის წინ ავლენს. ძველი ბერძნული მითი გვიამბობს ცხრა მუზის შესახებ, რომლებიც გვევლინებიან, როგორც ხელოვნების მფარველნი. მსოფლიო ისტორიაში ანტიკურ საბერძნეთში არსებული ცრა მუზის არსებობა ხელოვნების ფილოსოფიის აკვანია. აკვანი იმ უმნიშვნელოვანესი ცნებისა, რასაც ხელოვნების დარგთა ინტეგრაცია და ნათესავობა ჰქვია. მუსიკა, როგორც ხელოვნების დარგთა შორის ყველაზე პრივილეგირებული დამაკავშირებელი. ამჟამად გამოვყოთ მხოლოდ სამი მათგანი, რომლებიც წარმოდგენილნი არიან როგორც უშუალოდ ხელოვნების დარგთა მფარველნი :

1. ევტერპა - ლირიკული პოეზიისა და მუსიკის მუზა. გამოხატავდნენ ფლეიტითა და ლირით ხელში.

2. ერატო - სასიყვარულო სიმღერების მუზა ; მისი ატრიბუტია - კიფარა (ლირის ერთ ერთი სახეობა). ძველი ბერძნული მითოლოგიის პოპულარული პერსონაჟი; ხშირად გამოყენებადი სახე და სიმბოლო ხელოვნებაში.

3. პოლიჰიმნია - წმინდა ჰიმნების, მუსიკისა და ცეკვის მუზა.

გარდა ამისა პოეზიის მუზა - კალიოპა, თეატრის,კომედიისა და ტრაგედიის მუზა - თალია და მელოპომენა, აგრეთვე ცეკვის მუზა - ტერპსიჰორა და ა.შ. როდესაც საუბარია ხელოვნების სხვადასხვა დარგთა მუსიკალურობის შესახებ, ის ასოცირდება ისეთ ცნებებთან, როგორებიცაა „მელოდიურობა, „პოეტურობა“, „ჰარმონიულობა“ და ა.შ. რამეთუ მუსიკა - ეს არის დროისა და კულტურის სული. მუსიკა ეს არის აღსარების ხელოვნება. (1) ხელოვნების ყოველი დარგი თავის ასახვას ჰპოვებს მუსიკაში და ისწრაფვის მუსიკისკენ, როგორც სულიერების უმაღლესი ფორმისაკენ, რაც განაპირობებს იმ პრინციპებს, რომლებსაც სამყაროს კულტურული სურათის ჩამოყალიბება ჰქვია.

მუსიკას ი. გარინი შემდეგი მრავალფეროვანი ეპითეტებით ამკობს:

მუსიკა, როგორც რომანტიკა;

მუსიკა, როგორც შინაგანი სამყარო;

მუსიკა, როგორც ბუნების მჟღერადი სული;

მუსიკა, როგორც ნებისყოფის გამომსახველი;

მუსიკა, როგორც სულის მდგომარეობა;

მუსიკა, როგორც არსებობის ტრაგედია;

მუსიკა, როგორც ცოდვების სიტკბო;

მუსიკა, როგორც კაცობრიობის დემონიზმი;

მუსიკა, როგორც თავდავიწყება, შთაგონება, ჰიპნოზი.

ჩვენ შეგვიძლია განვაგრძოთ ეს ჩამონათვალი :

მუსიკა, როგორც ადამიანის გონების სხვა სამყაროში ტრანსფორმაციის საშუალება;

მუსიკა, როგორც დროის მანქანა, რომელსაც სძალუმს გადაგისროლოს სხვა ეპოქასა და კულტურაში. როგორც წარსულში ისე მომავალში;

მუსიკა, როგორც არამც თუ უნივერსალური ენა, არამედ მეტიც - ჯერ სიტყვით ვერ გამოთქმულის ყველაზე ზუსტი გამოხატვისა და აღწერის უნარის მატარებელი.

თითოეული ჩვენგანი ინდივიდუალურად აღიქვამს ხელოვნების ნიმუშს, გრძნობის, სიტყვის, აზრის, ბგერის, მოძრაობისა და პლასტიკის ფორმების საშუალებით. ინდივიდუალური აღქმა კი ამდიდრებს ჩვენ მიერ დანახული სამყაროს ესთეტიკურ ხედვას. ასეთ დამოკიდებულებას, მხატვრები გადმოსცემენ ფერების საშუალებით. პოეტები სიტყვის ძალით. არქიტექტორები და მოქანდაკენი - წუთიერი მშვენიერების საუკუნოდ დაფიქსირებით. ქორეოგრაფები - ცეკვის პლასტიკით, ხოლო მუსიკა კი აერთიანებს ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილს, მუსიკა წარმოგვიდგება, როგორც ხელოვნების თითოეული დარგის უმთავრესი არსის გამაერთიანებელი, როგორც სილამაზისა და ჰარმონიის წყარო.

ვ. კანდინსკი თვლიდა, რომ სულიერება არ შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ მატერიალური ფორმით. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი უკვდავება და უსაზღვროება.

მოგვიანებით, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ფერწერის მუსიკალურობაზე დაიწყეს საუბარი ფერმწერ-რომანტიკოსებმა. ისინი ცდილობდნენ, რომ მათ ნახატებში მუსიკა ყოფილიყო გადმოცემული და მხატვრული ტილოები გაჯერებული ყოფილიყო მუსიკით, ხოლო ნამუშევრის მუსიკალური ჟღერადობა გადმოეცათ საღებავთა სინთეზის ჰარმონიის მეშვეობით. ჯამში, ფერწერა ეს არის „სახვითი ხელოვნების სახე, რომელიც დაფუძნებულია მხატვრული სახისა და საგნის პირდაპირ, უშუალო ხილულ იგივეობაზე. ამ შესატყვისობას აქვს იდეალური მხატვრული მოცემულობა, რამეთუ წარმოადგენს ადამიანის ცნობიერებაში, სინამდვილის ჭეშმარიტი ასახვის შედეგს“. (2) „მუსიკალურობა“, როგორც ფერწერის თვისების საკითხის შესწავლა სათავეს ანტიკური ეპოქიდან იღებს. პითაგორამ „სფეროთა ჰარმონიის“ სწავლებაში აღნიშნა, რომ მუსიკალური გამის აღნაგობა მკაცრად ექვემდებარება რიცხვით პროპორციებს, რომელიც ყოველი არსებულის ახსნის გასაღებია - კოსმოსის ჩათვლით.

ფერწერაში მუსიკალურობის პრობლემა წამოწეულია, როგორც უცხოელ ისე ჩვენ თანამემამულეთა ნაშრომებსა და სტატეებში, როგორებიცაა: რ. ჩიბურდანიძე და სხვა; ე. დელაკრუას, ა. მატისის, ნ. სუხორიკოვას, ვ. ბანსლოვის, ბ. გალევის ნაშრომები. განსაკუთრებით არსანიშნავია ვ.

კანდინსკის ღვაწლი ფერწერის მუსიკალურობის შესწავლის საკითხში. იგი აღნიშნავს, რომ „თავად ფორმას, თუნდაც ის იყოს სრულიად აბსტრაქტული, გააჩნია თავისი შინაგანი ჟღერადობა. იგი არის სულიერი არსება მაღალი მხატვრული მაჩვენებლით, რომელიც იდენტურია ამ ფორმისა“. (3)

ნ. სუხაროვა თავის სადისერტაციო ნაშრომში „მუსიკალურობა როგორც ფერწერის თვისება“ ეხება ვ. კანდინსკის თეორიულ ნაშრომს, სადაც ამ უკანასკნელს სიღრმისეულად ავითარებს ფორმის „ჟღერადობის“ თვალსაზრისით. დაწყებულს გეომეტრიული პირველწყაროდან, წერტილიდან და ხაზიდან, სადაც წერტილი არის კონკრეტული ფიზიკური მოვლენის შედეგი, ინსტრუმენტისა და სიბრტყის ურთიერთმოქმედებისა, რაც გარდაიქმნება ბგერად. იგი შეიძლება იყოს სმენადი და ჩუმი, რომელიც დამოკიდებულია იმ ძალებზე, რომელიც ერთვის ინსტრუმენტს და მოქმედებს წერტილის ფორმასა და ზომაზე, როგორც გადაადგილების შედეგი: წერტილი, ხაზი იძენს გარკვეულ შინაარსობრივ დატვირთვას მოძრაობითა. ეს არის კომპოზიციისა და რითმის საკითხი. რითმი წარმოადგენს მოძრაობის, დროის, დინამიკის ფაქტორია - ყველაფერს, რაც აახლოებს ფერწერის სტატუტურ ხელოვნებას მუსიკის სივრცეში განშლად ხელოვნებასთან. (2)

ანუ, მუსიკა ასახავს არა მხოლოდ იმას რასაც ჩვენს ვისმენტ, არამედ იმასაც, რასაც ჩვენ ვხედავთ. ე.ი. საქმე გვაქვს ადამიანის გონების ასოციაციური აზროვნების თვისებასთან!

აღორძინების ეპოქის უდიდესი იტალიელი მხატვარი ლეონარდო და ვინჩი მუსიკას მოიხსენიებდა, როგორც „ფერწერის დას“, რამეთუ ეს ორი დარგი, ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით ბევრად მჭიდროდ ვითარდებოდა. ამ ეპოქის მხატვართა ნამუშევრებში გადმოცემულია ისეთი სიუჟეტები, რომლებიც ასახავენ მუსიკასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს. მაგალითად, ამ ეპოქის უდიდესი იტალიელი მხატვრის მიქელანჯელო კარავაჯოს ნამუშევარი (1596 წ.) „ლუტნისტი“ - გოგონას პორტრეტი, რომელიც ბაროკოს ეპოქის სიმებიან ინსტრუმენტზე აჟღერებს მუსიკას. თუ ნახატზე მითითებულ ნოტებს ჩაუკვირდებით, დარწმუნდებით, რომ ისინი სულაც არ არის შემთხვევითი, არამედ წარმოადგენს კომპოზიტორ იაკობ არტადელის მადრიგალი „ რომ მე თქვენ მიყვარხართ“ ბევრი დაწერილა მუსიკისა და ფერწერის მხატვრულ ფერთა შორის მსგავსებაზე. მაგალითად სახვითი ხელოვნების დიდი თეორეტიკოსი და მხატვარი ვ.კანდინსკი თავის ნაშრომში „ხელოვნების სულის შესახებ“ წერს, რომ „ ჰაერისა და სინათლის რხევა არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც აყალიბებს მსგავსებას მხატვრულ ფერთა, შეფერილობათა შორის, და რომელიც აღიქმება სმენითა და მხედველობით“. (3)

მართალია, ვ. კანდინსკის ეს მოსაზრება არის სუბიექტური, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი კვლევები ადასტურებენ, რომ მუსიკასა და ფერწერაში ფერი წარმოგვიდგება, როგორც გრძნობების მატარებელი, რომელსაც ერთდროულად, სმენისა და მხედველობის საშუალებებით აღვიქვამთ.

როგორც ცნობილია, მუსიკაში გრძნობები გადმოიცემა მელოდიის საშუალებით, ხოლო ფერწერაში ამ მისიას ასრულებს ხაზი (ზოლი), ფუნჯის მონასმი. თუ კი ფუნჯის მონასმთა რაოდენობას განვიხილავთ რითმის მნიშვნელობით, მივიღებთ ნახატს დინამიკაში, აღმავალი განცდებით ან პირიქითაც. ასევეა მუსიკაში. რითმი, აღმავალი მელოდია გადმოსცემს სასიხარულო გრძნობებს, დადებით ემოციას. დაღმავალი კი პირიქით. ყოველივე ეს და ასევე სხვა ფაქტორებიც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ აღვნიშნოთ კავშირი მუსიკასა და ფერწერას შორის, რომლის საფუძველიც არის მუსიკალური ბგერისა და მხატვრული ფერის ფიზიკური შესატყვისობა. სწორედ ამ შესატყვისობიდან გამომდინარეობს მხატვრული ერთობა, რომელიც ეფუძნება რითმს, ფორმას, და სხვა მრავალ შემადგენელ კომპონენტს, მთლიანობაში კი - ერთ მთლიან მხატვრულ კომპოზიციას. ამდენად, ლოგიკურია, რომ ის მუსიკალური ნაწარმოებები, რომელთა შექმნის ინსპირაციის წყაროსაც გარკვეული, კონკრეტული მხატვრული ტილო ერთობლივად ჰქმნის საუკეთესო ნიმუშებს. გამომსახველობითი ხელოვნების უმაღლესი მაჩვენებლით. (13)

როდესაც საუბრობენ მუსიკისა და ქორეოგრაფიის ურთიერთობაზე, აქ აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ ხდება მუსიკის ფონზე ტანის მოძრაობითა და სხვადასხვა ილეთების შესრულებით ამა თუ იმ სიუჟეტის გადმოცემა. სხეულის პლასტიკა, სხეულის ენა, ქორეოგრაფია თითქოს და „გვიყვება“ ამა თუ იმ სიუჟეტის შინაარსს, რომელიც გამდიდრებულია მუსიკით. ეს სინთეზი კი ბევრად მოსაუბრესა და მეტყველს ხდის პროცესს. სწორედ ეს არის მუსიკალური ქორეოგრაფია.

მსოფლიოს ხალხთა ცეკვას ყოველთვის აქვს მუსიკალური თანხლება, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ინსტრუმენტის თანხლებით შესრულებული მელოდია ან რიტმული მოცემულობა. მუსიკის თემატიკა გამომდინარეობს ქორეოგრაფიის შინაარსობრივი დატვირთვიდან. მაგალითისათვის, ვალსს ახლავს შესაბამისი ჰაეროვანი მუსიკა. ტანგოს მუსიკა კი აღსავსეა იმ ექსპრესიით, რომელიც ამ რომანტიკულ ცეკვას ცეცხლოვან ელფერს სძენს. როკენროლის მუსიკა გვიყვება იმ პრობლემებზე, რომლებიც იმ ყოფიერების სიუჟეტიდან გამომდინარეობს, რომელსაც ეს ცეკვა ატარებს. ცეკვაში მუსიკა მთლიანად ცვლის სიტყვას. ენაცვლება მას. იგი, სწორედ რომ ტანით „ხატავს“ და წარმოქმნის მხატვრულ სახეს და მაყურებელს აცნობს ამა თუ იმ

ლიტერატურული ნაწარმოების ან მხატვრული ჩანაფიქრის შინაარსს. მუსიკა სწორედ ქორეოგრაფიის, ცეკვის საშუალებით ხდება „ხილვადი“.

ცნობილი გერმანელი მუსიკათმცოდნე კურტ ზაკსი, რომელიც ცხოვრობდა 1881-1959 წლებში, თავის წიგნში „ცეკვის მსოფლიო ისტორია“, რომელიც 1933 წელს გამოვიდა, ცეკვის მთელ ისტორიას სამ ეპოქად ჰყოფს. მენუეტის ეპოქა (1650 – 1750 წწ.); ვალსის ეპოქა (1750 – 1900 წწ.); და ტანგოს ეპოქა (1900 – 1930 წწ). მსგავსი დაყოფა არ არის შემთხვევითი, იგი გვამღევეს საშუალებას დავადგინოთ ის მჭიდრო კავშირები, რომლებიც არსებობს მუსიკასა და ცეკვას შორის ეპოქების შესაბამისად. (4)

აღსანიშნავია ისიც, რომ მუსიკისა და ქორეოგრაფიისთვის, როგორც ხელოვნების ორი დარგისათვის, ორივესათვის დამახასიათებელია, რითმი, როგორც ცენტრალური ელემენტი. რითმი - დაფუძნებული მხატვრულ ენაზე,რამეთუ, მუსიკალური ენა აქტიურად ზემოქმედებს ქორეოგრაფიულ ენაზე, რითიც ამდიდრებს მის გამომსახველობით ხერხებს.

ხელოვნების სხვა დარგებიც ახლოს არიან მუსიკასთან. მაგალითისათვის, ლიტერატურასა და მუსიკას, ისევე როგორც პროზასა და მუსიკას, ბევრი აქვთ საერთო. ორივეს ადამიანი აღიქვამს უშუალოდ სმენის საშუალებით. ვოკალური მუსიკა ხომ სწორედ პოეზიისა და მუსიკის ყველაზე ჰარმონიული სინთეზის ნაყოფია. იგი დაფუძნებულია, ხელოვნების ამ ორი დარგის ისეთ უმთავრეს გამაერთიანებელზე, რომელსაც რითმი ჰქვია. რითმი, როგორც ხერხემალი, წესრიგისა და დახვეწილობის საწყისი. კომპოზიტორები ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების შექმნისას მიმართავენ ხოლმე ლიტერატურულ სიუჟეტებს. ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ შეიქმნა მუსიკალური ხელოვნების განსაკუთრებული შტო - „პროგრამული მუსიკა“. მეტწილად პროგრამულობის პრინციპს საკუთარ შემოქმედებაში მიმართავენ რომანტიკოსი კომპოზიტორები, რომელთა ნაწარმოებებსაც საფუძვლად ედოთ კონკრეტული ლიტერატურული, პოეტური თუ მხატვრული საწყისი. პროგრამული მუსიკა შესრულებული საკრავით მუსიკაა, შექმნილი კონკრეტულ თემაზე (სიუჟეტზე), რომელიც, როგორც წესი, მოცემულია სპეციალურ სიტყვიერ განმარტებასა (პროგრამაში) და ნაწარმოების დასათაურებაში. სიუჟეტი შეიძლება იყოს თვით კომპოზიტორის მიერ შეთხზული, ლიტერატურული ნაწარმოებიდან აღებული, ისტორიული, ყოფითი, ფილოსოფიური და სხვ. პროგრამულობა განსაკუთრებით დამახასიათებელია მუსიკალური რომანტიზმისათვის (გრიგი, შუმანი, მუსორგსკი). მასში ხშირად გამოიყენება ყოფითი ხასიათის მუსიკალური ჟანრები (სიმღერა, ცეკვა, მარში), ბგერწერითი ხერხები მაგ. შუმანის „კარნავალი“, ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონი“ და ჰ. ბერლიოზის

„ფანტასტიკური სიმფონია”, კ. დებიუსის „ღრუბლები” და სხვა. პოეზიისა და პროზის მუსიკალურობას ვერ ჩამოვაყალიბებთ გარკვეული მუსიკალური პარამეტრების ჩამონათვალთ, რადგან სხვადასხვა შემთხვევაში, პროზასა თუ პოეზიაში მუსიკალურობა ზედმიწევნით ინდივიდუალური და კონკრეტული მხატვრული დატვირთვის მატარებელია. შესაძლებელია, მხოლოდ გამოვყოთ საერთო ტენდენციები და მიმართულებები ყოველ ცალკეულ შემთხვევასთან მიმართებით.

სიტყვა და მუსიკა მუდმივად ეძებდა სინთეზის სხვადასხვა გზას. მათი ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე. (5) მუსიკალურობას აქვს გასაოცარი თვისებაც - გადაინაცვლოს მისი სფეროს საზღვრებს გარეთაც. წარმოგვიდგეს მისთვის ასევე დამახასიათებელი, მეტიც, იმანენტური მახასიათებლების სახითაც, როგორცაა რითმი, ინტონაცია, ფორმა, ფერი და სხვა გამომსახველობითი საშუალებები. ამგვარად მუსიკას შესწევს უნარი, იჩინოს თავი სახვითი ხელოვნების სხვა დარგებშიც. მაგალითად - ქანდაკებაში. ცნობილია, რომ ქანდაკების ენა, ისევე როგორც ადამიანის ტანის ენა, ასე თუ ისე წარმოდგენილია სხვადასხვა ბუნების ქესტების კომბინაციებით (ინტენციონალური, ნატურალისტური, წარმოსადგენი და ა.შ. (6)

ნ. პრიადუხა ასევე აღნიშნავს, რომ ქესტი არის შეხებითი, სამაყურებლო, აზრობრივი ანალოგი ინტონაციისა, რომელიც უზრუნველყოფს მჭიდრო კავშირს მუსიკასა და ქანდაკებას შორის. ჩვენი მხრივ, დავამატებთ, რომ ეს კავშირი გამოიხატება აგებულების თანაზომიერების, ჰარმონიისაკენ სწრაფვაში, რომელსაც ჩვენ დაკვირვების შედეგად ვპოულობთ ქანდაკების პროპორციებში.

XX საუკუნის გენიალური არქიტექტორი ლე კორბუზიე წერდა, რომ „ არქიტექტურა და მუსიკა დები არიან. ერთი და მეორეც ჰქმნიან პროპორციებს სივრცესა და დროში”. რომ „ორივესათვის ჩვეულია მატერიალური და სულიერი საწყისები. მუსიკაში ჩვენ ვპოულობთ არქიტექტურას, ხოლო არქიტექტურაში -მუსიკას“. რა საერთო შეიძლება ჰქონდეს არქიტექტურასა და მუსიკას? მუსიკისათვის ჩვეულია სიმეტრია, წონასწორობა, რითმი, ფაქტურული განმეორებითობა, დომინირებული მონაკვეთები. ასევე არქიტექტურისთვისაც. როგორც მუსიკა, არქიტექტურაც თავის თავში შეიცავს რითმულ, ჰარმონიულ და მელოდიურ საფუძველს. (7) ფ. ტ. ფიშერი ამტკიცებდა, რომ მუსიკასა და არქიტექტურაში სილამაზე „ეყრდნობა მხოლოდ პროპორციებს” და „ნათესავობა მათ შორის მდგომარეობს უპირველესად საყოველთაობის ხასიათში, რომელიც

ხელოვნების ამ ორ დარგს სწორედაც რომ განასხვავებს და გამოარჩევს სხვა დანარჩენისაგან”. (8).

The transition to the river recreation from Zhilgorodok was made through a square, creating a kind of closed oasis, suddenly opening onto an open coastal area. The effect of a sharp change in the landscape is enhanced by the sparse composition of the river bank, where the panorama of successive buildings is consistently revealed. The building of the Polyclinic immersed in greenery (1967, reconstruction 2018) supports the exit to the embankment by the vertical accent of the corner tower, its antagonist is the building of the regional Akimat, which fixes the angle of intersection of roads with a semicircular projection of the order portico (1975). The angular location of the office building (originally - House of Culture 1954, reconstruction) sets the front of the embankment, while landing the object creates a connection with the cross street line. The embankment of the river is built up with buildings erected during the sovereignty period: NCOC office (North Caspian Operating Company, 2016) and Atyrau Sports Complex (2000). These buildings support the frontal composition of the embankment development, however, they used other methods of unfolding the coastal zone construction line, which became widespread in the 1990s.

Left Bank of Ural river is organized by important architectural sites with administrative and public facilities. And if the right bank is the place of communication of the Soviet past and the Independent present, then the left bank as a whole is the “place” of modern buildings of the independence period. The silhouette of the left bank is a calm flow of the frontals of buildings of medium and high number of floors. The right bank, on the other hand, is shaped by a dynamic combination of high-rise buildings of a public nature with a higher number of floors. Thus, the intersection of the coastal line with the bridge is marked by high-altitude dominants of three office objects. The ensemble created by them is represented by variations in the style of modernism; these are co-existing objects in a single space, demonstrating different temporal stages of development of this stylistic direction. An example is the active dominant silhouette of the city, revealing in the coastal panorama.

The link in its development was the building of the regional Akimat, the elongated horizontal of which continues the composition of the coastal line, leading to the next dynamic and very interesting ensemble. Unlike the previous one, this ensemble is formed by residential and hotel type objects. Residential complex consisting of two 15 and 17-storey cylinders, completed with penthouse domes. Add here that the domes, identified with traditional architecture, take on a variety of shapes

in the architecture of today's Kazakhstan. We believe that in this example, a contradiction arose between the use of different identities techniques. On the one hand, it uses a technique that reproduces the European traditions of dome architecture - a column portico at the level of the dome drum. Good reception from the point of view of general composition gives lightness to the whole heavy cylinder monolith. On the other hand, the silhouette of a squat dome with a low boom is definitely a paraphrase of the traditional form of the yurt dome. In the overall composition of the residential complex, other classical techniques are also used, such as, for example, the color separation of different functional areas: the two lower floors that have a public character, and the upper technical floor are highlighted in a dark color with a warm shade, while the living area has a bright surface walls.

An associated dialogue is created along the northern and southern banks of the Ural river, although it is somewhat sparse in space. Thus, the southern bank of the river is formed by the contours of single objects, while the northern one shows a return to the ensemble organization of space. Thus, Atyrau is a vivid example of a river city in which the Ural river becomes not just a link in geographical space, it connects or divides the architecture of the Soviet era from the architecture of the Independence period. The identity of this city manifested itself primarily in the "island" character of the location of the main architectural ensembles and groups of buildings, self-sufficient in their style, and also to a greater extent in the diverse ensembles along Isatai Avenue.

A completely different structure of Aktobe city, also located on the river. However, the Sazdy river, due to its small size, does not play such a role as the Ural river in the city of Atyrau, although the large residential area and public center of the city has developed precisely on the coastal territory of a very shallow reservoir. In general, the master plan of Aktobe in 2015 predetermined the development of the city in a westerly direction. Here, on the left bank of the Sazdy river, several new microdistricts were developed: North-Western, South-Western, Batys-2,3. The residential array of these micro-districts is represented by a sectional dwelling of a linear, less often - tower structure, mainly of medium and high number of storeys. The facades of the houses, both in the previously established and in the new districts of the city, received the most varied coloristic solution: from the restrained color scheme to the motley color mixing.

Public architecture is represented by a variety of directions in the mainstream of Modernism, High-tech, variations of Neoclassicism, Postmodernist historicism, including Romanticism. In buildings of the business sector, such as the offices of companies Tengiz, Kazchrome, Kazkommertsbank, and the business center Mir, there are several characteristic techniques of a composite solution depending on the location of buildings. The facades are accented with an angular tower (on columns in the business center "Mir" or monolithic in the building of "Kazkommertsbank"), as well as rhythmic "thickening" of the wall - corrugated (office of the company "Kazchrome").

Thus, the authors of objects of concise modernist aesthetics still turn to the archetypes of traditional architecture, using towers and corrugations.

The main socio-recreational center of the city with significant objects is indicative of its spatial solution: the Park of the First President, the square with the Nur-Gasyr mosque, the Museum of Arts, the Ascension Church. The composition of the park predetermined the self-sufficiency of each of the buildings of the ensemble, which play an independent role from each other. This, perhaps, is the city character of Aktobe, which, despite the presence of the river channel, is still more of a steppe type city, with a stretched spatial composition, not a dense environmental filling.

In Aktau, the Caspian Sea is the main natural city-forming facility for the development of the city. The main roads, respectively, were drawn parallel to the coast line, they were crossed by streets, dividing the city into approximately equal blocks. At the same time several spatial nodes were laid, in different degrees opened to the sea. Difficult terrain influenced the development of the city: the height difference predetermined interesting viewpoints that open up from the intersections closest to the shore.

The intersection of the transverse coastal part of the Stroitel'naya street with the central highway of the city, the avenue of the President of the Republic of Kazakhstan, opens from the northern part to the embankment with a wide square with the established ensemble of Akimat buildings, the House of Culture named after Abay and the hotel "Aktau". During the period of independence, this ensemble was supplemented with several objects, the architecture of which is indicative of the point of view of new searches of the 1990s – 2000s. So, on this southern site, public buildings were erected: the hotel complex "Tumarym", the shopping center "Alatau", the facades of which were solved concisely. The hotel complex, due to the angular location at the intersection, takes the form of a trihedral prism with completely glazed surfaces of the walls. The composition of the flat glazed facades of the shopping center is solved asymmetrically, while the theme of the three circular arches is played out - a kind of message to traditional architecture.

In the construction of the Soviet time new buildings are presented rather fragmentary, then in the actively developing northwestern microdistricts of the city, which appeared on the site of the ambitious project Aktau City, the formation of a new modern environment is observed, in which objects of new identity find their place. Numerous residential complexes, unlike similar buildings of the Soviet period, receive a bright coloristic solution, some of which are unique objects. Thus, the architecture of the Green Plaza residential complex, which closes the current boundary of the new 30th microdistrict, echoes the palazzo motifs. The increased number of floors, the symmetry of the overall linear composition, the horizontal thrust, the curved parapets and the through kiosks fixing the corners on the roof of the residential buildings of the complex create the monumental scale of high-class housing.

The absence of public squares in new microdistricts is significant, even near such important objects as the building “Assembly of People of Kazakhstan” or the “Khan Shahar” celebration hall. These buildings are located at intersections, and, although they have a kurdoner with a rich landscape, however, this is not a city-forming knot, in which highways converge, but only a representative facility located among the ordinary buildings of the city. The architecture of the "Assembly of People of Kazakhstan" building appeals to the classical models and representative objects of the capital (Presidential Center of Culture, Ak Orda). Obviously, the scale and ratio of rhythmically repeated elements used here between themselves create a completely different, more simplified architectural and artistic image.

The three-level structure of the building is united by a central semi-cylindrical form of the entrance, behind which lies the domed hall. The dome in the composition of this structure is much inferior to the facades in importance due to the low landing and hidden from the eye level of the observer of the drum. The building of the “Khan Shakhary” celebration hall is a complex combination of multi-level volumes balanced by the entrance portal – variations of the pediment on stylized columns. The continuous glazing of the main volume of the entrance group is dissonant with the active framing of the order elements, which to a certain extent correlates with the plastic saturation of the side facades. The contradictory nature of the development of a general dynamic, but sprawled composition, is reflected, in our opinion, on the facade of the building.

Thus, the urban environment of Aktau, a unique coastal city for Kazakhstan, is clearly manifested precisely because of its geographical location. Here lies the boundary between the natural principle and the artificially created environment, a meeting of the steppe and the sea landscapes, peculiarly played in the structure of the city. The maximum opening of highways to the sea forms its planning structure oriented towards the coastal zone, which together with the architecture of individual objects form the phenomenon of the merging of two types of environment.

We conclude that for each city in Western Kazakhstan there is a certain “place identity”, due to the peculiarities of the natural environment, geographical location, planning structure, location of the main functional areas, public ensembles and residential development. So, Atyrau city is a vivid example of a river city, with the “island” nature of the location of the main architectural ensembles and groups of buildings. The identity of the Aktobe city is in its “steppe” character, characterized by a stretched spatial composition, sparse medium filling. Aktau city is a fusion phenomenon of the “sea” and “steppe” environment. The urban character that has developed in Atyrau, Aktobe and Aktau, which we examined on the basis of the spatial nature of the objects and their stylistic characteristics, makes it possible to further study the phenomenon of identity with the involvement of materials of a sociological nature, which may be the prospect of further studying this interesting phenomenon.

Literature:

1. Nazarbayev N. Looking to the Future: Modernization of Public Consciousness. Electronic resource: http://www.akorda.kz/ru/events/akorda_news/press_conferences/statya-glavy-gosudarstva-vzglyad-v-budushchee-modernizaciya-obshchestvennogo-soznaniya
2. Norberg-Schulz, C. Genius Loci: Toward a Phenomenology of Architecture. New York: Rizzoli, 1980.
3. Altman, I. and Low, S. Place Attachment. New York: Plenum, 1992.
4. Canter, D. "The facets of place." In Advances in Environment, Behavior and Design. Edited by: Moore, G. T. and Marans, R. W. New York: Springer/Plenum Press, 1997.
5. Devine-Wright, P. and Lyons, E. Remembering pasts and representing places: The construction of national identities in Ireland. Journal of Environmental Psychology, 1997.
6. Hull, B. R., Lam, M. and Vigo, G. Place-identity: Symbols of self in the urban fabric. Landscape and Urban Planning, 1994.
7. Buttimer, A. and Seamon, D. The Human Experience of Space and Place. London: Croom Helm. 1980.
8. Bonaiuto, M., Breakwell, G. M. and Cano, I. Identity process and environmental threat: The effects of nationalism and local identity upon perception of beach pollution. Journal of Community & Applied Social Psychology, 1996.
9. Feldman, R. M. Settlement identity: Psychological bonds with home places in a mobile society. Environment and Behavior, 1990.
10. Lalli, M. Urban-related identity: Theory, measurement and empirical findings. Journal of Environmental Psychology, 1992.
11. Åshild Lappegard Hauge. Identity and Place: A Critical Comparison of Three Identity Theories Pages 44-51 //Journal Architectural Science Review. Volume 50, 2007 - Issue 1.

REGIONAL ARCHITECTURE OF THE WESTERN KAZAKHSTAN: PLACE IDENTITY CONTEXT

**Galimzhanova A,
Glaudinova M,
Truspekova K.**

Resume

The article considers the planning structure and architecture of individual objects of cities in Western Kazakhstan of the Independence period in the context of "place

identity”. As a result of the research, the author’s interpretation of the urban character of the cities of Atyrau, Aktobe and Aktau is proposed.

РЕГИОНАЛЬНАЯ АРХИТЕКТУРА ЗАПАДНОГО КАЗАХСТАНА: КОНЦЕПЦИЯ ИДЕНТИЧНОСТИ МЕСТА

Резюме

Галимжанова А,
Глаудинова М,
Труспекова К.

В статье рассмотрена планировочная структура и архитектура отдельных объектов городов Западного Казахстана периода Независимости в контексте «идентичности места». В результате исследования предложена авторская интерпретация городского характера городов Атырау, Актобе и Актау.

დასავლეთ ყაზახეთის რეგიონალური არქიტექტურა: ადგილის იდენტობის კონცეფცია

ა. გალიმჯანოვა,
მ. გლაუდინოვა,
კ. ტრუსპეკოვა

რეზიუმე

სტატიაში განხილულია დამოუკიდებლობის პერიოდში დასავლეთ ყაზახეთის ქალაქების დაგეგმარების სტრუქტურა და ცალკე ობიექტების არქიტექტურა, ადგილის იდენტობის კონტექსტში. გამოკვლევების შედეგად მოცემულია ავტორთა ინტერპრეტაცია ქალაქების ატირუს, აკტობეს და აკტაუს.

თანამონაწილეობრივი ურბანული დაგეგმარება ჭკვიანი სისტემების გამოყენებით

იმნაპე ნ.

პროფესორი

ფოჩხუა მ.

ასოც. პროფესორი

გაბუნია გ., მჭედლიშვილი ო.

დოქტორანტი

ურბანული განვითარების პროცესებში საზოგადოების ინფორმირება და მათი თანამონაწილეობის შედარებით დაბალი დონე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. თბილისის მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ქალაქის სწორ განვითარებაზე მორგებული სტრატეგია, რათა მოსახლეობის ყველა ფენას შეეძლოს სერვისებზე თანაბარი წვდომა. თუმცა, ურბანული დაგეგმარების ამჟამინდელი პრაქტიკა ძირითადად ხორციელდება მუნიციპალიტეტების მიერ მხოლოდ ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე, რაც ხშირად იწვევს საზოგადოებრივ უკმაყოფილებას. რიგ შემთხვევებში, ნაკლები ყურადღება ექცევა ქალაქის კონკრეტული უბნებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია თანამონაწილეობრივი დაგეგმვის პლატფორმის შექმნა.

არსებული „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომა არაეფექტურია და ვერ უზრუნველყოფს შესაძლებლობებს უბნის მოსახლეობის შესაბამისი ჩართულობისთვის.

ცხადია, თანამონაწილეობრივი ურბანული დაგეგმარება მრავალ ასპექტს მოიცავს, თუმცა დღეს ჩვენი კვლევის მთავარი საგანი არის მოსახლეობაში ამ კუთხით ცნობიერების არასათანადო დონე. მიზანი კი საზოგადოების ჩართულობისათვის სწორი სტრატეგიის შემუშავებაა.

პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით გავაანალიზეთ არაერთი თემატური კვლევა. 2014 წელს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მონაცემების მიხედვით, „გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში“ დამტკიცდა, რომ საზოგადოებაში, უმნიშვნელოვანეს

გამოწვევაა სწორედ ბუნებაზე ზიანის მიყენების ცნობიერების დაბალი დონე წარმოადგენს, რაც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმასა და კომპლექსურ მიდგომებს საჭიროებს. [1]

ასევე აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „დაასუფთავე საქართველოს“- მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით „მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა საქართველოში“ ნარჩენების მთლიანი რაოდენობის 80%-იანი წილი სწორედ საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე მოდის, 15%- ბიზნესზე, 3%- სპონტანურად დანაგვიანებულ ტერიტორიებზე და დარჩენილი 2% სხვა ტიპის წყაროებზე ნაწილდება.

საგანგაშოა, რომ საქართველოში, მუნიციპალური ნარჩენების პოლიგონზე რჩება კრიტიკულად მაღალი მაჩვენებელი 75%, მაშინ როცა, მაგალითად, შვედეთსა და გერმანიაში ეს ციფრი მხოლოდ 1%-ს შეადგენს.[2] [3] [4]

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს მუნიციპალიტეტებში აღებული ვალდებულების თანახმად, 2019 წლიდან დაიწყო ნარჩენების სეპარირება.[2]



სურ. 1 ნარჩენების სეპარირებისთვის განკუთვნილი ურნები. თბილისი. 2019წ.

თბილისში უკვე დაწყებულია სეპარირებული სანაგვე ურნების დადგმა, მაგრამ რაც ზემოთ იდენტიფიცირებულ ძირითად პრობლემაზე მიუთითებს. საზოგადოების დიდი ნაწილი მას გვერდს უვლის და იშვიათად იყენებს. იხ. ფოტო 1.[5]

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები გახდა საბაზი, ურბანისტებისა და არქიტექტორებისგან შემდგარ ჯგუფს (წევრები: ნ. იმნაძე, მ. ფოჩხუა, ნ. ჩაჩავა, გ. გაბუნია. ო. მჭედლიშვილი, ა. ქორთუა, ლ. ძეგველაშვილი) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის,

ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაზაზე დაგვეწყო პრობლემის გადაჭრის საკუთარი ხედვის ძიება.



სურ. 2 ერთი წლის განმავლობაში თბილისის ნარჩენების პოლიგონზე დაგროვილი ნარჩენებისგან აგებული ცათამბჯენი. ავტორი ლევან ძეგველაშვილი.

საჭირო იყო რა მოგვეხდინა საზოგადოების პრობლემის გარშემო მაქსიმალური კონცენტრირება და ჩავვერთო მუნიციპალიტეტი მართვის პროცესში, შევქმენით ერთი ქოლგის ქვეშ არსებული სამი პროექტი:

- მობილური აპლიკაცია;
- მუნიციპალური ანგარიში;
- ჭკვიანი სეპარირების სისტემა. იხ. ილუსტრაცია.

აპლიკაციის ძირითადი მიზანი თანამონაწილეობრივი ურბანული დაგეგმარებაა, სადაც მომხმარებლებს მარტივად შეეძლებათ ქალაქის მთავრობისთვის ახალი იდეების ინიცირება, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა, პეტიციების შექმნა და მისი საშუალებით სასურველ ინიცირებულ პროექტზე ხმის მიცემა, რაც გულისხმობს მოქალაქის აქტიურ ჩართულობას მდგრადი მომავლის დაგეგმარების პროცესებში.

აპლიკაცია პერმანენტულად აკონტროლებს ნარჩენების მართვის სისტემას, აწარმოებს სტატისტიკას და იძლევა სოციალურ ქსელში მომხმარებლის მდგრადობის ინდექსის გაზიარების საშუალებას. მოქალაქეები ჩაებმებიან ერთგვარ შეჯიბრში, თუ ვინ უფრო ნაკლები ზიანი მიაყენა გარემოს, რაც თავისთავად გახდება პრესტიჟულობის ნიშანი.

ინტეგრირებულ, მრავალფენიან რუკაზე მომხმარებლებს შეეძლება ნახონ ისეთი ინფორმაცია, როგორცაა:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები, მათი მიმართულებები და გრაფიკი;
- დროებით წარმოქმნილი საცობი;
- ველობილიკები და ველოპარკინგები;
- ტაქტილური გზები;
- სეპარირებული ურნების ადგილმდებარეობა;
- სასმელი წყლის სოკოები;
- რეტერატები;
- და სხვა...

პირადი ან ფისკალური ნომრის საფუძველზე შეიქმნება მომხმარებლის ანგარიში, რომლის მიზმა შესაძლებელია მოქალაქის პირადობის მოწმობაზე, მეტრომანსა ან სხვა სამგზავრო ბარათზე.

პირველ ეტაპზე მომხმარებელი პირად ანგარიშზე დააგროვებს ქულებს ნარჩენების სეპარირებით, ხოლო სამომავლოდ ქულების გენერირება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა მუნიციპალური აქტივობით. მაგალითად:


- ხეების დარგვით და მოვლით;
- სახურავის, აივნებისა და ტერასების მჭიდრო გამწვანებით;
- მუნიციპალური წყლის დაზოგვით;
- მდგრადი ურბანული განვითარების ინიციატივების შესახებ ქალაქის თვითმმართველობის ინფორმირება;
- და სხვა...

ბარათის მფლობელს დაგროვილი ქულები შეეძლება დახარჯოს შემდეგ სერვისებში:

- კომუნალური გადასახადები;

- მუნიციპალური ტრანსპორტი;
- პარკირების გადასახადი;
- კონსიერჟის მომსახურება;
- სპორტული და კულტურული აქტივობები;
- და სხვა...

ასევე, მდგრადი ურბანული განვითარების უზრუნველსაყოფად საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირება ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევა, რომელსაც მინიმუმამდე დაყავს გარემოზე ზიანის მიყენება და მაღლდება საზოგადოების ცნობიერება - მდგრადობის კუთხით. გარდა იმისა, რომ მცირდება ნაგავსაყრელზე მოხვედრილი ნარჩენების რაოდენობა, გამოიყენებენ მეორად მასალებს, იზრდება ნარჩენების გადამზიდი მანქანების მომსახურების ინტერვალი, უმჯობესდება ურბანული ჰაერის ხარისხი და შესაძლებელი ხდება ბიოგაზის გამომუშავება.



სურ. 3 ჭკვიანი სეპარირების სისტემა. ნახაზი შეასრულა ანდრო ქორთუამ.

ნარჩენების სეპარირების ურნები შესაძლებელია განთავსდეს ერთი ავტომობილისთვის განკუთვნილ პარკირების გაბარიტებში, რომლის მინიმალური სტანდარტია: 5 X 2,5 მ-ზე. მასში მოთავსდება პლასტმასა, მინა,

მეტალი, ქაღალდი, ელემენტები, შინაური ცხოველების ექსკრემენტები და სიგარეტის ნამწვი. ურნა აღიჭურვება ჭკვიანი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით:

- მიწისქვეშა გაბარიტული რეზერვუარები შეამცირებს მისი დაცლის ინტერვალს;
- ლაზერული კონტროლის სისტემა შეატყობინებს საინფორმაციო ცენტრს ურნის ავსებას;
- სენსორული მონიტორის, ხმოვანი სიგნალისა და სანავიგაციო დილაკების მეშვეობით მომხმარებელი შესძლებს სხვადასხვა სახის ოპერაციის შესრულებას;
- მზის პანელები და ელემენტები უზრუნველყოფს მის ენერგოდამოუკიდებლობას.
- საინფორმაციო დაფა წარმოდგენილი ქართულ, ინგლისურ ენებზე და ბრაილის შრიფტით ხელს შეუწყობს საზოგადოების ჩართულობას მდგრადი განვითარების პროცესებში;
- გამწვანებული ზედაპირი ზრდის ურნის ვიზუალურ მიმზიდველობას და ასევე სიმბოლურად ეხმიანება ერთ სულ მოსახლეზე მწვანე საფარის სიმჭიდროვის ნაკლებობას.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი ემსახურება „ჭკვიანი სისტემების“ გამოყენებით მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებლის მაქსიმალურ ამაღლებას ქალაქის დაგეგმარებისა და განვითარების პროცესში, რაც მდგრადი ურბანული განვითარების კომპლექსური პრინციპების დანერგვის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. კვლევა. გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში. თბილისი 2014
<http://www.eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Environmental->

Education/Documents/Publication/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94.aspx

უკანასკნელად გადამოწმებულია 19.06.2019

2. R E P O R T. On Municipal Solid Waste Management in Georgia. 2012

https://www.google.com/aclk?sa=l&ai=DChcSEwiouZ6H0PXiAhVCzBgKHTcWDXkYABAA GgJsZQ&sig=AOD64_0J598gBrD9MiV3m1GqNc81B_h5mA&q=&ved=2ahUKewj4-ZaH0PXiAhUWwsQBHZjWAqQQ0Qx6BAGKEAE&adurl=

უკანასკნელად გადამოწმებულია 19.06.2019

3. Waste Management in Germany 2018 Facts, data, diagrams.

https://www.bmu.de/fileadmin/Daten_BMU/Pool/Broschueren/abfallwirtschaft_2018_en_bf.pdf

უკანასკნელად გადამოწმებულია 19.06.2019

4. M. Nellesa,b,, J. Grünesa, G. Morschecka

Waste Management in Germany – Development to a Sustainable Circular Economy?

University of Rostock, Department of Waste Management and Material Flow, Germany b German Biomass Research Centre gGmbH (DBFZ), Torgauer Straße 116, 04347 Leipzig, Germany. 2012

file:///C:/Users/MARIKA/Downloads/Waste_Management_in_Germany_-_Development_to_a_Sus.pdf

უკანასკნელად გადამოწმებულია 19.06.2019

5. ნარჩენების სეპარირებისთვის განკუთვნილი ურნები. გამოყენებული ფოტომასალა.

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fnetgazeti.ge%2Fnews%2F370002%2F%3Ffbclid%3DIwAR3pT0fFmxkEszp6UUiw5k_KSvJjk9d7E9g7ZhDJKW3w9G5ygnW3yuN07MY&h=AT1h-RAJthz6R2ghCqSIGKgNzDHFHokxNb_056Hp3w8-D9jyQIV-0w4XHboROuNA4PI-Xd0CqbAUcqlhSlzZFIA-wKDbcSiRKTc-vlGiOjcHkoiva_DRiMTW_QgaxjlO9OclJeA

უკანასკნელად გადამოწმებულია 19.06.2019

რეზიუმე

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ურბანულ პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის კვლევას და ქალაქის დაგეგმარების საკითხებში მათი თანამონაწილეობის მართვის სწორი სტრატეგიის შემუშავებას. მოცემულია სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაზაზე სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგები და პრობლემის გადაჭრის საკუთარი ხედვა, რაც ჩამოყალიბებულია ინტეგრირებული სამი პროექტის სახით, კერძოდ:

- მობილური აპლიკაცია;
- მუნიციპალური ანგარიში;
- ჭკვიანი სეპარირების სისტემა.

სტატიის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი შედეგები მიმართულია მდგრადი ურბანული განვითარების კომპლექსური პრინციპების დანერგვისაკენ.

Participatory Urban Planning with the Tool of Smart Systems

N. Imnadze, M. Pochkhua,

G. Gabunia, O. Mtchedlishvili

Resume

The goal of the present article is to research citizens' engagement in urban processes and to develop the right strategy for management of their collaboration. The result of scientific research and the view on problem solving of project team from Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU is given and are established in three integrated project:

- Mobile Application;
- Municipal report;
- Smart Separation System.

Results presented in the conclusion part of the article are directed towards the implementation of complex principles of sustainable urban development.

Соучастное урбанистическое планирование с использованием умных систем

**Имнадзе Н., Почхуа М.,
Габуня Г., Мchedlishvili О.**

Резюме

Данная статья имеет целью исследовать включенности населения в урбанистический процесс и выработку правильной руководящей стратегии их соучастия в вопросах планирования города. Здесь представлены результаты проведённых научных исследований на базе Факультета Архитектуры, Градостроительства и Дизайна ГТУ и личное видение решения проблемы, что приведено в виде трёх интегрированных проектов, в частности:

- Мобильная Аппликация;
- Муниципальный Счет;
- Умная Система Разделения.

Результаты, приведённые в заключительной части статьи, направлены на внедрение устойчивых комплексных принципов урбанистического развития.

**ინფორმაციული ტექნოლოგიების
გამოყენების პერსპექტივები ლანდშაფტურ დიზაინში**

კიკნაძე ზ.,

პროფ.

მაისურაძე მ.,

ასოც. პროფ.

ქესანაშვილი ლ.

დოქტორანტი

ხაზოვანი, სიბრტყითი, მოცულობითი და სხვა ურბანული განვითარების ობიექტების პროექტირების საერთო მეთოდოლოგიური საფუძვლების ფონზე, მნიშვნელოვანია დასაპროექტებელი ობიექტების და მათი მიმდებარე გარემოს, მათთვის დამახასიათებელი სტრუქტურების სპეციფიკის გათვალისწინება და კვლევისა და პროექტირების ადეკვატური ინსტრუმენტარის შერჩევა-დახვეწა.

არქიტექტურული პროექტირების საგანი და მიზანი არის უძრავი ქონების ფორმირება, რომელიც თავის მხრივ შედგება საქალაქო მიწების, შენობა-ნაგებობების, წიაღისა და მრავალწლიანი ნარგავებისაგან. როგორც წესი, არქიტექტურა ოპერირებს ტრიადად ტერიტორია+შენობები+ნარგავები ან დიადებით ტერიტორია+შენობები ან ტერიტორია+ნარგავები ან შენობა+ნარგავები, მაგრამ შემეცნებითი და ორგანიზაციული მიზნებისათვის შესაძლებელია დიფერენცირებული მიდგომა, ანუ განიხილოს ერთი კატეგორია, კერძოდ, მწვანე მშენებლობა (მრავალწლიანი ნარგავები).

დღეის მდგომარეობით, ფაქტობრივად მთელი საპროექტო დოკუმენტაცია და პრეზენტაციები სრულდება CAD (პროექტირება კომპიუტერის საშუალებით) სისტემების გამოყენებით, რადგანაც ეს მოთხოვნა დეკლარირებულია როგორც დამუშავების, ისე შეთანხმებისა და დამტკიცების ეტაპზე.

საერთო და სპეციფიკური დანიშნულების პაკეტებში ძირითადად კმაყოფილდებიან მცენარეების განზოგადებული გამოსახვით ან პირობითი აღნიშვნებით, ე.ი. - ზოგადი შთაბეჭდილების შექმნის მცდელობით. ცნობადობის (ჯიშის, ასაკის, სეზონის მიხედვით) საკითხი ზოგადად CAD სისტემებისთვის ჯერჯერობით პრობლემატურია. რაც შეეხება ლანდშაფტური არქიტექტურისა და მწვანე მშენებლობის ობიექტების საპროექტო

დოკუმენტაციის შექმნის პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორცაა: Landscaping and Desk Designer, Total 3D Landscape Deluxe და სხვა რასტრული პაკეტები, CAD სისტემებთან არაა თავსებადი. ხოლო Autodesk – ის საბაზო პროგრამული უზრუნველყოფა (AutoCAD, AutoCAD Architecture, Land Desktop, 3ds Max და სხვ.) არ შეიცავს რამდენადმე „რეალისტურ“, ცნობად და დენდროლოგიურად ნიუანსირებულ პარამეტრებსა და ბიბლიოთეკებს. Plant Library, Foliage, Landscape, ასევე ArchiCAD-ის ბიბლიოთეკის ელემენტები საჭიროებენ სისტემატურ განახლებას და კონკრეტიზაციას ლოკალური, ტექნოლოგიური, კლიმატური, თემატური, შემეცნებითი და სხვ. ასპექტების მიხედვით. პრობლემის ფორმალური მხარე შეიცავს ე.წ. ბლოკებისა და დინამიკური ბლოკების, დანახვის ვარიანტების (ვიზუალიზაციის სხვადასხვა სტილის) ამორჩევის, Renderi-ის სხვადასხვა ოფციების, ბიბლიოთეკის ფორმირების და სხვა საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას.

მცენარეების მოდელირება CAD სისტემებში, მათ რიცხვში 3ds Max-ში დაკავშირებულია მნიშვნელოვან სიძნელებებთან. პროგრამაში შექმნილი ხე რომ გამოიყურებოდეს რეალისტურად, საჭიროა არა მარტო ხარისხიანი ტექსტურის შერჩევა, არამედ რთული გეომეტრიული მოდელის შექმნაც. 3ds Max-ის ძველ ვერსიებში ასეთი შესაძლებლობა არ იყო. გამოიყენებოდა სხვადასხვა პლაგინები (Plugin) : Tree Storm, Tree Shop, Druid, Multi Scati და სხვ. მე-6 ვერსიიდან არსებობს ინსტრუმენტი Foliage, რომლის საშუალებით ობიექტები პრიმიტივები (მცენარეები) ჩამოიტვირთება ბიბლიოთეკიდან Plant Library. ობიექტს ავტომატურად მიენიჭება მასალა. მცენარეები რომ არ გამოიყურებოდნენ ერთფეროვნად, გამოიყენებოდა პარამეტრი Seed, რომელიც უზრუნველყოფდა ტოტებისა და ფოთლების შემთხვევით (ალბათურ) ხასიათს. რთული გეომეტრიის შექმნის პრობლემა წყდება ისე რომ ყველა ფოთოლი (თუ ყვავილი) წარმოდგენილია ერთი ზედაპირით (სიბრტყით), რომელსაც მიესადაგება ტექსტურა ე.წ. გამჭვირვალობის რუკის (კარტის) მეშვეობით. Render-ის შედეგად ნაწილი სიბრტყისა ხდება უხილავი და ფოთლები იღებენ საჭირო ფორმას.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოტორეალისტური ეფექტი ბოლომდე მიღწეული არ არის, თუმცა პერიოდულად გამოდის ახალი პლაგინები. როგორც წესი, სასურველი შედეგი მიიღწევა Post Production მეთოდებით (მათ შორის, Photo Shopis გამოყენებით).

AutoCAD-ში (ასევე AutoCAD Architecture-ში) ბრძანება Lsnew იძახებს დიალოგურ ფანჯარას Landscape New, რომელიც იძლეოდა ფოტორეალისტური ობიექტების, მათ შორის მცენარეების სცენაში ჩართვის საშუალებას. ბრძანებები Lsedit და Lslib ობიექტების (მწვანე ნარგავების) რედაქტირებისა და მათი ბიბლიოთეკების მართვის საშუალებას იძლეოდა.

ლანდშაფტურ ობიექტზე პროექტირდება რასტრული გამოსახულება. ნახაზზე ობიექტის განლაგება შეიძლება იმართოს ან უშუალოდ „სახელურების“ (Grips) საშუალებით, ან ოფციით View Aligned. Grips-ების საშუალებით ხდება ობიექტის გადატანა, პროპორციის შეცვლა, შემოტრიალება.

ლანდშაფტის ობიექტები მოთავსებულია ფაილში RENDE.LLI. სწორედ ამ ფაილის შეცვლით შეიძლება ახალი ობიექტების შექმნა და ძველის რედაქტირება.

დიალოგური ფანჯრის Landscape Library ოფციის გააქტიურებისას გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა Landscape Library Edit. მასში გამოსახება ინფორმაცია არჩეული ობიექტის გეომეტრიაზე. ზონაში Default Geometry (გეომეტრია წინასწარი შეთანხმებით) შეიძლება არჩეული ობიექტის პარამეტრების Singl Face (ერთი წახნაგი) და Crossing Faces (გადაძვეთი წახნაგები), ასევე პარამეტრი View Aligned (გასწორებულად ჩვენება) ცვლილება. თუ საჭიროა რომ ამ სახელის ობიექტი მიუთითებდეს სხვა გამოსახულების ფაილის ან გამჭვირვალობის რუკას (კარტას), უნდა შეყვანილი იყოს შესაბამისი ფაილის სახელი ან გააქტიურდეს ოფცია Find File (მოძებნე ფაილი), მის მოსაძებნად. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ფაილის სახელის შეცვლა ზონაში Name ახალი სახელის ჩაწერით.

ამ ტექნოლოგიით შექმნილი Landscape ობიექტები ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით, როგორებიცაა:

- რეალისტურობა (სილუეტი და ფაქტურა);
- განათებასთან შეთავსებულობა (იღებს სინათლეს და წარმოქმნის ჩრდილებს);
- რეაგირებს პროექციების ტიპებზე (პარალელური/ცენტრალური);
- ეკონომიურია მანქანური რესურსის ხარჯვაში;
- შეიძლება გამოიყენონ როგორც ფონში, ისე წინა პლანზე;
- შეიძლება გამოიყენონ როგორც ტექსტურის რუკა (კარტა);
- შეიძლება დადგეს ხედვის სიბრტყის მიმართულებით (ან უძრავად, ან რაიმე ფიქსირებული კუთხით);

- შეიძლება სილუეტის გაორმაგება (ჯვარედინი სილუეტი);
- შეიძლება გამოიყენონ როგორც რასტრული გამოსახულება (AutoCAD-ში), დეკოლი (Revit-ში);
- შეიძლება გაფორმდეს და გამოყენებულ იქნას როგორც ბლოკი, დინამიური ბლოკი - AutoCAD-ში, Family - Revit-ში;
- შეიძლება გამოიყენონ იქნეს ფორმალიზებულ ექსპერტიზაში, რეგულირების დოკუმენტებში („ინციდენციის მატრიცის“ პრინციპით - როდესაც ერთი მატრიცის სტრიქონი ხდება მეორე მატრიცის სვეტი, ხოლო გადაკვეთის უჯრედებში მოცემულია შეთავსებულობის პირობები ან შეფასებები);
- ერთეულის (ნარგავის ტიპის შესაბამისი გამოსახულება) მიმართ შეიძლება გამოიყენონ ყველანაირი გარდაქმნები (ტრანსფორმაციები გეომეტრიული გარდაქმნების სახით), როგორც Modify-მენიუს, ასევე უშუალოდ „სახელურების“ (Grips-ის) გამოყენებით;
- პრინციპში ცხრილის მიმართ შეიძლება გამოიყენონ ყველანაირი ოპერაცია („ალგებრა“), რაც რელაციურ ან იერარქიულ მონაცემთა ბაზის მათემატიკურ აპარატს შეიძლება მიეკუთვნოს.

თუ ადრე Landscape ოფციით შემოტანილი ობიექტი ვერ რედაქტირდებოდა ჩვეულებრივი პრიმიტივით, ახლა CAD-ში გაჩნდა 3D დამხმარე ობიექტების შეტანის საშუალებები. ამ ტექნოლოგიის გამოყენებაზეა ორიენტირებული რასტრული გამოსახულებების (კატალოგის ილუსტრაციის) გამჭვირვალობის რუკები. „რასტრული გამოსახულებები“, ყველა მცენარის გამოსახულებას ახლავს ე.წ. გამჭვირვალობის რუკა, რომელიც, როგორც წესი, მუშავდება Photoshop-ში ან Corel Photo Paint-ში. შემდგომში დაწყვილებული ერთსახელიანი (სხვადასხვა ფორმატის: JPEG – Image File, PNG – Opacity Map file) ფაილების შეყვანით ავტომატურ რეჟიმში იქმნება Landscape Library-ის ახალი ობიექტები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ სცენის რეალისტური გამოსახვის დროს.

ტერმინი სცენა გამოიყენება იმის აღსანიშნავად, რომ 3D (სამგანზომილებიანი) ობიექტები განთავსებულია სივრცეში (ტერიტორიაზე) და განათებულია ნებისმიერი ტიპის სინათლის წყაროებით. ხოლო Landscape ობიექტები „რეაგირებენ“ სინათლის რეჟიმზე, ე.ი. იღებენ სინათლეს, იძლევიან ჩრდილს და არ ქმნიან მხოლოდ ილუზიას, რაც დამახასიათებელია არავექტორული პროგრამებისათვის და არ „შეეფერებათ“ ვექტორულ პაკეტებს, რომლებიც „ჭეშმარიტი 3D“ პლატფორმის პრეროგატივაა, როგორც ჩვენ მიერ

განხილული AutoCAD-ის მაგალითია (ცხადია, AutoCAD Architecture ამ მხრივ აბსოლუტურად იდენტურია).

CAD სისტემებში მწვანე ნარგავების ვიზუალიზაცია დღევანდლამდე პრობლემატურია. ეს განპირობებულია ამ კატეგორიის ობიექტების რთული სტრუქტურული აგებულებით. ჭეშმარიტი 3D გამოსახულება გამოიწვევდა კომპიუტერული რესურსების გაუმართლებელ ფლანგვას.

უკვე არსებული მასალებისა და ფერების ერთიანი ბიბლიოთეკის მსგავსად ლოგიკურია, ახლო პერსპექტივაში, განვითარდეს მწვანე მშენებლობის 3D ობიექტების ფორმირება. სავარაუდოდ, 3D სკანირების და ე.წ. ღრუბლების (Cloud) ტექნოლოგიის საფუძველზე.



სურ. 1 ვიზუალიზაციის მაგალითები შესრულებული CAD/BIM ტექნოლოგიის საშუალებით

თანამედროვე პროექტირების BIM ტექნოლოგიები (Building Information Modeling). ინფორმაციული მოდელირება არის პროექტირების, მშენებლობის, აღჭურვის, ექსპლუატაციის, სარემონტო სამუშაოების მიმართ კომპლექსური მიდგომა, რომელიც გულისხმობს პროექტირების პროცესში სრული არქიტექტურულ-კონსტრუქციული, ტექნოლოგიური, ეკონომიური და სხვა

სახის ინფორმაციის შეგროვებას და კომპლექსურ დამუშავებას, როცა მთელი შენობა და ყველაფერი რასაც აქვს კავშირი მასთან, განიხილება, როგორც ერთიანი ობიექტი, წარმოდგენილი პარამეტრული (მონაცემთა, ცოდნათა ბაზის ფორმატით) ჩანაწერით ინფორმაციის კომპიუტერულ მატარებელზე. მნიშვნელოვანია, რომ CAD (მით უმეტეს BIM) პროგრამული პაკეტები აღარ განიხილება, როგორც მხოლოდ კომპიუტერული გრაფიკა, არამედ ოპტიმალური პროექტირების და მართვის უალტერნატივო საშუალება.

აქ არსებითია ის გარემოება, რომ მოდელი და საპროექტო დოკუმენტაცია სრულად იყენებს საერთო მონაცემთა ბაზას (ზოგჯერ ცოდნათა ბაზასაც უწოდებენ), რითაც შესაძლებელი ხდება ე. წ. ორმხრივი ასოცირების მიღწევა, ე.ი. მოდელის (გამოსახულების) კორექტირებისას იცვლება საპროექტო დოკუმენტაცია (სპეციფიკაციები) და პირიქით. მნიშვნელოვანია რომ ასეთი დამოკიდებულება (მიმართება) ხორციელდება პროექტირებისა და ექსპლუატაციის მთელი სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე, რაც საპროექტო საქმიანობაში ხარისხის ამაღლების და რესურსების დაზოგვის ახალ შემოქმედებით და ტექნოლოგიურ დონეზე გადასვლას მოასწავებს.

თანამედროვე მეთოდოლოგიური და ტექნიკური სიახლეების (CAD, BIM) გამოყენების აუცილებლობა სხვა ალტერნატივას არ უტოვებს ლანდშაფტური დიზაინის პრაქტიკას და თეორიას შემეცნებით, საწარმო-შემოქმედებით და სასწავლო-პრპედევტიკურ ასპექტში, რაც დროულად უნდა იყოს გათვინობიერებული და რეალიზებული.

ლიტერატურა :

1. ზ. კიკნაძე, თ. ჩიგოგიძე. თბილისის პერსპექტიული მწვანე მშენებლობის პროექტირების თანამედროვე პარადიგმა. „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი N 8, 9. ISSN 2233-3266. სტუ. 2018. pp.144-152.
2. ვ. არჩვაძე, ზ. კიკნაძე, ე. ქრისტესიაშვილი. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მენეჯმენტის თანამედროვე პარადიგმა (ანალიზი, სინთეზი და შეფასება ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე). „მშენებლობა“ N 4(47). სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი. სტუ, მშენებლობის პროექტირების და ექსპერტიზის ცენტრი .2017. pp.14-18.
3. ზ. კიკნაძე, თ. ჩიგოგიძე. დეკორატიული ნარგავების და მწვანე მშენებლობის ობიექტების CAD სისტემებთან თავსებადი

ილუსტრირებადი ბიბლიოთეკის შედგენის მეთოდოლოგია. დამხმარე სახელმძღვანელო (ელექტრონული ვერსია). სტუ. 2015.

4. ზ. კიკნაძე, თ. ჩიგოგიძე, გ. ხოსრუაშვილი. მწვანე მშენებლობის ფოტორეალისტური ვიზუალიზაციის საკითხები „ბიზნეს-ინჟინერინგი“. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი. ISSN 1512-0538. 2015, N 2. pp. 131-134.
5. მ. ბრელიძე, ზ. კიკნაძე. CAD სისტემების განვითარების ტენდენციები. სტუ-ის შრომები, "მართვის ავტომატიზირებული სისტემები" N1 (12), 2012. pp. 203-209.

რეზიუმე

პროექტირების თანამედროვე მეთოდების განვითარება იძლევა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენების საშუალებას, რაც გამოიხატება ტრადიციული პროექტირებიდან ინოვაციურ, მულტიმედიურ ტექნოლოგიებისკენ მიმართულ ვექტორის არჩევაში: სიმბოლური, პირობითი აღნიშვნების ანუ ანოტაციური მოდელირების დონიდან გეომეტრიული მოდელირების ფოტო-რეალისტური ვიზუალიზაციისა და ე.წ. ინფორმაციულ მოდელირებაზე გადასვლას.

Перспективы использования информационных технологий в ландшафтном дизайне

Кикнадзе З., Маисурадзе М., Кесанашвили Л.

Резюме

Разработка современных методов проектирования дает возможность внедрять и применять новые технологии, которые позволяют переходить от традиционного метода проектирования к инновационному, направленному на мультимедийное моделирование, что выражается в выборе вместо символических условных обозначений к геометрическим, фотореалистической визуализации и т.н. информационному моделированию.

Ключевые слова: архитектура, ландшафтный дизайн, моделирование растений, зеленое строительство, CAD, BIM.

Application perspectives information technologies in landscape design

Kiknadze Z., Maisuradze M., Kesanashvili L.

Resume

The development of modern planning methods enables to implement and utilize new technologies and this is expressed through the shift from traditional design to innovative, focused on multimedia modeling: transition from symbolic, emblematic marks, therefor annotative modeling to photorealistic visualization and so-called informative modeling.

Keywords: architecture, landscape design, recreation modeling, green building, CAD, BIM

დარგის დაკარგული ფანტომები

მ. მელქაძე

ასოც. პროფ.

მოხსენების მიზანია, შეძლებისდაგვარად განვიხილოთ ჩვენ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფორმატის სივრცეში, არქიტექტურის, როგორც დარგის, ზოგადად, და ქალაქგეგმარების, როგორც ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებლური მიმართულების მდგომარეობა.

ის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც არსებობს ქვეყანაში დაწყებული მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, თავის დაღს ასვამს ჩვენს პროფესიას, რაც განსაკუთრებით ემჩნევა ქალაქს, მისი განვითარების დინამიკაში.

ამ კონტექსტში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქალაქგეგმარებითი ინოვაციები, არა თუ ჩვენი ქვეყნისთვის არის ეკონომიკურად ძნელად დასაძლევია პრობლემა, არამედ იგი იყო და არის ყველა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი გასაღები, რაც ეკონომიკურად მძიმედ ასაწევი ტვირთია.

ამ სიტყვების მტკიცებულებად სტატიაში იქნება აღწერილი ნიუ-იორკის სამოქალაქო ცენტრის იდეის შექმნისა და აზრობრივი ჩამოყალიბების პროცესი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სტატიაში მოცემული თემა განიხილება შემდეგ ქვეთავებში:

1. პრეამბულა - აქტუალობა: სადაც განიხილება ჩვენი ქვეყნის სოციალური პრობლემები და მასთან მიბმული მოსახლეობის მიგრაციის დარგების, მათ შორის არქიტექტურის განვითარების საკითხები;
2. ისტორიული ექსკურსი: არქიტექტურაში სამართლებრივი დოკუმენტების ჩამოყალიბების კონტექსტში ქალაქგეგმარებითი იდეების წარმოქმნის დინამიკა (პარიზი, ნიუ-იორკი);


3. განსჯა: იდეა-კონცეფციის, როგორც გამაერთიანებლის როლი ქალაქური სივრცის განვითარება-ჩამოყალიბებაში;
4. დასკვნა-ფუნქციონირების ე.წ. კანონმპყრობელთა - ფუნქცია და როლი ქალაქგეგმარების, როგორც არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ვექტორის მინიმალიზაციის პროცესში.

განსჯა

ქალაქგეგმარებითი თუ მოცულობითი პროექტის კონცეფციის შემადგენლობებია:

1. მიზანი - რატომ?
2. სად? - დისლოკაცია;
3. რა?- შინაარსი;
4. როგორ? - მეთოდი.

მიზნის არსებობა, როგორც ბუნებრივი და ლოგიკური ფაქტორი, ჩვენ ქვეყანაში არ იკვეთება, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის დღემდე ჩამოყალიბებული მიწათმოწყობის საკითხი და იდეის ბუნდოვანება !!!




სურ. 1 პარიზის ოსმანისეული რეკონსტრუქცია

აღნიშნული მოცემულობის საპირისპიროდ უნდა განვიხილოთ 1852-1870-იან წლებში პარიზის ოსმანისეული რეკონსტრუქცია. საბჭოური მკვლევარების მიერ გაკრიტიკებული ნაპოლეონ III-ის პარიზის რეკონსტრუქციის მიზეზები, დღეს ჟღერს ძალიან აქტუალურად და უაღრესად პოლიტიკურ-ეკონომიკურად. შესაბამისად, ქალაქგეგმარებითად სწორად და გამართლებულად!!!

კერძოდ,

1. გაიყვანეს მარგინალური (პროლეტარული) მოსახლეობა ცენტრალური კვარტლებიდან და გადაგეგმარდა-გაქრა ძალიან ვიწრო ქუჩები, რაც მოსახერხებელი იყო ბარიკადების მოსაწყობად.
2. სწორი გაბარიტების მოწყობით გაადვილდა იმდროინდელი სამხედრო ტექნიკის გადაადგილება პლებსის აჯანყების ჩასახშობად.
3. შეიქმნა სამუშაო ადგილები მშენებლობაზე უმუშევართა დასასქმებლად, რითაც შემცირდებოდა უმუშევრობა დედაქალაქში.
4. სატრანსპორტო და ჰიგიენური მდგომარეობის გარკვეულწილად გაუმჯობესება, სწრაფად განვითარებადი და მზარდი ქალაქის პირობებში წარმმართველი იყო.

იგივე კონტექსტში შეიძლება განიხილოს ნიუ-იორკის 60-70-იანი წლების მთავარი სამი ქალაქგეგმარებითი ობიექტებიდან:



სურ. 2 ლინკოლნის თეატრალური ცენტრი

1. ლინკოლნის თეატრალური ცენტრი;
2. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი;
3. ნიუ-იორკის საერთო საქალაქო მუნიციპალური ცენტრი.

ჩვენი განხილვის საგანი, აღნიშნული პროექტებიდან ყველაზე ძნელად განსახორციელებელი პროექტი ნიუ-იორკის საერთო საქალაქო მუნიციპალური ცენტრია.

ცენტრის შექმნის იდეა გაჩნდა იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის შენობა, როგორც რატუმა უკვე მოძველებული იყო და ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს.

მუნიციპალური ცენტრის განხორციელებისთვის 1963-1969 წლებში გამოიყო 150 მილიონი დოლარი. რაც ნათლად ადასტურებს, რომ ქალაქგეგმარებითი პროექტები და მათი განხორციელება მსხვილ ფულად დაბანდებასთანაა დაკავშირებული, რაც მძიმე ტვირთია ისეთი ქვეყნისთვისაც კი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია.

როგორც ივანე ბუნიინი ამბობს: „ქალაქგეგმარების ისტორია ცხადყოფს, ცენტრალური ანსამბლი მხოლოდ მაშინ ხდება ქალაქის წამყვან კომპლექსად, როდესაც ის თავისთავში აერთიანებს, როგორც სწორად არჩეულ ადგილმდებარეობას, ისე დიდსა და უცილობელ მხატვრულ-არქიტექტურულ გადაწყვეტას.“



სურ. 3 თავისუფლების მოედანი, რუსთაველის გამზირი

ამ თეზისის ბრწყინვალე ილუსტრაციაა ჩვენი დედაქალაქის ორი ცენტრი: თავისუფლების მოედანი და რუსთაველის გამზირი, მარჯანიშვილის მოედანი და აღმაშენებლის გამზირი.



სურ. 4 მარჯანიშვილის მოედანი

აღსანიშნავია, რომ ორივე გამზირი ყალიბდება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, მოედნები კი ყალიბდება მოგვიანებით მე-20 საუკუნის 50-იან წლებში იმავე სახით, რაც დღეს. (ავტორები: მარჯანიშვილის მოედანი - გივი მელქაძე, რუსთაველის მოედანი - შოთა ყავლაშვილი).

ორივე გამზირი არის ბრწყინვალე მაგალითი უბადლოდ არჩეული ადგილისა და ბრწყინვალე მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტისა და რაც მთავარია ნათლად ჩანს გამაერთიანებელი იდეა - სად, რა და როგორ!!!

ტოკიო

ახლა გავიხსენოთ, თუ რამ განაპირობა ტოკიო-1960-ის შექმნა კენძო ტანგეს მიერ. იაპონელი არქიტექტორის, ახალი ტოკიოს იდეა დამყარებული იყო იმდროინდელი 10 მილიონიანი ქალაქების, თანამედროვე განვითარების კულტურულ-ეკონომიკურ-სოციალურ ფაქტორებზე. ყოველი ფაქტორის ანალიზის შედეგად კენძო ტანგე აყალიბებს იდეას - 1) არა ცენტრისკენული, რადიანული ქალაქ-სისტემა, როგორც იყო ტოკიო მაშინ, არამედ ირჩევს ქალაქის ხაზობრივ განვითარებას. (კენძო - ტანგე, იაპონიის არქიტექტურა); 2) უნდა იყოს მოძიებული საშუალებები, რომლებიც ორგანულად გააერთიანებს ქალაქის სტრუქტურას, მის სატრანსპორტო სისტემას და არქიტექტურის იერსახეს; 3) უნდა იყოს მოძიებული ქალაქის სივრცობრივი წესრიგი, რომელიც აირეკლავს ქალაქის ღია სისტემის ორგანიზებას და თანამედროვე საზოგადოების სპონტანურ მობილობას. აქ კვლავ იკვეთება დიდი იაპონელის იდეა: ქალაქის, სატრანსპორტო სისტემისა და არქიტექტურის ორგანული გაერთიანება. იდეის განხორციელებისთვის კენძო ტანგეს გადააქვს ახალი „ტოკიო-1960“ ტოკიოს ყურეში, სადაც სამზოლიან სატრანსპორტო სისტემას ქმნის და ა.შ.



სურ. 5 ახალი ტოკიო

ჩვენი მიზანი არაა იმ პროექტის აღწერა, რასაც ავტორზე უკეთ ვერ გავაკეთებთ, არამედ ქალაქის იდეის, როგორც არსობრივი განმსაზღვრელი როლის გამოკვეთა.

ცხადია, ამ შემთხვევაშიც იდეა არის ქალაქის ქსოვილის შემკვერელი და გამაერთიანებელი.

ჩანდიგარჰი

ლე კორბუზიე - პენჯაბის შტატის ახალი დედაქალაქი

ძველი ლაზორი დარჩა პაკისტანის ტერიტორიაზე. 1950 წლიდან ლე კორბუზიემ ორი ინდოელის - ტხაპარისა და ვარმას (პენჯაბის შტატის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მდივანი და მეორე პენჯაბის შტატის მთავარი ინჟინერი) თხოვნით 1950 წელს დაიწყო ჩანდიგარჰის გენ-გეგმაზე მუშაობა. ჯავახარ ლალო ნერუ განიმსჭვალა ლე კორბუზიესადმი დიდი ნდობითა და პატივისცემით.

ჩანდიგარჰი იყო ახალი ქალაქგეგმარებითი იდეების განხორციელების სივრცე. ჯავახარლალ მერუს აზრით. ჩანდიგარჰი უნდა გამხდარიყო ახალი ინდოეთის სიმბოლო.



სურ. 6 ჩანდიგარჰი, ინდოეთის საუკეთესო ქალაქი

ჩანდიგარჰისათვის იყო არჩეული უმშვენიერესი ადგილი ჰიმალაის მთების მისადგომებთან, ნაყოფიერი ორი მდინარის ხეობაში. პეიზაჟის ბუნებრივ სილამაზეს დაემატა ლე კორბუზიეს მიერ დაგეგმილი ხელოვნური ტბა, რომელიც იყო ქალაქის წყალსაცავი. გენ-გეგმის თავდაპირველი ვარიანტი ეკუთვნოდა პოლონელ არქიტექტორს მ. ნოვიცკის და ამერიკელ ქალაქგეგმარს ა. მეიერს.

ლე კორბუზიეს ეკუთვნის ჩანდაგირის იდეის ძირითადი ქარგილი: ქალაქის დაგეგმარების საერთო ჩანაფიქრი, გამწვანების პროექტი, ასევე კაპიტალიუმის შენობების კომპლექსი.

ქალაქის დაპროექტებისას ფართოდ იყო გამოყენებული ლე კორბუზიეს „მოდულორის საზომი სისტემა“.

ლე კორბუზიეს აზრის შესაბამისად, ქალაქი არის რა მზარდი ორგანიზმი, არქიტექტორმა იგი დაყო მკაცრ ფუნქციურ ზონებად. ქალაქი 7 სახის გზათა სისტემით იყოფა 30 მიკრორაიონად (800*1200მ).



სურ. 7

აქ ასევე იკვეთება აქსიომა: ჩანდიგჰარს ჰქონდა შექმნის, განლაგების და ქალაქგანვითარების იდეა - ა) პოლიტიკური ძველი დედაქალაქი პაკისტანის ტერიტორიაზე დარჩა; ბ) ქალაქგეგმარებითი სწორკუთხოვანი 30 ბუდიანი, მართკუთხა ბადე და სერიოზული ბიო-კლიმატური სტატუსკვოს ანალიზის შედეგად გამომუშავებული არქიტექტურულ-სივცულ-მოცულობითი სისტემა-სტრუქტურა: მზის საჩრდილობელი არქიტექტურული რკ/ბეტონის ნაშევრების-ბადეების ქსოვილების კედლებზე საკუთარი ჩრდილის დაცემით კედლების გაგრილება და სხვ.

რამდენიმე წლის წინ ინდოეთის მთავრობამ ჩანდიგარჰი გამოაცხადა ინდოეთის საუკეთესო ქალაქად!!!

დასკვნა:

ზემოთ მოყვანილი მაგალითები დაგვჭირდა ხაზის გასასმელად, რომ ახალი ქალაქებისა თუ ძველი ქალაქების ახალი განვითარების გზების დასახვისთვის, საჭიროა იყოს იდეა-კონცეფცია და მათი განხორციელების ვექტორების ჩამოყალიბების - მეთოდოლოგია, რაც მოგვცემს იმის განცდას, რომ ქალაქი ან ახალი გენ-გეგმა გაერთიანებულია ერთი გენერალური იდეის-ქარგილის მეშვეობით და შიგნით; რაც იქნება ჰარმონიის საფუძველი ქალაქისა გარემოსათან და გარემოსი ქალაქთან; მაშინ როდესაც ქალაქი თვითონ არის

გარემო და იგი იმ დიდი გარემოს ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, თუ იგი არ იქნება დისკრეტული, დაგლეჯილი უკონტექსტო მიწის ნაგლეჯებად!!!

საით მიმყავს ეს საუბარი? თბილისის განვითარების ახალი კონცეფციის ხერხემალია პოლიცენტრულობა, გამაერთიანებელ იდეად კი მწვანე ზოლებისა და გზათა სისტემაა ჩადებული. რაც თეორიულად, არამც და არამც არ ეწინააღმდეგება მსოფლიო ქალაქგეგმარებით აზრს...

მაგრამ ... უნებლიეთ, მიჩნდება კითხვა, რომ პოლიცენტრულობა ხომ არ არის ე.წ. რეზერვაციების წინასახე?... ამ კითხვით ღიად დაუმთავრებელი რჩება სათქმელი...

და ყოველივე ზემოთქმულის კონტექსტში, უნდა ვთქვათ, თუ არ იქნება სახელმწიფო ნება, ყოველი პროგრესული აზრი, ნებისმიერ დარგში და მით უფრო არქიტექტურაში, ჩანასახშივე განადგურდება...

რეზიუმე

მოხსენების მიზანია, შეძლებისდაგვარად განიხილოს ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფორმატის სივრცეში, არქიტექტურის, როგორც დარგის ზოგადად და ქალაქგეგმარების, როგორც ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებლური მიმართულების მდგომარეობა.

ის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც არსებობს ქვეყანაში, დაწყებული მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, თავის დაღს ასვამს ჩვენს პროფესიას, რაც განსაკუთრებით ემჩნევა ქალაქს, მისი განვითარების დინამიკაში.

ამ კონტექსტში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქალაქგეგმარებითი ინოვაციები, არა თუ ჩვენი ქვეყნისთვის არის ეკონომიკურად ძნელად დასაძლევია პრობლემა, არამედ იგი იყო და არის ყველა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი გასაღები, რაც ეკონომიკურად მძიმედ ასაწევი ტვირთია.

ამ სიტყვების მტკიცებულებად სტატიაში იქნება აღწერილი ნიუ-იორკის სამოქალაქო ცენტრის იდეის შექმნისა და აზრობრივი ჩამოყალიბების პროცესი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოხსენებაში მოცემული თემა განიხილება შემდეგ ქვეთავებში:

1. პრეამბულა - აქტუალობა: სადაც იქნება განიხილება ჩვენი ქვეყნის სოციალური პრობლემები და მასთან მიბმული მოსახლეობის მიგრაციის დარგების, მათ შორის არქიტექტურის განვითარების საკითხები;
2. ისტორიული ექსკურსი: არქიტექტურაში სამართლებრივი დოკუმენტების ჩამოყალიბების კონტექსტში ქალაქგეგმარებითი იდეების წარმოქმნის დინამიკა (პარიზი, ნიუ-იორკი);
3. განსჯა: იდეა-კონცეფციის, როგორც გამაერთიანებლის როლი ქალაქური სივრცის განვითარება-ჩამოყალიბებაში;
4. დასკვნა-ფუნქციონირების ე.წ. კანონმპყრობელთა ფუნქცია და როლი ქალაქგეგმარების, როგორც არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ვექტორის მინიმალიზაციის პროცესში.

The Missing Phantoms of the Field

M. Melqadze

Resume

The purpose of the report is, in terms of existing social and economic situation of our country, to review both architecture as a field in general and city planning as one of the foundational direction for architecture.

The difficult social and economic situation, since the beginning of the 90s of the 20th century, left its own mark on our profession and it is especially reflected in the dynamics of city development.

In this context the circumstance should be taken into account, that city planning innovations are economically hard to be dealt with not only in our country, but for all countries they were and are one of the main keys for solving economic and social problems, which is economically heavy burden to carry.

The evidence of these words will be the description of both, the idea of the New York Civil Center foundation and its further conceptual formulation.

According to above said, the given topic will be discussed in report with following sub-chapters:

1. Preamble - Actuality: there are discussed both the existing social problems of our country and associated human migration fields, including issue of architecture development;

2. Historical excursus: dynamics of city planning ideas' (Paris, New York) in the context of formulating legal documents, among those in architecture;
3. Argument: an idea and a concept, as a role of the unifier in an urban space development and establishment;
4. Conclusion: the function and the role of so-called lawmakers of city planning, as in the minimalization process of important vector of architecture.

Потерянные фантомы отрасли

М. Мелкадзе

Резюме

Цель нашей статьи, по мере сил, сделать системный анализ архитектуры, как отрасли в формате социал -экономического развития Грузии.

То тяжёлое социал- экономическое состояние, которое существует в нашей стране, начиная с 90-х годов XX века, своё клеймо поставило на профессию; что особенно заметно в структуре города в динамике его развития. В этом контексте интересно обозначить, что градостроительные иновации, не только для нашей страны непосильный груз, но тяжёл и для несоразмерно развитых стран как к примеру: США, Япония и т.д

В утверждение этих слов в статье будут описанны градостраительные идеи в историческом контексте: 1. Создание гражданского центра Нью-Йорка; 2. Идея Кендзо Танге - нового «Токио 1960»; 3. И идея создания ген-плана и Капитолийского центра в Чандигарха -Ле Корбузье.

Исходя из вышесказанного, в статье тема будет развёрнута в следующих главах:

1. Преамбула-актуальность;
2. Исторический экскурс;
3. Обсуждение – идеи -концепции;
4. Вывод.

რეგიონის განსახლების სივრცითი მოწყობის სქემის დამუშავებისთვის

ვ. ფრანგიშვილი

არქიტექტორი

თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა საქართველოს განსახლების პირველი რეგიონალური სქემის დამუშავებიდან [1]. მეზობელი ქვეყნებიც ვერ დაიკვივნებიან განსახლების სქემების არსებობით. მათ შორის დიდი რუსეთის მეცნიერები, არქიტექტურის დოქტორები: ი. სმოლიარი, გ. გაზაევი და სხვები აღნიშნავენ, რომ დღემდე ვერ განისაზღვრა რუსეთის ქალაქთმშენებლობითი დოქტრინა და ტერიტორიული განვითარების გააზრებული მეცნიერული კონცეფციის პოლიტიკა.

ბოლო დროს გამოჩნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით შესრულებული მუნიციპალიტეტების (მესტიის, ახმეტის) ახალი თაობის სივრცითი მოწყობის გეგმა და სივრცითი მოწყობის დოკუმენტაცია.

ბუნებრივია, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაკვეთა გააფორმა საქართველოს სივრცითი მოწყობის სქემის შემუშავების მიზნით, თუმცა რატომღაც მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემას ეწოდა გეგმა, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა წარმოდგენილია როგორც დოკუმენტი. თუ ვიგულისხმებთ, რომ გეგმაც დოკუმენტია, დღეისათვის განხილვას ექვემდებარება ორი ახალი დოკუმენტი.

რაც შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმას და მასში შემავალი თემების (მულახის, ბეჩოს, ეცერის, ცხუმარის, უშგულის), დაბა მესტიის და დასახლებათა განვითარების რეგულირების კონცეფციებს, რომლებიც გულისხმობს რეგიონალური და ეროვნული ეკონომიკის სექტორების სხვადასხვა მიდგომას შორის საერთო და მდგრადი წონასწორობის პოვნის საჭიროებას და აუცილებლობას.

სივრცითი მოწყობის ავტორების აზრით, “ სივრცითი მოწყობის გეგმაში პრიორიტეტი ენიჭება ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებას, ინფრასტრუქტურის მდგრადობას და შემდეგ კი კულტურულ, სოციალურ და გეოპოლიტიკურ ფასეულობებს” [2], რასაც სრულიად ეთანხმება სტატიის ავტორი.

როგორც აღინიშნა, ახალი თაობის სივრცითი მოწყობის სქემების დამკვეთი არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო შემსრულებელია ძირითადად შპს. „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“ (გ. გოცირიძე) და ახმეტის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში „სტუდია 21“ (გ. აბულაძე).

საზოგადოდ ცნობილია, რომ სივრცით-ტერიტორიული და ადმინისტრაციული მოწყობის მოდელით ყველა დონეზე (ეროვნული, რეგიონალური,

კომუნალური, უპირველეს ყოვლისა, უნდა შედგეს მიწათსარგებლობის ანუ ტერიტორიების ბალანსის უზუსტესი სურათი, რაც აუცილებელია პერსპექტიული დაგეგმარების კონცეფციის ზუსტად განსაზღვრისთვის.

დღეისათვის, როცა არ არსებობს საქართველოს განსახლების სამოქმედო სქემა, მაგრამ არსებობს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ცხრა დიდი გართიანება (მხარე) და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხედვა (მათ შორის სამხედრო სტრატეგიის ჭრილში, ვფიქრობთ, შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს სივრცითი მოწყობის ახალი თაობის დოკუმენტებით

წარმოდგენილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების წინადადებების სიღრმისეული ანალიზი.


შესაძლებელია აგრეთვე შედარების მიზნით ვიმსჯელოთ საპროექტო წინადადებების ჩანაცვლებაზე – მაგალითად, საქართველოს რთულრელიეფური პირობების გათვალისწინებით ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობის და ინტეგრირებული გვირაბების ნაცვლად მოეწყოს საბაგირო გზები; ეკონომიკური გაანგარიშებისთვის ვიხელმძღვანელოთ გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება“ (თ. შილაკაძე) განფასებათა მონაცემებით.

მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის მოკლე რეზიუმეში დაფიქსირებულია ნაშრომის ავტორთა მთავარი ხედვ – „სვანეთი უნდა დავიცვათ, განვავითაროთ არა იზოლაციის, რთული მიღწევადობის, ნაკლები ეროვნული და ადგილობრივი ადმინისტრირების ხარჯზე მინიმალური დოვლათის შექმნის გზით, არამედ - მაქსიმალური გახსნითა და ინტეგრირებით ეროვნულ და რეგიონალურ სივრცეებში „...უმთავრეს ამოცანათა რიგს განეკუთვნება ახალი განივი კავშირის (მესტია-ლენტეხი-ქუთაისი-ბაღდათი-საირმე-აბასთუმანი-ახალციხე-ახალქალაქი) წინმსწრე-ბად განვითარება და თურქეთთან დაკავშირება (სურ. 2-3). გარდა აღნიშნულისა, ხედვაში საუბარია ზემო და ქვემო სვანეთის ერთ სამხარეო ერთეულში გაერთიანებაზე, აგრეთვე საქართველოს გრძივი სივრცითი ღერძის „სოხუმი-მესტია-ლაგოდეხის“-მნიშვნელობაზე.


ბოლო საკითხთან დაკავშირებით სტატიის ავტორის აზრი ერთმნიშვნელოვანია. 2008 წლისთვის განსახლების ეს გრძივი ღერძი რომ ყოფილიყო, დღეისათვის ქვეყნის ტერიტორიის გაცილებით დიდი ნაწილი იქნებოდა ოკუპირებული.

ჯეიმსთაუნის ფონდის პოლიტიკურ ანალიტიკოსს ვასილ რუხაძეს საქართველოს სამხედრო სტრატეგიის საკუთარი ხედვა აქვს; იგი თვლის, რომ რუსეთი ემუქრება ქართულ სახელმწიფოს... „ხომ არ მოვიდა დრო შესაბამისი სტრატეგია დავსახოთ? ისმება მისი კითხვა და რჩევებიც ასეთია: „აუცილებელია, რომ საქართველოს მთავარსარდლობამ ქვეყნის ძირითადი სამხედრო

ინფრასტრუქტურა თანდათანობით ქვეყნის სამხრეთდასავლეთ ნაწილში, თურქეთთან ახლოს გადაიტანოს [3].



სურ. 1 სივრცითი ღერძი (მესტია-ახალციხე) წყარო: „სამთავრობო პროგრამა 2016-2020“ (ნოემბერი, 2016)




სურ. 2 სივრცითი ღერძი (ლაგოდეხი-სოხუმი) წყარო: „სამთავრობო პროგრამა 2016 - 2020“ (ნოემბერი, 2016)

მეორე რჩევა მთავრობამ ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვრების გაძლიერების მიზნით აქცენტი უნდა გააკეთოს ჩრდილოეთის არაკუპირებული მთიანი რეგიონების (თუშ- ფშავ-ხევსურეთის, რაჭის და სვანეთის) სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის გაზრდაზე.

რაც შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გან-ვითარების პროგნოზს, აქ გათვალისწინებულია ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდალის გზის არტერიის (150 კმ) მუდმივად მწყობრში ყოფნა; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ჯამური სიგრძე შეადგენს 860 კმ-ს.

დასკვნისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორია უზრუნველყოფილია მთავარი და მუდმივი კავშირის მქონე სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალით. სივრცითი მოწყობის გეგმით წარმოდგენილია ქუთაი-სის აეროპორტიდან (კოპიტნარი) – მესტიის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მოწყობა საავტომობილო გზისა და გვირაბის თანმხვედრ ღერძზე საჭირო გვირაბებისა და ესტაკადების ინტეგრირების შესაძლებლობით. ეს საპროექტო გზა უზრუნველყოფს მესტიამდე წლის ნებისმიერ დროს უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას არაუმეტეს 2.5 სთ-ში, საერთო გამტარუნარიანობით 6000 კაცი/24 სთ. (რუკა 22-23)



სურ. 3 მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა



სურ. 4 მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა
**მესტიის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის
 მოწყობის**
საორიენტაციო ხარჯების ცხრილი (იხ. ცხრ-1)

	ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა:	სიგრძე კმ	1კმ ღირებულება	სულ: (ლარი)
1	ქუთაისი-მესტია	138,1	5 მილ.ლარი	690.000 000
2	რკ/გზისგვირაბი(ქვემო სვანეთი)	8.4	17 მილ.ლარი	142.800 000
	საავტომობილო გზა:			
3	ლენტეხი-მესტია	41.3	2 მილ.ლარი	82.600.000
4	გზის გვირაბი(ქვემო სვანეთი)	8.5	2 მილ.ლარი	17.900.000
5	საბაგირო გზა:	1.2	11 მილ.ლარი	13.200.000
	სულ:			946.500.000

ბუნებრივია, პროექტით წარმოდგენილი ღონისძიებების რეალიზება დაკავშირებულია უდიდეს ხარჯებთან. საქმე ეხება თითქმის მილიარდი ლარის ღირებულებას.

გარდა აღნიშნულისა, ცნობილია რომ სვანეთში მიმდინარეობს მესტია–პაწვალის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობა. 1200 მეტრის საბაგირო გზა იქნება ღია სავარძლის ტიპის 6 კაციანი კაბინით ანუ მთა და მუნიციპალიტეტის ცენტრი დაუკავშირდება ერთმანეთს.

სვანეთში ადგილობრივი სათხილამურო სპორტის პოპულარიზაციისთვის ასევე გაკეთდება მცირე ზომის საბაგიროები: მაზერში, უმხვანარში, ეცერში, უმგულსა და ლენტეხში [4].

განვიხილოთ მეორე დოკუმენტი – ახმეტის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში განსახლების ძირითადი კონცეფცია იდენტურია მესტიის სივრცითი მოწყობის გეგმის – შენარჩუნებულია დასახლებათა ყველა დონის ინკლუზიურობა ანუ ჩართულობა სივრცითი მოწყობის სქემაში, ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და მდგრადობის უზრუნველყოფა.

თუშეთის რეგიონალური მახასიათებლები გვაუწყებს, რომ მკაცრმა კლიმატურ – გეოგრაფიულმა პირობებმა და შეზღუდულმა სივრცემ ძირეულად შეცვალა თუშეთის განსახლების გეოსოციალური სურათი. ორმოცდაათზე მეტი სოფლის და ნასოფლარის ადგილზე დღეისათვის მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე სოფელში ცხოვრობს მოსახლეობა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ურბანიზებულ ტერიტორიებს უჭირავს მხოლოდ 3.6%, სამეურნეო სავარგულებს - 14.9%, ხოლო ბუნებრივ–ლანდშაფტურ ტერიტორიებზე მოდის თითქმის 80%. თუშეთში არის ეროვნული პარკი, დაცული ლანდშაფტი, სახელმწიფო ნაკრძალი და ჩრდილოეთის სასაზღვრო ზონა – მხარის 18.3% (სურ.–04).


რაც შეეხება ახმეტის მუნიციპალიტეტის არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, მხარის სივრცითი მოწყობის სქემაში ხაზგასმულია, რომ მუნიციპალიტეტი მდებარეობს ლაგოდეხი–სოხუმის ღერძისა და ომალო–წითელი ხიდის ღერძების კვეთაზე, რაც მხარეს რეგიონალურ ჭრილში სატრანსპორტო–საკომუნიკაციო კარკასის ერთ – ერთ კომპონენტად ხდის. აქვე საჭიროა აღინიშნოს რეალური სინამდვილე, რომ თუშეთის მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მოძრაობს; ხოლო საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებით სქემის ავტორები აფიქსირებენ სოფელ ომალოში არსებული აეროდრომის პარამეტრებით უზრუნველყოფას [5].

მხარის ჰიდროენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით, განსახლების სქემის ავტორების აზრით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მემორანდუმის გაფორმება სეზონური

ტიპის ჰესებზე – ილტოს, ალაზნის ჰესები; შემოდინების ტიპის –ალვანის ჰესი და კასკადის ტიპის – ხადორი 3 ჰესების მშენებლობაზე.


საყურადღებოა თუშეთის ურბანული მემკვიდრეობა. ბუნებრივ გარემოში მასშტაბურად ჩაწერილი ისტორიული კომპლური ტიპის საცხოვრებელი სახლები ხალხური არქიტექტურის ნიმუშია.

უნდა დავეთანხმოთ სივრცითი მოწყობის დოკუმენტის ავტორების აზრს სახლების და განაშენიანების განთავსებასთან დაკავშირებით; კერძოდ, სოფლები გაშენებულია სამხრეთ ფერდობზე ისე, რომ თოვლის ზვავი არ მიუდგეს და არ დააზიანოს სახლები. მათი აზრით, “დღეისათვის მუნიციპალიტეტი რეგიონული და მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურის არაადეკვატური მდგომარეობის გამო წარმოადგენს ჩიხს და არა ეკონომიკურად დამოუკიდებელ მუნიციპალიტეტს“. ამდენად, „აუცილებელია მოწესრიგებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის ჩამოყალიბება, რადგან ტრანსპორტის არარსებობა თუშეთის მოსახლეობისგან დაცლის მნიშვნელოვანი ფაქტორია“ [5]. ავტორები მიანიშნებენ საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე (არარის კანალიზაციის სისტემები, მხარის გარკვეულ ტერიტორიებზე არ არის გამოვლენილი სასოფლო და არასასოფლო სექტორები, დაუდგენელია სოფლის საზღვრები. სივრცითი მოწყობის ავტორების კონცეფტუალური ხედვა ეფუძნება იმ უპირობო გარემოებას, რომ მხარის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას ახასიათებს სივრცითი განზომილება; ამდენად, ახალი თაობის ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის მუდმივი კორექტირება



სურ. 5 ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცითი მოწყობის გეგმა

მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების კომპონენტი გახდება. მათი აზრით თუშეთის მხარე ინტეგრირდება საპროექტო გადაწყვეტების თელავი-ახმეტა-ომალის ყოველდღიური მიღწევადობის სატრანსპორტო(საავტო-მობილო, სარკინიგზო) და ეროვნულ ქსოვილში სოხუმი-ლაგოდეხის გრძივი ღერძების მეშვეობით (სურ.რუკა-06-14). ახალი თაობის სივრცითი მოწყობის სქემით უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასახლებათა, სასოფლო, სარეკრეაციო და ინფრასტრუქტურული სისტემების სივრცული წესრიგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაშვებია ისეთი საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომელიც მინიმუმამდე მოახდენს გარემომცველ გარემოზე უარყოფით გავლენას.



სურ. 6 ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის მოწყობის დოკუმენტაცია

სქემით შემოთავაზებულია ბირკიანი – კოკლათის საავტომობილო გზის მშენებლობა. ამით შეიკვრება წრე: ახმეტა-ფშაველი-აბანოს უღელტეხილი-ომალო-კოკლათა-ბირკიანი-ახმეტა.

მეორე და ძირითადი კავშირის ძარღვი იქნება სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარება. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ურთულეს რელიეფურ პირობებში, განსაკუთრებით აბანოს უღელტეხილის ქვათაცვენის არეალში რკინიგზის ქსელის მოწყობა ტექნიკური სიძნელეების გარდა დიდ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული. თუმცა, სქემის ავტორების აზრით „ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მიწის ვაკისისა და ხელოვნური ნაგებობების მოცულობა 4-5 – ჯერ

მცირეა, იმავე ტვირთ და მგზავრთა გადაადგილების უნარის მქონე საავტომობილო გზისა“[6].

ვფიქრობ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. მთიანი საქართველოს პირობებში პირველი საბაგირო გზის მოწყობის შემდეგ მართლა შეიქმნა საბაგირო გზათა სისტემა. ქალაქ ჭიათურიდან დაწყებული 50 წლის მანძილზე, მოსახლეობა და ასობით მოსამსახურე ამ უსაფრთხო ტრანსპორტით სარგებლობს.

2017 წლიდან ფრანგულმა კომპანიამ „პომაგალსკიმ“ უზრუნველყო ჭიათურის მოსახლეობისა და მომსახურე პერსონალისთვის რევერსული, გონდოლებიანი საბაგირო გზის მშენებლობა და დაფინანსება 40 მილიონი ლარით; აუცილებელია აღინიშნოს, რომ კობი – გუდაურის საბაგირო გზების განვითარების პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ყაზბეგი – გუდაურის სამთო–სათხილამურო კურორტების დამაკავშირებელი 7.5 კმ–იანი საბაგიროს ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ანუ ქვეყნის მთავრობა განიხილავს ერთი–ანი სათხილამურო სივრცის შექმნას. ეს სისტემა უამინდობით გამოწვეულ პრობლემებსაც მოაგვარებს, ანუ როდესაც საავტომობილო გზა იკეტება, თითოეული მოქალაქე შეძლებს დიდთოვლობის დროს ისარგებლოს აღნიშნული საბაგიროთი [7].

და მაინც, გასული საუკუნის 90 – იან წლებში თუმ მეგობრებთან და მოკეთებებთან ნაცხოვრებს, თუმურ დღესასწაულების მნახველს, წოვა თუშეთის საფეხმავლო ბილიკებით არაერთგზის დამლაშქრავს, მაწუხებს გულისთქმის გამოხატვის სურვილი თუშეთის რელიეფურ პირობებში სივრცითი მოწყობის სქემაში რკინიგზის ნაცვლად მიზანშეწონილი ხომ არ იქნება გარემოს მისადაგებელი და შესაბამისი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების საბაგირო გზის ჩანაცვლება? ბუნებრივია, მშენებლობის ხარჯების დაზუსტება გარკვეული პასუხი იქნება დასმულ საკითხზე მსჯელობისთვის.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის საორიენტაციო ხარჯი შეადგენს ხუთას სამოცდათოთხმეტ მილიონ ორასოთხმოცი ათას ლარს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის

საორიენტაციო ხარჯების ცხრილი (იხ. ცხრ. 2)

	სს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	სიგრძე კმ	1კმ ღირებულება	სულ: (ლარი)
1	ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა: ალვანი–ომალო	63	5 მილ.ლარი	315 000000

2	საავტომობილო გზა: (ბირკი-ანი -კოკლათა)	30	17 მილ.ლარი	45 000000
3	კოკლათა-ომალო	15		22 500000
4	ფშაველი-აბანოს- უღელტეხილი- ომალო(რეაბილიტაცია)	47.3	2 მილ.ლარი	56 760000
5	საავტომობილო გზის ორი გვირაბის მოწყობა	7	2 მილ.ლარი	14 000000
6	ვერტოდრომისდასაჯდომი ადგილის მოწყობა	ერთი ადგილი (კოკლათა)	20000 ათ.ლარი	20000
7	საბაგირო გზა: წრიული საბაგირო გზის მოწყობა	11	11 მილ. ლარი	121 000000
სულ:			574 280 000 მილ. ლარი	

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს განსახლების რეგიონალურ სქემა. საქალაქმშენსახპროექტი. თბილისი.1979.
2. მესტიის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა 2018.
3. რუხაძე. მორღვეული კავკასიის ქედი 2010. წყარო: ინტერნეტ-სერვისი.
4. ახმეტის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის დოკუმენტი 2018.
5. в.р.крогиус-город и рельеф.москва стройиздат1979.

რეზიუმე

თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა საქართველოს განსახლების პირველი რეგიონალური სქემის დამუშავებიდან. თუმცა დღემდე ვერ განისაზღვრა ქვეყნის ქალაქ-მშენებლობითი დოქტრინა ანუ განსახლების ტერიტორიული განვითარების გააზრებული მეცნიერული კონცეფცია.

ბოლო დროს გამოჩნდა ქვეყნის მუნიციპალიტეტების (მესტიის და ახმეტის) ახალი თაობის სივრცითი მოწყობის სქემები. უნდა აღინიშნოს, რომ ნახსენები მხარეების პროექტების ავტორების მიერ წარმოდგენილი კონცეფციები იდენტურია ანუ სქემებში შენარჩუნებულია ყველა დონის დასახლებათა ინკლუზიურობა – ჩართულობა; აგრეთვე უზრუნველყოფილია საპროექტო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და მდგრადობა.

მსჯელობისთვის სტატიის ავტორისგან შემოთავაზებულია წინადადება: ქვეყნის რთული რელიეფური პირობების გათვალისწინებით, იქნებ მიზანშეწონილი იყოს ძვირადღირებული ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ნაცვლად გამოვიყენოთ წრიული საბაგირო გზა 10 000 მეტრზე მეტ მანძილზე მგზავრობით (გადაჯდომის გარეშე).

Для разработки схем расселения регионов

Прангишвили В.

Резюме

Прошло почти четыре десятилетия с момента разработки первой региональной схемы расселения Грузии. Тем не менее до сегодняшнего дня не определена градостроительная доктрина расселения страны.

В последнее время появились схемы пространственного развия нового поколения муниципалитетов (Местийского и Ахметского). Следует отметить, что представленные авторами концепций расселения идентичны; то есть в схемах пространственного устройства поддерживается включение всех населённых пунктов; обеспечивается безопасность и устойчивость транспортной инфраструктуры.

Для обсуждения автор статьи предлагает: Прямая во вниманые сложные условия рельефа страны, может быть целесообразно использовать кольцевую канатную дорогу длиной более 10 000 метров вместо предлагаемой роскошной узкоколейной железной дороги.

For the development of regional settlement schemes

Prangishvili V.

Resume

Almost four decades have passed since the first processing of the Georgia's regional scheme of resettlement. However, urban development doctrine, same as scientific thought-out concept of resettlement, has not yet been determined.

Recently, the new generation spatial arrangement schemes of municipalities (Mestia and Akhmeta) appeared. It should be noted that for both regions were presented the same concepts by designers, that is, in schemes there are preserved inclusiveness and engagement of the settlements at all levels; also the security and sustainability of transport infrastructure is ensured.

For the argument author proposes: considering the intricate relief of the country, it might be that it is better to utilize circular cableway commuting along 10 000m (without changing the transport), instead of the expensive narrow-gauge railroad.

ძველი სამყაროს არქიტექტურული ლექსიკონი

გ. ყიფიანი

პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძველი სამყარო პირობითი და დაუკონკრეტებელი ცნებაა თუ მას განსაზღვრებას ვერ მოვუძებნით. ლექსიკონი არქიტექტურის განვითარების უახლეს პერიოდებს XX - XXI საუკუნეებს არ შეეხება. „არქიტექტურული თანამედროვეობა“ და მისი ტერმინოლოგიის ლექსიკოგრაფიული დამუშავება არქიტექტურის უახლესი ისტორიის საქმეა.

განმარტებითი ლექსიკონის ფუნქცია საყოველთაოდაა განსაზღვრული: გაზარდოს შემეცნება და ცნობადობა, თავიდან აიცილოს „ტერმინოლოგიური დაბნეულობა“, ე.ი. გაუცნობიერებლობა. ეს კი ყველგან შეიმჩნევა, სპეციალურ ლიტერატურაშიც და მოხსენება-პრეზენტაციების დროსაც, იგი კატასტროფულ დონეს აღწევს სტუდენტთა შორის. მათ წლების განმავლობაში უგროვდებათ „ნაცნობ-უცნობი“ სიტყვები და სულ უფრო და უფრო უჭირთ შეკითხვების დასმა. ლექსიკონი შეეცდება, რომ მათ შეკითხვებს უპასუხოს და, რაც მთავარია, გაუადვილოს მათ სპეციალური ლიტერატურის კითხვა, უცნობი არქიტექტურული შინაარსის შემცველი სიტყვის სწრაფი მოძებნა.

ლექსიკონის შედგენილობა

არქიტექტორები, არქიტექტურის თეორეტიკოსები, ურბანისტები, ინჟინრები, კონსტრუქტორები, მოქანდაკენი, ფორტიფიკატორები, პოლიორკვეტიკოსები. მაგ.: ადამი, არსუკიმე, ბრიაქსისი, ბრუნელესკი, ვინიოლა, ვიტრუვიუსი, ჰარაბა, ჰერმოგენესი, ჰიპოდამოსი და ა.შ.

არქიტექტურული სტილები და მემკვიდრეობანი

ამპირი (ემპირი), აქემენიდური არქიტექტურა, ბაროკალური

არქიტექტურა, გუთური არქიტექტურა (გოთიკა), კლასიციზმი, სომხური არქიტექტურა, ქართული არქიტექტურა.

არქიტექტურული ტერმინები

მაგ.: აბატონი, ანტაბლემენტი, ბაზილიკა, კაპიტელი, სახლი და ა.შ.

ნაგებობები, ანსამბლები და კომპლექსები - აკროპოლისი, ამფითეატრი, გლიფოტეკა, გოპურა, ლავრა, მონასტერი, სოხასტერი და სხვ.

მაგალითისთვის: აგორა (ბერძნ. ἀγορά) სამხედრო დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი დაწესებულება ძველ საბერძნეთში - სახალხო კრება, აგრეთვე ის ადგილი, სადაც ასეთი შეკრებები იმართებოდა. ბერძნული ქალაქების ის არეები, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოებრივი ნაგებობებისაგან შედგენილ ერთიან ანსამბლს. მოქალაქეთა ძირითადი თავშესაფრელი, მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამეცნიერო ცხოვრების პუნქტი. ელინისტური პერიოდიდან თანდათანობით აგორა რელიგიური ცენტრის ფუნქციასაც იძენს. ერთი ქალაქის ფარგლებში აგორა შესაძლოა რამდენიმე ყოფილიყო (შდრ. ბაზარდ; ფორუმი; მოედანი).


საინჟინრო საკომუნიკაციო ნაგებობები - მაგ: აკვედუკი, ვიადუკი, ბონდი, ლეოფოროსი, შარა, გზაბოძალი და ა.შ.

საფორთიფიკაციო ნაგებობანი - მაგ: გოდოლი, კატარაკტა, კასტელუმი, კოშკი, კურტინა, პოსტერნა, პროტიხიზმა და ა.შ.

ორნამენტი და არქიტექტურული კლასიკა - მაგ.: აკანთოსი, ანთემიონი, ბარელიეფი, ბუკრანიონი, წრე-რომბების წნული და სხვ.

პოლიორკეტიკა - მაგ.: გერანოსი, კატაპულტი, კრიო, ონაგრი და მრავალი სხვა.

ლექსიკონი აგრეთვე შეიცავს მეტროლოგიურ და პროპორციებთა სისტემების განმარტებებს. ცნობებს ქარების მიმართულებებზე, სამშენებლო მასალებზე, საკედლე წყობებზე, დროისა და მანძილის საზომ ერთეულებზე, კლდოვან და სამარხეულ არქიტექტურაზე. მოცემულია განმარტებები სიმბოლოებისა და კოსმოგრამების და ა.შ. ლექსიკონი მაქსიმალურად დატვირთულია ილუსტრაციებით.




სურ.1. ელინისტური ქალაქის ასოსის აგორა

აკანთოსი - აკანთუსი (ბერძ. ἄκανθος; ლათ. ācanthus)

ეკლოვანი მცენარე, სავარაუდოდ „ეგვიპტური აკაციის“ ერთ-ერთი სახეობა - *Acacia vera* ან *Mimosa nilotica*. მისი ქართული შესატყვისია დათვისტერფა. მცენარე გავრცელებული იყო ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე, განსაკუთრებით მის სამხრეთ არეალში.

აკანთოსის ფოთლის სტილიზებული სახე ანტიკური არქიტექტურული პლასტიკის ერთ-ერთ გავრცელებულ მოტივად იქცა. იგი საფუძვლად დაედო კორინთულ კაპიტელს. მისი ქვედა იარუსი მთლიანად ამ ფოთლებისაგან შედგენილი „კალათოსია“. ასევეა ეს კომპოზიტიურ კაპიტელებშიც. მისი სახე გვხვდება ფრიზებში, აკროტერიონებსა და სხვ. პოპულარული იყო აღორძინების ხანაშიც, როგორც არქიტექტურული დეკორის ელემენტი.



სურ. 2. აკანთოსის ბუნებრივი და სტილიზებული სახეები

აკროპოლისი (ბერძნ. ἀκρο-πολις)


ქალაქთა დომინანტი, ქალაქის ტერიტორიაში შემავალი მაღლობი, რომელიც საფორტიფიკაციო ნაგებობებითაა შემოსაზღვრული. მისი მხედველობის არეში ექცეოდა, როგორც ქალაქის მთლიანი, ასევე ქალაქგარე ვრცელი ტერიტორია.

აკროპოლისის ფარგლებში იგებოდა საკულტო და საზოგადოებრივი ნაგებობები და ერთიან ხუროთმოძღვრულ ანსაბლს წარმოადგენდა.


არქაულსა და კლასიკურ პერიოდში ის აღიქმებოდა, როგორც პოლიტიკური და რელიგიური ერთიანობის გამოხატულება.

ელინისტურ ხანაში ზოგიერთი ქალაქის აკროპოლისს, მხოლოდ თავდაცვითი მნიშვნელობა შერჩა.

იხ. კრემლი, ციტადელი, შიდა ციხე, ზედა ციხე, ციხის-ციხე, რაბატ.



სურ. 3. ტირინთოსი, აკროპოლისი (ძვ. წ. XIV - XIIIს.) ათენის აკროპოლისი (ძვ. Vს.)



სურ. 4. პერგამონი, აკროპოლისი (ძვ. წ. III ს.)

ატრიუმი (ლათ. *atrium*)

თავდაპირველად რომაული სახლის ძირითადი დარბაზი ცენტრალური კერით. მოგვიანებით სახლის შუაგული, სანახევროდ ღია დარბაზი, შიდა ეზო, მისაღები. ატრიუმთა უმრავლესობა შეიცავდა, როგორც იმპლუვიუმს, ისე კომლივიუმს. ვიტრუვიუსის კლასიფიკაციით არსებობდა ატრიუმის ხუთი ძირითადი სახეობა.

რომაული ტაძრების წინა ეზო (იხ. პარადისი) უადრესი ქრისტიანული ტაძრების წინა, წმინდა განბანისათვის გამიზნული ეზო, ცენტრალური ჭით. ქრისტიანული ბაზილიკების დასავლეთ მხრიდან გამართული ღია, სარიტუალო ეზო, განბანისათვის გამიზნული ფიალით.

იხ. ატრიუმი - დისპლუვიატუმი ატრიუმი - კორინთული ატრიუმი - ოთხვეტიანი ატრიუმი - ტოსკანური ატრიუმი - ტესტუდინატიუმი

ატრიუმი - დისპლუვიატუმი (ლათ. *displuviatum*)

დისპლუვიატუმი ნიშნავს წვიმის წყლის გარეთ გადაშვებას. ესაა ოთხქანობიანი სახურავით აღჭურვილი ატრიუმი - სახურავის კალთები თანაბრად დახრილი და ნალექისეულ წყლებს მიმართავს სივრცის გარეთ და არა შიდა ეზოში.

ატრიუმი - კორინთული (ლათ. *corinthius*)

კონსტრუქციულად თითქმის იგივეა, რაც ტოსკანური ატრიუმი. ვიტრუვიუსის ტექსტიდან ისე ჩანს, რომ კოჭები სცილდება კედლებს და ეყრდნობა ატრიუმის გარეთ აღმართულ სვეტებს.

ატრიუმი - ოთხსვეტიანი (ბერძნ. τετρα-στυλις)

ზედა სტრუქტურა მთლიანად ოთხ ცენტრალურ სვეტს ეყრდნობა.

ატრიუმი - პერისტილოსი (ბერძნ. περι-στυλις)



ელინისტური და ეტრუსკული საცხოვრებლების სინთეზით მიღებული რომაელთა სახლები. აქ ნაგებობის გრძივ ღერძზე, ატრიუმს პერისტილოსი ესაზღვრებოდა. მათ გარს ერტყათ სხვადასხვა დანიშნულების სათავსები. საცხოვრებლის აღნიშნული ტიპი საბოლოოდ ახ. წ. II ს-ის ბოლოს ჩამოყალიბდა.

ატრიუმი - ტოსკანური (ლათ. tuscānium; იგივეა რაც ეტრუსკული)


აქ კოჭები განივადაა კედლებზე განფენილი, მათ ეყრდნობა იმპლუვიუმის ჩარჩო და გადახურვის ქანობები.

ატრიუმი - ტესტუდინატიუმი (ლათ. testudinatum)

ოთხქანობიანი სახურავით გადახურული ატრიუმი, იმპლუვიუმის გარეშე.



34. Plan i przekrój domus italskiego: a — impluvium, b — ala, d — taberna, e — cubiculum, f — triclinium; 1 — fauces, 2 — atrium, 3 — tablinum, 4 — hortus



სურ. 5. ატრიუმი


ბ ა ზ ი ლ ი კ ა (βασιλική - სამეფო სახლი; ლათ. basilica)
 სახელწოდება მომდინარეობს ათენის აგორაზე მდებარე არქონტის
 (ბასილეოსის) საუწყებო დარბაზიდან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.
 ნაგებობა სამნავიანი ყოფილა.

1. რომში ბაზილიკებს სავაჭრო და სამოსამართლო დაწესებულებების ფუნქცია ჰქონდათ. ამ გრძივ ნაგებობებში სივრცეს სამ ან ხუთ ნავად (nāvis) ანაწევრებდა ასევე გრძივად განთავსებული კოლონადები. ამასთანავე ცენტრალური ნავი გვერდით ნავებთან შედარებით განიერი და მაღალი იყო. ფრონტალურ მხარეებზე ბაზილიკები აღჭურვილი იყო პორტიკოსებით (კარიბჭეები), ხოლო ნაგებობის სიღრმეში შექმნილი იყო ნახევარწრიული ნიშა (ექსედრა, აფსიდა), სადაც ხშირად ღვთაების ქანდაკება იდგა.


2. ძველ რომში ბაზილიკა ეწოდებოდა ცალნავიან დარბაზებს, აგრეთვე სვეტთა ერთი რიგით დანაწევრებულ ორნავიან ნაგებობებს, ამასთანავე იმ ვილებსა და ქალაქგარე სახლებს, სადაც საქმიანი გარიგებები მიმდინარეობდა.

3. ქრისტიანული ეკლესიის ის სახე, რომელიც ტიპოლოგიურად რომაული ბაზილიკების გეგმარებით სქემას იმეორებს. დასავლეთში ისინი გადახურული იყო ხის ფერმებით, ხოლო აღმოსავლური ქრისტიანული ბაზილიკები უმეტესად ნახევარცილინდრული კამარებით. ნაგების რაოდენობა სამი, ან იშვიათად ხუთი იყო. სივრცე ნაწევრდებოდა, როგორც სვეტთა, ისე ბურჯთა რიგებით.

ბაზილიკათა უმეტესობა დასავლეთის მხრიდან შეიცავდა ატრიუმსა და ნართექსს, ამ უკანასკნელს კი ხშირად ებმოდა ექსონართექსი.



სურ. 6. ბალხი (ავღ. გუმბათი ბალხი)



სურ. 7. პარაბოლოიდური გუმბათი

პარაბოლოიდური გუმბათი იგი ეფუძნება კვადრატს ან მასთან მიახლოებულ მართკუთხედს. იქმნება კუთხეებიდან ამოყვანილი აგურის დახრილი წყობით და ოთხი სექტორის შეუღლებით. სახელი დაერქვა იმ ტოპონიმის მიხედვით, სადაც პირველად დაფიქსირდა გუმბათის აგების ამდაგვარი ტექნოლოგია (ეს პუნქტი ლოკალიზდება ჩრდილოეთ ავღანეთში).

ბ რ უ ნ ე ლ ე ს კ ი, ფილიპო ბრუნელესკი (brune'leski - ბრუნელესკიდან, ბრუნელესკოელი) დაიბადა 1377 წელს ფლორენციაში და იქვე გარდაიცვალა 1446 წელს. იტალიელი მოქანდაკე, არქიტექტორი და მოაზროვნე. რენესანსული არქიტექტურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ადრეული იტალიური რენესანსის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისმიერაა შემუშავებული პერსპექტივის მეცნიერული საფუძვლები. რომში იმყოფებოდა 5 წლის განმავლობაში და შეისწავლიდა კლასიკურ არქიტექტურულ თარგებს, დეტალებს, არქიტექტურულ ორნამენტებს, პროპორციებსა და სხვ.

1407 წლიდან საბოლოოდ დამკვიდრდა ფლორენციაში. მის შემოქმედებაში ჭარბობს რომაული არქიტექტურული ტრადიციები, ბერძნული ორდერისათვის მას არ მიუმართავს. მისი ხელმძღვანელობით 1438 წელს დასრულდა

ფლორენციაში სანტა მარია დელ ფიორეს სარტყელებიანი გუმბათი (ფუძის დიამეტრი 42 მ). 1944 წელს დაასრულა ბავშვთა თავშესაფრის მშენებლობა (ჰოსპიტალი) ფლორენციაშივე, მის მიერაა დაპროექტებული სან ლორენცოსა და სან სპირიტოს ბაზილიკათა ინტერიერები, ხოლო სან ლორენცოს საკრარაიუმი იმ დროისათვის ერთ-ერთი პირველი ცენტრული ნაგებობა იყო, რომელსაც აფრეზზე დაყრდნობილი გუმბათი აგვირგვინებდა.

საყურადღებო ძეგლია (დაუმთავრებელი) სანტა მარია ანჟელის ეკლესია, სადაც ექსტერიერზე თექვსმეტი წახნაგი იკვეთება, ინტერიერში კი - რვა. მის მიერაა შექმნილი საგვარეულო კაპელა (პაცოს კაპელა) და არაერთი პალაცო. პრაქტიკულად, მან იტალიური რენესანსული სასახლეების არქიტექტურული მოდელი და მხატვრული კანონი ჩამოაყალიბა. მანვე პირველად ააღორძინა და მხატვრულად გარდასახა კლასიკური ორდერი თავის ქმნილებებში.


იგი თავის ნაწარმოებებში ხაზგასმული ზომიერებით იყენებდა არქიტექტურული პლასტიკის ელემენტებს. მის მიერ შემუშავებული პროპორციები ჰარმონიულობის შეუდარებელ განცდას წარმოშობს. მისი არქიტექტურული ქმნილებები მშვიდია და გაწონასწორებული.



სურ. 8. ბრუნელესკი, ჰოსპიტალი

ბ უ კ რ ა ნ ი ო ნ ი (ბერძნ. βίαι-κράνωσ)


სკულპტურული სახე, ხარის ნიღაბი, მისი სტილიზებული გამოსახულებანი გირლანდებსა და ვარდულებს შორის ჩართული, ან დამატებითი ელემენტების გარეშე, ამკობდნენ სამსხვერპლოებს, საკურთხევლებს, ფრიზებსა და სხვ. ამ არქიტექტურული პლასტიკის საწყისი მოდელია მსხვერპლად შეწირულ ხართა თავები, რომლებიც სამსხვერპლოთა ირგვლივ იფინებოდა, სარებზე ჩამოცმულნი.



სურ. 9. ფრიზი

გეისონი (ბერძნ. γείσ(σ)ον)

კარნიზი ან მისი წინ გამოზიდული ნაწილი. დორიულ ორდერში იგი ზემოდან საზღვრავს ტრიგლიფონს, იონიურში - ფრიზს, ხოლო კორინთულში - გეისოპოდესს (კბილანებს). გეისონი უმეტესად პროფილირებული იყო და სიმასთან ერთად ნაგებობათა ზედა სარტყელს ქმნიდა.



სურ. 10. კარნიზი



გვირგვინი

ცრუ გუმბათი, ხის კონსტრუქციული შესაძლებლობებით მიღწეული ნაგებობის (ძირითადად ქართულ დარბაზულ სახლებში) ზედა დამაგვირგვინებელი სტრუქტურა, რომელიც იქმნება ძელების ან მორების ჰორიზონტალური წყობებით.

ყოველი მომდევნო, ჰორიზონტალურად დაფენილი ძელების წყობა რამდენამდე ცენტრისკენაა წაზიდული და ქვედა რიგთან შედარებით მათი ზომები თანდათანობით მცირდება. განირჩევა გვირგვინის რამდენიმე სახეობა. კლასიფიცირებული ალ. სუმბაძის მიერ:

1. კვადრატულ-კუთხოვანი წყობა. 2. კვადრატულ-პარალელური წყობა. 3. რვაკუთხოვანი კუთხური. 4. რვაკუთხოვანი პარალელური. 5. შერეული და 6. თორმეტკუთხოვანი კუთხური წყობა.

გვხვდება „ქვის გვირგვინებიც“, დარბაზული სახლების დამცრობილ მოდელებში. ეს ნაგებობები ძირითადად სამარხეულ არქიტექტურას განეკუთვნება.



გოთიკა

გუთური ხელოვნება, გუთური არქიტექტურა, სახელწოდება შუასაუკუნეების (ფრ. „art gothique“), ძირითადად XII - XVსს. ევროპული ხელოვნების სტილისა, რომლის არსი ყველაზე უკეთ სატაძრო არქიტექტურაში გამოვლინდა და მთელი კათოლიკური ევროპა მოიცვა. სახელწოდება მომდინარეობს ალორძინების ხანის იტალიური თეორეტიკოსებისაგან, რითაც მათ ხაზი გაუსვეს მის „ბარბაროსულ“ სახეს. მხოლოდ მოგვიანებით შეფასდა მისი როლი არქიტექტურის განვითარებაში, როგორც მრავალმხრივი, ნოვატორული მიღწევებით სასვე ეტაპი

გოთიკის (გუთური ხელოვნების) იდეური საფუძველი ქრისტიანული მსოფლმხედველობის სპირიტუალიზმი იყო, დაფუძნებული აბსტრაქტულ-იდეური უპირატესობის გამოვლინებასა და ფორმალურ სრულყოფილებებზე.

გუთური არქიტექტურა წარმოიშვა რომანული არქიტექტურის განვითარების ბოლო ეტაპზე და მიუხედავად ამისა, მან მთლიანად უარყო მისი მხატვრულ მიმართულებათა პრინციპები. დაეყრდნო რა ბაზილიკურ სქემებს, შექმნა სივრცის მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური რიტმი, რაც მიღწეულია კონსტრუქციული სტრუქტურის განვითარებით, საყრდენთა რთული კარკასული სისტემით.


დომინირებული სახე გუთურ ტაძრებში ისრულ-თაღოვანი ფორმებია, რომლებიც თითქმის ყოველ განაკვეთს მოიცავს. გოთიკურ არქიტექტურაში კედლები აღარ აღიქმება როგორც მარტოოდენ სივრცის შემომსაზღვრელი სიბრტყეები, მათი პლასტიკური სხეულები დამოუკიდებელ ფუნქციას იძენს, ითავსებენ სკულპტურულ ჯგუფებს, მდიდრულ კვეთილ ორნამენტს, ვიტრაჟებიან სარკმლებს, პილასტრთა კონებსა და სხვ.




სურ. 11. იორკშირი (1380 - 1430)

დანდაკა (სანსკ.)

„მანასარას“ მიხედვით ქალაქგეგმარებითი სქემა მცირე დასახლებისათვის - მართკუთხედი (სამშენებლო მოედანი) უნდა ნაწევრდებოდეს ოთხ თანაბარ ფართობად, რომლებიც, თავის მხრივ, გრძივად და განივად განვითარებულ მართკუთხედებად იყოფა.



სურ. 12



სურ. 13

დვარა (სანსკრ. dvāra)

ლიობი, გასასვლელი კარიბჭე, კარი. იხ. პურა-დვარა (pura-dvāra), პრადვარა (pradvara), სინჰა-დვარა (sinha-dvāra).

ენპლექტონი (ბერძნ. εν-πλεκτόν) სიტყვასიტყვით: დაწნული, გადაბმული.

ანტიკური პერიოდისათვის დამახასიათებელი კედელთა სტრუქტურა, მათი სამნაწილიანობა, როდესაც ორ საპირე წყობას შორის სიცარიელე შევსებულია დაუმუშავებელი ქვების მასივით.

დასტურდება ენპლექტონის სამი ძირითადი სახეობა:



1. ე.წ. ტრადიციული სახე - საპირე ქვების მხოლოდ საფასადე მხარეები მუშავდება, ხოლო მათ შორის სივრცე დაუმუშავებელი ქვების, საპირე მხარეთა წყობის შესაბამისადაა ნაგები.

2. ბერძნული ენპლექტონი - ქვათლილებით შედგენილი საპირე მხარეები გადაბმულია დიატონებით. საპირე წყობათა შორის სივრცე დაუმუშავებელი ქვებითა და ქვა-ღორღით ივსება.

3. რომაული ენპლექტონი - წყობის ეს ქვეტიპი საპირე კვადრების ყოველმხრივ დამუშავებას ითვალისწინებს, ხოლო მათ შორის სივრცე ბეტონით, წვრილი, კირხსნარში შერეული ქვების მასით ივსებოდა.

ეტრუსკული ტაძარი - სამცელიანი ტაძარი

ეტრუსკულ სამყაროში გავრცელებული საკულტო ნაგებობანი. აქ სწორკუთხა პოდიუმის შედარებით დიდი მონაკვეთი სვეტებიან პრონაოსს ეთმობოდა, ხოლო რამდენადმე მცირე, საკუთრივ საკულტო სივრცეებს - სამ, გრძივ, ერთმანეთისადმი პარალელურ „სათავსოს“. ყოველი მათგანი ადიტონს შეიცავდა. უხილველი მხოლოდ ცენტრალური ცვლა იყო. ნაგებობას ერთიანი, ორკალთიანი სახურავი ფარავდა. ეტრუსკულ სამყაროში ტაძრის ამ ტიპის (სამცელიანი) პოპულარობა განაპირობა ეტრუსკთა ზეციური და მიწისქვეშა ტრიადებისადმი განსაკუთრებულმა თაყვანისცემამ.



სურ. 14

ეხეიონი (ბერძნ. ἑχέϊον)

ინსტრუმენტი, რომელიც მძლავრ ხმას გამოსცემს. ἑχέα-დან - ხმის გამოცემა, ხმოვანება. აკუსტიკური ჭურჭლების ერთობლიობა, რომლებიც ჩასმული იყო ანტიკური და ქრისტიანული ტაძრების კედლებში, როგორც ხმის გამამძლიერებელი საშუალება - ექოს, გამოძახილის, ხმოვანი ეფექტის წარმომქმნელი. რეზონატორი. იხ. აკუსტიკა

ვიმპერგი (გერმ. Wimpel)

გუთური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი დეტალი, მაღალი წაწვეტებული სამკუთხედის ფორმის ფრონტონი, რომელიც აგვირგვინებდა კარიბჭეებსა და სარკმლებს. უმეტესად იგი ჭვირული იყო და ორივე მხრიდან შეიცავდა ფილებით შემკულ კარნიზებს. მის ქიმს ამკობდა სტილიზებული ჯვრული ყვავილის გამოსახულება.


ვიტრუვიუსი (Marcus Vitruvius Pollio; Vitruvi; Vitruvius; Vitruvio)

რომაელი ინჟინერი, არქიტექტორი, პოლიერტიკოსი, არქიტექტურის თეორეტიკოსი და ისტორიკოსი. ძვ. წ. II-ის II - ნახევარი, როგორც სამხედრო ინჟინერი, მონაწილეობდა პომპეუსის, იულიუს კეისრისა და ოქტავიანე ავგუსტუსის ლაშქრობებში.

მისი ტრაქტატი „De Architectura Libri Decem” - „არქიტექტურის ათი წიგნი“ ანტიკური ხანის ართადერთი, ჩვენამდე სრულყოფილად მოღწეული ყოვლისმომცველი შრომაა, სადაც თანმიმდევრულადაა გადმოცემული იმდროინდელი ცოდნის მთელი ის სისტემა, რაც აუცილებელ იარაღად ითვლებოდა ხუროთმოძღვრისა და მშენებლისათვის. იგი ერთდროულად არქიტექტურული ცნობარიცაა და მეცნიერული, თეორიული ხასიათის ნაშრომიც, ანუ ვიტრუვიუსმა შექმნა ერთგვარი ტექნიკური ოპერაცია.

ტრაქტატის ავტორის აზრით, არქიტექტურა მრავლისმომცველი ცნებაა და ძირითადად სამ დარგს აერთიანებს: საკუთრივ არქიტექტურას ანუ სამშენებლო ხელოვნებას (I - VIII წიგნები), გნომონიკას - დროის საზომ ხელსაწყოთა ტექნოლოგიასა (IX) და მექანიკას ანუ ცოდნას ამწეების, წყლის გადასაგდები მოწყობილობების, საალყო და სატყორცნი მანქანების შესახებ (X).

ვიტრუვიუსმა ტრაქტატი პრინციპსს, ოქტავიანე ავგუსტუსს მიუძღვნა. მის ტრაქტატში ასახულია არქიტექტურული მემკვიდრეობა „კოლხური სახლისა“ და „ფრიგიული სახლის“ სახელწოდებებით.



სურ. 15. ვიტრუვიუსი

ზაკომარა (რუს. закомара, ან закамара)


ბიზანტიური და რუსული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი დეტალი, რომელიც აგვირგვინებს საფასადე სიბრტყეების ზედა მონაკვეთებს და რამდენადმე წინგამოზიდული დეკორატიული თაღია ნახევარწრიული ან კილისებური ფორმის. მისი მოყვანილობა შეესაბამება შიდა სივრცის კამარის ფორმას.



სურ. 16

ზეთშინაჲ (თუმ. დიალ.) საცხოვრებელი სახლის ზედა სართული.

ზიკურატი (შესაძლოა უფრო სწორი ფორმა იყოს ძიგურატი („ziggurat“). ტერმინი ალბათ აქადურიდან მომდინარეობს). სახელწოდება შუმერული, ასურული და ბაბილონური საკულტო ნაგებობებისა. ისინი წარმოადგენდნენ კვადრატული ან მართკუთხა ფუძის მქონე პლატფორმებისაგან შედგენილი საფეხურებიანი პირამიდებია, რომლის ზედა ნიველირებულ ბაქანზე აღმართული იყო უზენაესი ღვთაებისადმი მიძღვნილი ტაძარი. პლატფორმები ერთმანეთს საფეხურებით ან ჰანდუსებით უკავშირდებოდა. მისი სტრუქტურა ალიზითაა ნაგები, ხოლო ვერტიკალურად დანაწევრებული საფასადე სიბრტყეები მოპირკეთებული იყო მოჭიქული აგურებით. როგორც ირკვევა, ზიკურატი პირველად სამხრეთ შუამდინარეთში ძვ. წ. IV - III ათასწლეულების მიჯნაზე შეიქმნა.




სურ. 17. ზიკურატი

თ ე ა ტ რ ი (ბერძნ. θεάτρον, სიტყვასიტყვით: სანახაობა)

სანახაობებისათვის შექმნილი ნაგებობა. მისი წარმოშობა უკავშირდება საბერძნეთში დიონისეს კულტისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულებს. მან საფუძველი ჩაუყარა ბერძნულ დრამას და სანახაობითი წარმოდგენების გამართვისათვის საგანგებო შენობის შექმნის აუცილებლობა განაპირობა.

თავიდანვე თეატრის ძირითადი ბირთვი ორქესტრა იყო, წრიული მოედანი და მასთან ახლოს მსახიობთა მოსაკაზმავი და საინვენტარო სათავსოები (სკენე). ორქესტრას ნახევრადწრიულად შემოუყვებოდა ხარისხებად ამღლებული მერხთა რიგები. თავდაპირველად თეატრები ხისაგან იგებოდა და დროებითი ნაგებობა იყო, მაგრამ მისი გეგმარებითი სქემა უცვლელი დარჩა დიდი სანახაობითი ნაგებობისათვის. ბერძნულ თეატრთა ძირითადი მახასიათებელია ის, რომ იგი გადაუხურავი, ღია ნაგებობა იყო. ამავე დროს, მრავლად შეიცავდა ცალკეულ განაკვეთებსა და სათავსებს.

რომაული თეატრები, რომელთა გეგმარებითი საფუძველი ასევე ბერძნული სქემაა, მაინც საგრძნობლად განსხვავდება პროტოტიპისაგან. აქ ორქესტრა ნახევრადწრიულია, შეიცავს ამფითეატრიდან გასასვლელთა მოხერხებულ სისტემას და სხვ.



სურ. 18. ამფითეატრი


თ ი რ ე ო ს ი, თიროსი (ბერძ. *τύρος*)

ქვის ფილა, რომელიც ვერტიკალურად აღმართული, საგანგებო ბუდეებსა და ღარებში ფიქსირებული ახშობს და კეტავს სამარხეული ნაგებობის კარის ღიობს, მათ შორის კლდოვან სამარხებშიც. დიდი, მაღალი და ოთხკუთხა საბრძოლო ფარი. იხ. პორტკულისი.

თ ო ლ ო ს ი (ბერძნ. *στόλις*)

ზოგადად, ყველა გეგმით წრიული ნაგებობა, უადრესი (ძვ. წ. VI - Vათასწლეულები) საცხოვრებლები, წრიული, ცრუ გუმბათით გადახურული სამარხები თუ საკულტო ნაგებობები და ა. შ.

ბერძნულ სამყაროში თოლოსები უმეტესად ჰერონებს წარმოადგენდა ან ხტონიკური ღვთაებებისათვის იყო მიძღვნილი. ძვ. წ. IVს-დან პერიპტერალური თოლოსებიც იგება, ხოლო იმავე საუკუნის ბოლოდან მთელი ელინისტური ხანის ჩათვლით, იგი საკულტო დანიშნულების უადრესად პოპულარულ სახედ იქცა. ტაძრის ეს სახე შეითვისა რომაულმა არქიტექტურამაც (იხ. როტონდა, ლათ. *rotundus*- მრგვალი; იტ. *rotonda*-მრგვალი).




სურ. 19

ი ა ნ ტ რ ა (სანსკრ. *yantra*) ხაზოვანი სახეები.

შემოსაზღვრულობა, საზღვარი, მაგიური გამოსახულება, სიმბოლო, თილისმა.

კოსმიური წესრიგის გეომეტრიული ასახულობა.



სურ. 20

ისოდომონი (ბერძნ. ἴσι-თანაბარი და δῆμιος-წყობა, შრე, რიგი და ა. შ.; ლათ. isodomon). კედლის თლილი ქვებით ნაგები ისეთი საკედლე წყობა, სადაც რიგები სიმაღლეში ერთი ზომისანი არიან. მეტ-ნაკლები სიზუსტით ქვათლილები სიგრძითაც უტოლდება ერთმანეთს.

შდრ. ფსევდოისოდომი (ლათ. pseudo-ყალბი და isodomon-თანაბარი რიგი).



სურ. 21

კაპიტელი (ლათ. cāpūt, capitulum - თავი, დასრულებული ზედა ნაწილი; ფრ. chapiteau- სვეტისთავი). სვეტის, ბურჯის, პილასტრის, ნახევარბურჯის და სხვათა დაგვირგვინება - სვეტისთავი.

ჩამოყალიბდა ძველი აღმოსავლეთის არქიტექტურაში, როგორც ხის (შუამდინარეთი), ისე ქვის ნიმუშების სახით (ძველი ეგვიპტე).

კლასიკურ პერიოდში ეს დეტალები არქიტექტურული ორდერის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ანტიკური კაპიტელების შემოქმედებითი გადამუშავების შედეგია, როგორც რენესანსული სვეტისთავები, ასევე მომდევნო პერიოდების ხუროთმოძღვრებაში ანალოგიური დანიშნულების დეტალები. კაპიტელი შუალედური დეტალია ნაგებობის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სტრუქტურებს შორის. იგი ხშირად არქიტექტურული სტილის ერთ-ერთ განმსაზღვრელად გვევლინება.

იხ. კაპიტელი დორიული, კაპიტელი იონიური, კაპიტელი კორინთული, კაპიტელი ტოსკანური, კაპიტელი კომპოზიტური, კაპიტელი ფიგურული, კაპიტელი ლოტოსისებური, კაპიტელი პაპირუსისებური, კაპიტელი პალმისებური, კაპიტელი ჰატორიკული, კაპიტელი ორმაგპროტომიანი (იმპოსტი) და სხვ.

იხ. κεφαλή-თავი, შესქელებული ზედა ნაწილი, სვეტისთავი.




სურ. 22. კაპიტელი: არქაული დორიული; იონური; კორინთული; ფიგურულ-კორინთული.

კოლხური სახლი

სახლი აღწერილი აქვს ვიტრუვიუსს თავისი II წიგნის, I თავში. როგორც ირკვევა, იგი მორების ურთიერთჭდობით ამოყვანილი კედლებითა და ასეთივე კონსტრუქციით ნაგები გადახურვით ფორმირებული სახლია, მისი ზედა ნაწილი პირამიდული ფორმის ცრუ-გუმბათი ერდოთია.

სახლი აგების შემდგომ თიხით ილესებოდა. ვიტრუვიუსის ტექსტის რეალურ

არქეოლოგიურ მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე დგინდება, რომ კოლხური სახლის სახელწოდებით აღწერილია ხის კონსტრუქციული შესაძლებლობებით ნაგები დარბაზული სახლი, მისი კოლხური სახესხვაობა.



სურ. 23

ლ ა ვ რ ა (ბერძნ. λάρια - ხეობა)

მამათა დიდი მართლმადიდებლური მონასტერი.

თავდაპირველად იგი ქვაბულებში დაბინავებულ განდევილ ბერთა სამშობებს წარმოადგენდა. თანდათანობით ლავრები სამონასტრო კომპლექსებად იქცა და იურიდიული სტატუსიც მოიპოვა, რომლის თანახმადაც, ლავრას უშუალოდ პატრიარქი ან უწმინდესი სინოდი განაგებდა და არ შედიოდა ეპისკოპალურ დაქვემდებარებაში.

ლ ა რ ა რ ი უ მ ი (ლათ. lararium)

საოჯახო კაპელა, სამლოცველო რომაულ სახლებში. ნიშის მაგვარი შეღრმავებანი კედლებში ან ტაძრის მოდელი, სადაც თავს უყრიდნენ საოჯახო და საგვარეულო მფარველთა გამოსახულებებს.


ლარარიუმები ჩვეულებრივ ატრიუმებში იმართებოდა ან სადმე მის სიახლოვეს (იხ. ლარი, lāris).

ლ ო ტ ო ს ი (ბერძნ. λατός; ლათ. lōtōs)

მდ. ნილოსის შროშანი, აფრიკის ჩრდილო, ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლზე გავრცელებული ყვავილი.

ამ ყვავილის სახე მეორე ათასწლეულიდან საფუძვლად ედება ერთ-ერთ, ეგვიპტური არქიტექტურისათვის დამახასიათებელ მცენარეულ სვეტს ლოტოსისებურს, მისი ასახულობა ხშირია ორნამენტულ არშიებზეც და სხვ. ლოტოსისებური სვეტი ეგვიპტეში აღორძინდა პტოლემაიოსურ ხანაში.

საქართველოში მიკვლეულია ლოტოსისებური კაპიტელის რამდენიმე ნიმუში, თუმცა მათ თარიღზე რაიმეს გადაჭრით თქმა შეუძლებელია. ლოტოსის ყვავილის სახე ჩვენს ნიმუშებში თითქოსდა დორიულ კაპიტელთან არის შეუღლებული. იხ. პაპირუსისებური სვეტი; პალმისებური სვეტი, ლოტოსისებური სვეტი.




სურ. 24

მ ა ვ ს ო ლ ე უ მ ი, მ ა ვ ს ო ლ ე ი ო ნ ი (ბერძნ. Μαυσαλειον)

ნაგებობა ჰალიკარნასოსში კარიის ტირანის, „მეფის“, მავსოლის სამკვალე. აიგო მისი მეუღლის არტემისიას ძალისხმევით ძვ. წ. IVს-ის შუაწლებში არქიტექტორ პითეუსის მიერ. მისი რელიეფური პლასტიკა შექმნეს ბერძნული გვიანკლასიკური ხანის დიდმა მოქანდაკეებმა სკოპასმა, ლეოხარესმა, ბრიაქსისმა, ტიმოთეოსმა. ნაგებობა კუბის ფორმის მაღალ კვარცხლბეკზე აღმართულ იონიური კოლონადაა, პირამიდული სახურავით, რომელიც კვადრიგით სრულდება.

მავსოლეუმი მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის ერთ-ერთია. არსებობს ამ ნაგებობის რამდენიმე ავტორის მიერ შექმნილი გრაფიკული რეკონსტრუქცია. შემდგომში მავსოლეუმი ზოგადად მონუმენტური სამარხეული ნაგებობის აღმნიშვნელად იქცა, მაგ.: ოქტავიანეს ავგუსტუსისა (ძვ. წ. 28წ.), იმპერატორ

ჰადრიანეს (ახ. წ. 134წ.) და მრ. სხვ.



სურ. 25

მ ა ნ ა ს ა რ ა (სანსკრ. manasara)

შილპაშასტრას ერთ-ერთი განაკვეთი. არქიტექტურული ტრაქტატი, რომელიც გადმოგვცემს რეკომენდაციებს დასახლებათა შესახებ, მათი დანიშნულების, მოსახლეობის შემადგენლობის, რაოდენობისა და ლანდშაფტის მიხედვით.

ესაა სარეკომენდაციო სქემა ადმინისტრაციული ცენტრებისთვის, სავაჭრო-საწარმოო, სანაოსნო, საკულტო და სხვ. დანიშნულების პუნქტებისათვის.

მისი შექმნა მიეწერება ჩრდილო ინდოეთის არქიტექტურული სკოლის ფუძემდებლის - მანასარეს.

მანასარაში აგრეთვე მოცემულია გეომეტრიული სქემები - რეკომენდაციები რვა გამაგრებული ქალაქისა და რვა რეგულარული საფორტიფიკაციო სისტემისა.


იხ. დანდაკა, სვასტიკა, სარვატობხადრა, პრასტარა, ნანდიავარტა, ჩატერმუკხა, ჰადმაკა, კარმუკა.

ნ ა მ ა ზ გ ა, ნ ა მ ა ზ გ ა მ ე ჩ ე თ ი

მეჩეთი, რომელიც მხოლოდ მუსულმანთა ორი დიდი დღესასწაულის, ყურბან-ბაირამისა და რამაზანის დადგომისას იხსნება მლოცველთათვის.

ნ ა რ თ ე ქ ს ი (ბერძ. ναρθηξ; ლათ. narthex)


ქრისტიანული ტაძრების წინკარი, დახშული გალერეა ან ღია პორტიკოსი გამართული ტაძრის დასავლეთი მხრიდან. ზოგჯერ მას გადახურულ გალერეასაც უწოდებდნენ, რომელიც ტაძარს სამი მხრიდან ერტყა გარს (გარდა აღმოსავლეთის მხარისა).



სურ. 26

ო დ ა (თურქ. oda - ოთახი ან უფასო საზოგადოებრივი ნაგებობა სოფლის სტუმრებისათვის)

საცხოვრებლის ტიპი, რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს რეგიონებში (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, ქვემო რაჭა, აჭარა) იყო გავრცელებული. იგი ძირითადად ქვის ან ხის ბურჯებზე შედგმული ხის, კრამიტით ან ყავრით გადახურული ნაგებობაა, შიგავდა ბუხარს ან ბუხრებს. გრძივ მხარეებზე ფართე აივნებს. შიდა სივრცე იყოფოდა სამინებელ ოთახებად და „ზალად“ - ანუ დარბაზად. ხშირად ოდების ქვედა სართულზე „პალატი“ იყო გამართული, რომელიც უმეტესად სამეურნეო ფუნქციებისთვის იყო გამიზნული, თუმც იქ თუ ბუხარი არსებობდა სტუმრებსაც იღებდნენ.



სურ. 27

ორდერი (გერმ. Ordnung; ფრ. Ordre; ინგლ. orders; ლათ. Ordo-დან - წესრიგი, კანონი, გადაბმულობა, რიგი)

არქიტექტურული წესრიგი და მისი კანონიკურობა


იგი კონსტრუქციული და ესთეტიკური კატეგორიების ერთიანობაა. ის დამყარებულია მოდულურ სისტემაზე, მკაცრად განსაზღვრულ პროპორციებსა და მეტროლოგიურ ზღვრებზე.

ორდერი ძირითადად ეწოდება ბერძნული არქიტექტურის მხატვრულ კანონებს: დორიულის, იონიურის, კორინთულის, რომლებიც შეიქმნა საწყისი მოდელების განვითარების საფუძველზე, ვერტიკალური (სვეტები) და ჰორიზონტალური კონსტრუქციული დეტალების ერთიან სისტემად ჩამოყალიბების შედეგად.

ორდერის ყველა ელემენტი მხატვრულად და ტექტონიკურად ერთმანეთს ეპასუხება. არქაულმა, ეოლიურმა ორდერმა ადრევე შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა. რომაული ორდერები, ტოსკანური, დორიულ-ტოსკანური, კომპოზიტური, ბერძნული ორდერების შემოქმედებითად

გადამუშავების შედეგია, ისევე, როგორც ეს იყო რენესანსისა და მომდევნო პერიოდების არქიტექტურაში.

ხშირად ორდერით, როგორც წესრიგი და კანონი, კლასიფიცირდება ძველი აღმოსავლური არქიტექტურაც. იხ. ორდერი დორიული, ორდერი იონიური, ორდერი კორინთული, ორდერი ეოლიური, ორდერი ტოსკანური, ორდერი კომპოზიტური, ორდერი ეგვიპტური, ორდერი აღმოსავლური.



სურ. 28

„ოქროს კვეთა“

„საუკეთესო შეფარდება“ (კვეთა, პროპორცია).

ტერმინი ლეონარდო და ვინჩის მიერაა დამკვიდრებული. ძველი ბერძნები ამ პროპორციას „კიდურასა და შუათანა („მომდევნო“) რიცხვის შეფარდებას უწოდებდნენ.

ეს ისეთი შეფარდებაა, რომელიც ჰარმონიულად აკავშირებს ერთმანეთთან რაიმე ქმნილების მთლიანობასა და მისი ნაწილების სიდიდეებს. პლატონს საუკეთესო ურთიერთკავშირად მიაჩნდა განზომილება, რომელიც თვით „სხეულში“ - ქმნილებაში არსებობდა და დააკავშირებდა ნაწილებს ისე, რომ წარმოშობილიყო „ნაწარმოები“ როგორც ერთიანი და მთლიანი, ანუ როცა სამი


რიცხვიდან (განზომილებიდან) შუალედური ისე უნდა შეეფარდებოდეს მესამე განზომილებას, როგორც პირველი - შუალედურს. ე. ი. მცირე მონაკვეთი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი შეეფარდება მთლიანს.

ამ პროპორციის რაოდენობრივი გამოსახულება მიიღება ირაციონალური რიცხვების რიგით: 0,056; 0,090; 0,146; 0,236; 0,382; 0,618; 1,0; 1,618; 2,618 და ა.შ. ამ რიგში ყურადღებას იპყრობს ის, რომ ყოველი მომდევნო რიცხვი, წინა ორი რიცხვის ჯამია. ამასთანავე ყოველი წინა რიცხვი გაყოფილი მომდევნოზე გვაძლევს $\approx 0,618...$ ეს რიცხვი პრაქტიკაში ხშირად დაიყვანება 0,6-მდე.

მაგ.: $0,056:0,090=0,622...$ $0,090:0,146=0,616...$ $0,146:0,236=0,6186...$ და ა.შ.

მსგავს თვისებებს შეიცავს მთელი რიცხვების რიგიც, რომელიც გამოავლინა XIII-ის იტალიელმა მათემატიკოსმა ლეონარდო პიზელმა (მეტსახელი ფიბონაჩი). 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55, 89, 144 და ა. შ. ამ პროპორციის ზუსტი მნიშვნელობა გამოისახება ფორმულით $\sqrt{5}-1/2$. ამ პროპორციის პრაქტიკულ გამოყენებას ჯერ კიდევ ძვ. ეგვიპტის ხუროთმოძღვრებაში ვხვდებით (მაგ.: ფარაონ მიკერინის (მენკაურას) პირამიდაში).

მონაკვეთის „ოქროს კვეთით“ დაყოფის სქემა გულისხმობს, რომ C ისე შეეფარდება B-ს, როგორც B შეეფარდება a-ს.



სურ. 29

პ ა გ ო დ ა (სანსკრ. Pagode)

ბუდისტური ან ინდუსური, მრავალსართულიანი კოშკურა ტაძარი, გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში (ჩინეთი,

იაპონია, ინდოეთი, კორეა და სხვ.) როგორც ჩანს სახელწოდება წარმოიშვა სტუპას ერთ-ერთი სახეობა „დაგობასაგან“_ პაგოდას არქიტექტურული სახე ჩამოყალიბდა, როგორც კომპურა ტაძარი, მრავალსართულიანი მაღლივი შენობა, სადაც ყოველი მომდევნო სართული ფართობით ნაკლებია ქვედაზე.



მათი სახურავის ქანობები რკალისებურია და ერთგვაროვანი.

სურ. 30

პ ე ხ ი ს ი (ბერძნ. πῆχυν)

დასაკეცი სახაზავი, კუთხედი (გონია), ხელი. საზომი ერთეული, წყრთა, მონაკვეთი იდაყვიდან თითებამდე. უდრიდა 24 დაქტილოსს (თითს) - დაახლოებით 46სმ-ს. სამეფო წყრთა (πῆχυν βασιλῆως) 27 დაქტილოსის (თითის) ტოლი იყო. იხ. წყრთა.

ჟ ა რ დ ი ნ ი (ფრ. Jardin)

ბოტანიკური ბაღი. ადგილი ბაღის სიახლოვეს, საყვავილე, ბაღების განაშენიანება და სხვ. სახლებში ყვავილთათვის განკუთვნილი თაროები ან ნიშები.

რ უ ს ტ ი კ ა (ლათ. rustice-სოფლური, უხეში)

კვადრული წყობის ის სტილი, სადაც მათი საპირე მხარეები გამოზურცული და რელიეფურია (და არა სუფთად გათლილი). სხვადასხვაგვარი იყო თვით კვადრთა (ქვათლილთა) სახეები. გვხვდება პირამიდულად გამოზიდული

საფასადე მხარე, მოჩარჩოებული ან უხეშად გათლილი ნიმუშები და სხვ. Opus rusticum - ტერმინი აღნიშნავს საკედლე წყობის პროვინციულ სტილს.



სურ. 31

ს ტ ა დ ი ო ნ ი (ბერძნ. στάδιον; ლათ. stadium)

ბერძნული ოლიმპიური სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 184,97მ-ს, ანუ 625 რომაულ (ატიკურ) ფეხს (ტერფი, ფუტი).

სარბიელი, სპორტული შეჭიდებებისათვის განკუთვნილი ნაგებობა ანტიკურ სამყაროში. თავდაპირველად ის მოკლე დისტანციებში რბენისათვის იყო განკუთვნილი, მოგვიანებით დაბრკოლებათა გადალახვებისთვისაც და სხვ. წარმოადგენდა გრძივ, სწორკუთხა მოედანს ცალ მხარეს მაყურებელთა ტრიბუნებით. ანტიკურ სამყაროში სტადიონის სიგრძე სხვადასხვა იყო, მაგ.: დელფოსის სტადიონი 177,55მ-ის ტოლია, ხოლო რომაული სტადიონი 176,6მ-ს უდრიდა და ა. შ. მოედნის მოკლე და გრძივი გვერდის შეფარდება ყველგან 1:7 იყო. ე. ი. სტადიონის სიგანე სიგრძის 1/7 ნაწილს წარმოადგენდა.

ტ ი ნ ი (ჩინ. t'ing)

ჩინური იეროგლიფი „ტინ“ აღნიშნავს ფარდულს, კონქს, ქობს.




სურ. 32

ტ რ ა ნ ს ე პ ტ ი (ლათ. trans-saepta; ფრ. transept)

განივი ნავი, ბაზილიკებსა და ჯვრის გეგმის მქონე ეკლესიებში გრძივი სივრცე, რომელიც ტაძრის დასავლეთ-აღმოსავლეთ ნავს კვეთს

სწორხაზოვნად და ქმნის ნაბობაში ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულეზასაც.

ძირითადი და გადამკვეთი (ტრანსეპტი) ნავეები, გადაკვეთის არეალში ბუნებრივად წარმოშობს არქიტექტურულ დომინანტს - გუმბათს.




სურ. 33

ტ რ ი გ ლ ი ფ ი (ბერძნ. ტრი და γλῶφα)

ღორიული ფრიზის შემადგენელი დეტალი მეტოპასთან ერთად. მეტოპებს შორის მოქცეული, ვერტიკალურად აღმართული და ვერტიკალურადვე დაღარული ფილა. ღარები განიკვეთში სამკუთხედებია.

ტრიგლიფი შეიცავს ორ სრულფასოვან ღარს და კიდეებში ღარის განახევრებულ ვერტიკალურ კვეთებს.



სურ. 34

ფ ო ნ - შ უ ი (ჩინ. 鬲 鬲 鬲)

ჩინური ხალხური არქიტექტურული თეორია.

ქარ-წყალი. შეიცავს ცოდნას დასახლებული ადგილის, ნაგებობის ან

სამარხის გეოგრაფიული და კლიმატური პირობების შესახებ (რელიეფი, ჰიდროლოგია, ქარების მიმართულებანი და სხვ.). ამ თეორიი მიხედვით, სახლს წინ მდინარე უნდა ჩაუდიოდეს, უკან კი მთების მასივია სასურველი, ფასადი მიმართული უნდა იყოს სამხრეთისაკენ და ა. შ.

ფორტიფიკაცია (იტალ. fortificatorio, მიღებულია ლათ. fortis-დან; ისევე როგორც ფრ. fortification) - სიმაგრე. ფორტიფიკაცია - სამხედრო არქიტექტურისა და ინჟინერიის ძირითდი დარგი, „მეცნიერება სიმაგრეთ შესახებ“. დამოუკიდებელი დარგი, რომელიც აერთიანებს სამშენებლო საქმესა და სამხედრო ხელოვნებას. მისი მიზანია საქალაქო ტერიტორიის ეფექტური დაცვა და მტრისათვის დაბრკოლებების შექმნა.


ქალაქი

ისეთი დასახლებული პუნქტი, რომელიც ცენტრია გარკვეული ტერიტორიისათვის და სადაც მიმდინარეობს გადანაწილება მაგ., პოლიტიკური და სამხედრო შეხედულებებისა, რელიგიური წარმოდგენებისა, სასაქონლო- ურთიერთგაცვლითი, ან ადმინისტრაციული მოქმედებების. ის საგანმანათლებლო ცენტრსც იყო წარმადგენდა (შემეცნებათა გადანაწილება) და ა. შ.

დროთა განმავლობაში საქალაქო სივრცე იქცევა ბაზრადაც და პოლიტიკურ ბაზისადაც და სხვ., მაგრამ მისი თავდაპირველი წარმომშობი ადამიანისა და საზოგადოების უადრეს ეტაპებზე ყოველთვის ტაძარი, წმინდა ადგილი იყო. იხ. პოლისი.

ქარგილი

ხის წინასწარი და დროებითი კონსტრუქცია (ზოგჯერ აგურის ჩანართებით), რომელიც იმეორებს დაპროექტებული მრუდხაზოვანი სტრუქტურების (თალი, კამარა, გუმბათი) მოყვანილობას, რათა აგურით, ქვითა თუ ბეტონით ამოყვანილი ყოველი მონაკვეთი დააფიქსიროს და მთლიანობაში მოიყვანოს. ხის თარგი, მრუდხაზოვანი არქიტექტურული თემებისა და საინჟინრო ნაგებობესითავის (მაგ., თაღოვანი ხიდებისათვის).



სურ. 35

შორენკეცი


კერამიკის ან ქვის ფილა, უმეტესად კვადრატული მოყვანილობისა, რომელიც, როგორც ცალკეული დეკორატიული მოტივი ჩართულია კედლებში, ბუხრებზე, კანკელებში და სხვ. შორენკეცები, როგორც წესი, შემკული იყო ორნამენტებით და ზოგჯერ ფიგურებით. იხ. იზრაზეცი რუს. изразец; გერმ. Kachel, Tonfliese.



სურ. 37

ჩაჰარ-ტაგი (სპ. - Chāhār-tāg)

ოთხთაღედი, ოთხ ბურჯზე დაფუძნებული და ტრომპებზე ამოყვანილი გუმბათით დასრულებული ნაგებობა. ბურჯებს შორის ოთხი თაღოვანი ღიობი წარმოიშვება. ნაგებობის ეს ტიპი საფუძვლად დაედო გვიანდელ (სასანურ) ზოროასტრულ სამლოცველოებს (ათეშგა), იხ. ჩაჰარ-კაპუ.



სურ. 38 თბილისის „ათეშგა“, ჩაპარ-ტაგი.

ძოგრაფოსი (ბერძნ. ζα-γράφος) მხატვარი, ფერმწერი.

საქართველოში ადრექრისტიანული ხანიდანვე (ახ. წ. IVს) მოღვაწეობდა მთავარი მხატვარი (ἀρχι-ζαγράφος) და არქიტექტორი (ἀρχι-τέκτων) ავრელიოს აქოლისი. იგი იხსენიება მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე მიკვლულ წარწერაში (ეპითაპია) და მცხეთაშივე, ეკლესია „ანტიოქის“ სტრუქტურაში ჩამენებულ სტელაზე.

ხუროთმოძღვარი, ხუროთა მთავარი

იგივეა, რაც არქიტექტონი (ბერძნ. ἀρχι-τέκτων) თანამედროვე ტერმინოლოგიით არქიტექტორი. მშენებლთა ხელმძღვანელი. ძველი სამყარო არ არჩევდა ჩვენთვის უკვე ორ პროფესიად ჩამოყალიბებულ დარგებს: არქიტექტურასა და ინჟინერიას. არქიტექტონი არქიტექტურული იდეის ავტორი, პასუხისმგებელი იყო მის მიერ დაგეგმარებული ნაგებობის მდგრადობაზეც და ჰარმონიულობაზე (მშვენიერებაზე).


ჰატორიკულიკაპიტელი

ეგვიპტური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ფიგურული სვეტისთავი, რომლის ფასადები ქალღვთაება ჰატჰორის რელიეფური გამოსახულებებითაა შემკული. ჰატჰორი - ძველეგვიპტურ მითოლოგიასა და რელიგიაში ნაყოფიერების, სიყვარულისა და სიხარულის ქალღვთაებაა. იგი ქალის სახითა და ძროხის ყურებით გამოისახებოდა.



სურ. 39

ჰელეპოლისი, ან ჰელეპტოლისი (ბერძნ. ἑλέ-πολις; ἑλέ-ალეβα და პოλις-ქალაქი, ან ἑλέ-πολις) სააღყო მაქანა, შექმნილი დემეტრიოს პოლიორკეტიკოსის მიერ, „ქალაქთა ამლები“. მოძრავი კოშკი, სასიმაგრო კედლების ასაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობის დანადგარი. მას შეეძლო უშუალოდ მისდგომოდა კედელს ან კოშკს და ჯარის ნაწილები შეტევისათვის საგანგებო პატარა ხიდების საშუალებით პირდაპირ ასაღები ქალაქის კედლებზე მოხვედრილიყო, ან ახლო მანძილიდან ეფექტურად ეტყორცნათ ისრები ქვის ბირთვები (ჭურვები).



სურ. 40

რეზიუმე

ლექსიკონი არქიტექტურის განვითარების უახლეს პერიოდებს XX - XXI საუკუნეებს არ შეეხება. „არქიტექტურული თანამედროვეობა“ და მისი ტერმინოლოგიის ლექსიკოგრაფიული დამუშავება არქიტექტურის უახლესი ისტორიის საქმეა.

განმარტებითი ლექსიკონის ფუნქცია საყოველთაოდაა განსაზღვრული: გაზარდოს შემეცნება და ცნობადობა, თავიდან აიცილოს „ტერმინოლოგიური დაბნეულობა“, ე.ი. გაუცნობიერებლობა. ლექსიკონი შეეცდება, გაუადვილოს მკითხველს არქიტექტურული შინაარსის შემცველი ტერმინის სწრაფი მოძიება.

Architectural Dictionary of the Old World

Guram Kipiani

Resume

The Old World remains to be a nominal and unspecified concept until it is properly defined. The dictionary does not cover architectural development of the most recent periods i.e. XX-XXI centuries. The “architectural modernity” and its lexicographic documentation is the job that should be done by specialists of recent history of architecture.

The role of an explanatory dictionary, as it is commonly defined, is to enhance perception and awareness and prevent “terminological confusion”, i.e., misconception. The latter has been increasingly noticeable almost everywhere – it can be found in subject literature, various presentations, speeches and among staggering number of students. They are overwhelmed by “known unknown” words, and struggle to ask certain questions. The dictionary attempts to give answers to those questions, and most importantly, make subject literature easier to read and provide quick search of unknown architectural terms.

Dictionary Composition

Architects, Architecture Theorists, Urbanists, Engineers, Constructors, Sculptors, Fortificators, Poliorcetics, e.g., Adam, Arsuqidze, Bryaxis, Brunelleschi, Vignola, Vitruvius, Haraba, etc.

Architectural Styles and Heritage

Empire, Achaemenid Architecture, Baroque Architecture, Gothic Architecture, Classicism, Armenian Architecture, Georgian architecture.

Architectural Terms, e.g., Abaton, Entablature, Basilica, Capital, House, etc.

Buildings, Ensembles and Complexes - Acropolis, Amphitheater, Glyptoteque, Gopuram, Lavra, Monastery, Sokhasteri and others.

For example: AGORA (Greek ἀγορά) - one of the main institutions of military democracy in the ancient Greece – the public gathering place – the assembly, the place where various meetings were held. The areas of the Greek towns, representing a whole ensemble comprising of public buildings. A main area for public gathering, which also served as a space for economic, political and scientific life of citizens. From the Hellenistic period, Agora would serve as a religious center as well. There may have been several agoras in one city (see also: Marketplace, Forum, Square).

Engineering Communication Facilities, e.g., Aqueduct, Viaduct, Bond, Cross-road, etc.

Fortification Facilities, e.g., Godoli, Tower, , etc.

Ornaments and Archaeological Classics, e.g., Akanthus, Anthemion, Bas-relief, Circle-Rhombus Plexus and others.

Poliorcetica, e.g., Catapult, and many others.

The dictionary contains definitions for metrological and proportion systems, reports on wind direction, building materials, masonry, time and distance measuring units, rocky terrain and burial architecture. Explanations of various symbols and cosmograms, and etc. are also included. The dictionary features a large number of illustrations.

Заявка о книге "Толковый Словарь Архитектурных Терминов Древнего Мира"

Г. Кипиани

Резюме

Над составлением вышеуказанного словаря я давно работаю. Понадобится еще немало времени для завершения труда. На этот раз мне бы хотелось представить несколько терминов на обсуждение и буду ждать откликов со стороны коллег.

Древний Мир - это понятие условное и указывает на то, что словарь не содержит термины XX-XXI веков, таких, как например "автотрасса", "аэровокзал" и т.п., и терминология "архитектурной современности" - дело специалистов новейшей истории архитектуры.

Цель любого толкового словаря одна и та-же - избежать т.н. терминологического недоразумения, наблюдающегося и в специальной литературе, и во время докладов и презентаций.

Т.н. терминологическое недоразумение достигает катастрофического уровня среди студентов. У них накаплиются "знакомо-незнакомые" слова, постепенно они затрудняются задавать вопросы, а это в конечном счете уже явление психологического порядка.

Словарь намерен отвечать на их вопросы; а главное, облегчить им восприятие специальной литературы, т.е. быстро найти объяснение незнакомого слова.

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა არქიტექტურული მემსიერების ჭრილში

ჩაჩავა ნ.,

ასოც. პროფ.

ლევკვიშვილი ნ.,

დოქტორანტი

ლევკვიშვილი მ.

არქიტექტორი

საკითხის პრობლემას და აქტუალობას წარმოადგენს დროთა განმავლობაში არქიტექტურული ძეგლების დაზიანების პროცესი, ხშირად თანმხლები ლანდშაფტური ცვლილებების ფონზე.

100 წლის წინანდელი ქრონიკა, დოკუმენტური მასალა, რომელიც არსებობს ამა თუ იმ ძეგლზე გვაძლევს შედარების საშუალებას. ზოგიერთი ძეგლი საერთოდ აღარ არსებობს და დარჩა მხოლოდ მათი ფოტომასალა.



სურ. 1 ვარძიის 3D ლაზერული სკანერით მიღებული გამოსახულება

პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ძეგლების ფიქსაცია და დოკუმენტირება. რაც ხორციელდებოდა ათეულობით წლების განმავლობაში - ტრადიციული აზომვის მეთოდებით ე. წ. ხელით აზომვა, ჩანახატი და ფოტოფიქსაცია.

ეს იყო შრომატევადი, დროში გაჭიმული და ძვირადღირებული პროცესი, რის გამოც ბევრი ძეგლის დეტალური დოკუმენტაცია ვერ მოხერხდა - ის ან დაინგრა, ან დაზიანდა, ან გადაკეთდა ისე, რომ დაკარგა თავისი პირვანდელი ავთენტური სახე ან საერთოდ, ვერ განხორციელდა უსახსრობისა და სხვადასხვა მიზეზის გამო.

ციფრული ტექნოლოგიების შემოსვლამ შექმნა უნიკალური შესაძლებლობები არქიტექტურული და ლანდშაფტური მემკვიდრეობის ზუსტი ფიქსაციის, ამ ინფორმაციის სტრუქტურისა და ანალიზისა და შენახვის. რადგანაც, რაც უფრო მეტია აღწერის სიზუსტე და სისრულე, მით უფრო ფასდაუებელია და ძვირფასი ეს დოკუმენტაცია. 3D სკანირებისა და ფოტოგრამეტრიის გამოყენებით გაიზარდა სამუშაოთა წარმოების, ძეგლთან დაკავშირებული მასალების გამოყენების ინტენსიურობა - მისი მიღება, შეგროვება, დამუშავება და რანჟირება, რომელიც ეყრდნობა ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას. თუმცა ამ მეთოდოლოგიასაც თან ახლავს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და შეზღუდვები. რაც უფრო დიდია კვლევის ზედაპირი და მაღალია გადაღების გარჩევადობა, მით უფრო რთულია ამ ინფორმაციის რეგისტრაცია ერთ ობიექტად შეკვრა. ეს პრობლემები ნათლად გამოჩნდა ვარძიის მსხვილ კომპლექსზე მუშაობისას. ვარძიის სამონასტრო კომპლექსის გადაღება-ფიქსაცია 3D ლაზერული სკანერის გამოყენებით




სურ. 2 სკანერის დგომების სტრუქტურული სქემა

და რაოდენობის განსაზღვრა (სურ. 3);

(სურ.1) მოიცავდა მთელ რიგ მოსამზადებელ სამუშაოებს: ტერიტორიის დაკვალვა და კომპლექსის ტერიტორიაზე დგომების ქსელის დაფიქსირება (სურ.2);


- სახელოვნებთმცოდნეო კვლევა და მის საფუძველზე სკანირებისთვის სამიზნეების გაბარიტებისა




სურ. 3 სკანირება გამოქვაბულში და მიუდგომელ ოთახებში სკანერის განსათავსებლად მიმავალი მთასვლელი

- მაღალი რისკის, მიუვალი მონაკვეთების დადგენა და, შესაბამისად მთასვლელთა ჯგუფის მომზადება ამ უბნებზე სამუშაოდ (სურ. 3);
- სამუშაოთა წარმოების გრაფიკი და წესი: გადაღებისა და მონაცემთა დამუშავების პროცესების პარალელურ რეჟიმში წარმოება.

გადაღების პროცესი საწყის ეტაპზე წარმოებდა “Faro Focus 3D X-330” სკანერისა, ხოლო ინფორმაციის დამუშავება - “Scene-ს” პროგრამაში. კომპლექსის დიდი მოცულობიდან (დაახლოებით 480მ X 95მ) გამომდინარე გადასაღები მოედანი კლასტერებად დაიყო, სადაც რეგისტრაციის პროცესი ანუ წერტილთა ღრუბელი მუშავდებოდა და გადაეხმოდა ულუფებად, რომლებიც შემდგომში, თავის მხრივ, ერთმანეთს უნდა გადაბმოდა. მთლიანად ინფორმაციის მოცულობა შეადგენდა 300 გიგა ბაიტს, მოიცავდა 50



სურ. 4 წერტილთა ღრუბლის დამუშავების კლასტერული სისტემა



სურ. 5 50 წელიწადში დაფიქსირებული დანაკარგი

ბილიონ წერტილს, რომელიც მიღებული იყო 1072 დგომის, 5 000 მიზნის საფუძველზე. წერტილთა ღრუბლის რეგისტრაციის მეორე ეტაპის განხორციელება შესაძლებელი გახდა, მხოლოდ მონაცემების სხვა, "Cyclone"-ის პროგრამაში გადაყვანის შემდგომ, რაც პროგრამულ უზრუნველყოფაში ინფორმაციის გარედან მართვის მოქნილი

საშუალებით იყო განპირობებული. ამ გზით ფაილის ზომა შემცირდა 25 გიგა ბაიტამდე. (სურ. 4)


შედეგად, შესაძლებელი გახდა ვარძიის კომპლექსის და მისი ინფრასტრუქტურის თავისებურებების X,Y,Z სამგანზომილებიან სივრცეში წარმოჩენა. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა ძეგლის შესახებ გრაფიკული მასალა; ისტორიული წყაროებისა და მიმდინარე მდგომარეობის ნახაზების ურთიერთშედარებით შედგა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ძეგლის დაზიანებული უბნები დადგინდა და გაანალიზდა. (სურ.5)



სურ. 6 გელათის გრაფიკული სურათები, ჭრილები.

განხორციელდა მასალების კატალოგიზაცია და კომპლექსის ფუნქციური ანალიზი, შემუშავდა კომპლექსის სამიეზო-საკვლევო ინტერაქტიული რუკა. შესრულდა გრაფიკული ნახაზები. (სურ. 6)

ასეთივე პრინციპით გამოიკვლიეს გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მოხატულობა. სკანირებისას შექმენით გადაღების სქემა, რომლის მიხედვითაც შესრულდა სამი ტიპის გადაღება: მხოლოდ დღის განათებაზე; კომბინირებული განათებით - მზის განათება + ხელოვნური გაფანტული განათება და მხოლოდ ხელოვნური გაფანტული განათებით. მიღებული



სურ. 7 დგომის ხუთი რეგისტრი

შედეგების გაანალიზებისას გამოჩნდა კომბინირებული მიდგომის უპირატესობები. გადაღების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სკანერის აპარატის განლაგება სივრცეში გადასაღები ფრესკის ზედაპირთან მიმერთებით. გადაღების კუთხის ორთოგონალური განლაგება უზრუნველყოფდა

კედლის გამოსახულების სისწორესა და სიზუსტეს. ამიტომ, გელათის მთავარი ტაძრის გადასაღები ზედაპირი დავყავით ხუთ რეგისტრად. შესაბამისად, აპარატის ადგილმდებარეობაც განისაზღვრა ხუთი რეგისტრის სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებით. (სურ. 7)

სულ სკანირებამ დაიკავა 231 გიგაბაიტის მოცულობის მეხსიერება. ხოლო ფოტო გადაღებამ - 16 000 კადრზე მეტი და 88 გიგაბაიტი.

დასკვნა

სამუშაოთა წარმოების შედეგად:

- შევისწავლეთ და გავანალიზეთ ვარძიის კომპლექსის საკომუნიკაციო სქემა;

- მოხდა მასალების კატალოგიზაცია, როგორც ვარძიის კომპლექსისთვის ისე გელათის სამონასტრო კომპლექსის ფრესკებისთვის.
- ჩატარდა ვარძიის კომპლექსის ფუნქციური ანალიზი.
- შევისწავლეთ 50 წლის პერიოდში დაკარგული უბნების ფართი და მოცულობა;
- მომზადდა ინტერაქტიული რუკები ვარძიის სამონასტრო კომპლექსისა და გელათის მონასტრის კედლის მოხატულობისათვის.

ვარძიისა და გელათის მსხვილი სამონასტრო კომპლექსების მაგალითზე მოხდა დიდი მოცულობის ობიექტებზე მუშაობის სპეციფიკის შესწავლა, ახალი ტექნოლოგიების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მათი დახვეწა, ფიქსაციის საკუთარი მეთოდის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

შემუშავდა რეკომენდაციები მსხვილი ძეგლების მოდელირებასთან, კედლის მხატვრობის გადაღებასთან დაკავშირებით. რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ,

- აუცილებელია წინასწარ ტერიტორიის კომპლექსური შესწავლა სადგურების განლაგების თვალსაზრისით. საფუძვლად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ფოტოგრამეტრული და ტოპოლოგიური კვლევის შედეგები.
- მნიშვნელოვანია სამუშაოთა წარმოების გრაფიკის მომზადება. განისაზღვროს იმ სამუშაოთა ნაწილი, რომელიც შეიძლება პარალელურ საველე და საოფისე რეჟიმში განხორციელდეს.;
- უნდა გაანალიზდეს სკანირების ეფექტურობიდან გამომდინარე წინასწარი გადაღების ადგილები, სამიზნეები, მათი ზომები და დამაგრების ტექნოლოგია;
- უნდა შეირჩეს დავალების ტიპიდან გამომდინარე, გადაღების სტილი და სამუშაო გარემოს ატრიბუტები - განათება, სადგურის სიმაღლე, მდებარეობა ობიექტთან მიმართებაში;
- მოხდეს ხელისშემშლელი პირობების არიდება;
- უნდა დაიყოს სექტორებად დიდი ობიექტის მოცულობა და დამუშავდეს ცალ-ცალკე, ფრაგმენტებად და შემდეგ გაერთიანდეს ისინი ერთ ობიექტად გაერთიანება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gaprindashvili G, Vardzia, (RUS) Publish House “Avrora”, Leningrad, 1975, Domenti Mshvenieradze Caves structure in Georgia (GEO), p.h “Technika and Shroma”, Tbilisi, 1955
2. Lekveishvili, M, Chachava, N., Giorgobiani, A., Lekveishvili N. 2017, The Role of Digital fixation of Monuments in the Management of Museum Documentation, Proceedings of the International Committee for Documentation of ICOM CIDOC 2017
3. Chachava N., Imnadze N., Lekveishvili N, lekveishvili M. Peculiarities of 3D laser scanning and the big data documentation on the example of Vardzia and gelaticomplexesshapingand mural painting Proceedings of the international scientific conference “Architectural heritage and modern society”, , ISBN, 978-9952-37=229-8, Baku 2019

რეზიუმე

საკითხის პრობლემას და აქტუალობას წარმოადგენს არქიტექტურული ძეგლების, როგორც კულტურული და საინჟინრო მემკვიდრეობის კვალის შენარჩუნების მნიშვნელობა (დაკარგვის საშიშროება), რომლის გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ძეგლების ფიქსაცია და დოკუმენტირება. ციფრული ტექნოლოგიების შემოსვლამ შექმნა უნიკალური შესაძლებლობები ძეგლების დროში დინამიკური ცვლილებების დაფიქსირების, ინფორმაციის რანჟირების, დეტალური კვლევისა და ძეგლის სტრუქტურული სამგანზომილებიანი ანალიზისა. ციფრული ტექნოლოგიები განვითარების პროცესშია და მოითხოვს დახვეწას როგორც გამოყენების ისე ინფორმაციის დამუშავების თვალსაზრისით. ამ პრობლემამ თავი იჩინა დიდ არქიტექტურულ კომპლექსებზე მუშაობის დროს. ვარძიისა და გელათის დიდი კომპლექსების მაგალითზე შეიმუშავეს დიდ მონაცემთა ბაზასთან მუშაობის მეთოდოლოგია და რეკომენდაციები სამუშაოთა წარმოებისა და მონაცემთა დამუშავების მიმართულებით.

The importance of modern digital technologies in the context of architectural memory

Chachava N.,

Lekveishvili N., Lekveishvili M.

Resume

The problem and topicality of the issue is the importance of keeping trace of architectural monuments as a cultural and engineering heritage (risk of loss), one of the important means of resolving them is to pinpoint and document them. The advent of digital technologies has created unique opportunities to capture dynamic changes in the timing of monuments, to rank information, to conduct detailed research and to provide three-dimensional structural analysis of the monument. Digital technologies are in the process of development and require sophistication in terms of both usage and information processing. This problem arose when working on large architectural complexes. On the example of Vardzia and Gelati Large Complexes, the methodology of working with large database and working guidelines and data processing recommendations was developed.

Важность современных цифровых технологий в контексте архитектурной памяти

Чачава Н.,

Леквеишвили Н., Леквеишвили М.

Резюме

Объектом исследования является проблема и актуальность сохранения исторической преемственности архитектурных памятников в разрезе культурного и инженерного наследия. Одним из важнейших средств решения этой проблемы является метод фиксации и документирования памятников.

Появление цифровых технологий создало уникальные возможности прослеживания динамических изменений, ранжирования информации, проведения детальных исследований и обеспечения трехмерного структурного анализа памятников.

Однако Цифровые технологии находятся в стадии развития и требуют доработку как в методике их использования, так и обработке данных.


Это проблема выявилась при работе над крупными архитектурными комплексами Вардзия и Гелати. На примере этих памятников была разработана специальная методика и выдвинуты рекомендации по сканированию и обработке больших баз данных.

თბილისის ბოტანიკური ბაღის მე-19 ს-ის მეორე ნახევრის და მე-20 ს-ის დასაწყისში აგებული რამდენიმე ობიექტის შესახებ

მ. მიბიგური

პროფესორი

თბილისის ბოტანიკური ბაღი, როგორც ცნობილია, წავკისისწყლის ხეობაში გვიანფეოდალურ პერიოდში არსებული საქართველოს სამეფო კარის ბაღების ადგილას გაშენდა. ვახუშტი ბაგრატიონის (1735წ.) გეგმაზე ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე წავკისის ხევში გალავანშემორტყმული ციხის ბაღია (51) მოხსენიებული. 1800 წლის გეგმაზე სოლოლაკის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ნარიყალას გალავნის ჩრდილოეთ მხარეს მარიამ დედოფლის ბაღია აღნიშნული (57).




სურ. 1

სწორედ ეს არეალი გახლავთ ბოტანიკური ბაღის ისტორიული ბირთვი. მე-19 ს-ის მიწურულამდე მხოლოდ ეს მცირე ტერიტორია (ფართობით 2.5 ჰა.) იყო მცენარეთა კოლექციებით გაშენებული. 1899 წლიდან ახალი კოლექციებით წავკისისწყლის მარჯვენა ჩრდილოექსპოზიციის ფერდობები აითვისეს. ამ დროიდან იწყება თბილისის ბოტანიკური ბაღის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელიც უკავშირდება ბაღის პირველ დირექტორს გერმანელი კოლონისტის ოჯახში დაბადებულ თბილისელ მეცნიერს ადოლფ ქრისტიან როლოვს. როლოვამდე 1845–1898 წლებში თბილისის ბოტანიკურ ბაღს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გერმანიიდან მოწვეული მებაღე – სპეციალისტები: შემიოტი, დემონკალი, დოიჩმანი, შარერი, გინცენბერგი (1898 წლის ფოტოსურათზე სწორედ გინცენბერგია გადაღებული თავისი ოჯახით მუზეუმის წინამდებარე

კიბეზე). რა თქმა უნდა მათი წვლილი მნიშვნელოვანია ბაღის ზრდის და კეთილმოწყობის მიმართულებით, თუმცა სწორედ როლოვის მიერ ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობის პერიოდში (1899 წლიდან 1919 წლამდე თავდაპირველად ბაღის მმართველის, ხოლო 1901 წლიდან დირექტორის პოსტზე) ბაღი გადაიქცა მსხვილ სამეცნიერო - კვლევით ცენტრად მთელი კავკასიის მასშტაბით. ნარგავების ფართობის გაზრდასთან ერთად 2.5-დან 60 ჰექტარამდე, მის ტერიტორიაზე აიგო, როგორც საინჟინრო (ოთხი ახალი ხიდი და სარწყავი წყლის ორი სისტემა), ისე სამეცნიერო-კვლევითი, საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი შენობები, მათ შორის ყოფილი მუზეუმის, სანერგის, ჰერბარიუმის შენობები, ისე დეკორატიული აუზები, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ყოფილი მუზეუმის შენობა წავკისისწყლის მარცხენა ფერდობზე ბოტანიკური ბაღის ისტორიულ, ქვედა ნაწილში ა.როლოვის აქ მოღვაწეობამდე 1872–73 წლებში აიგო.




სურ. 2 1904 წლის გეგმა

თავდაპირველად ეს იყო ერთსართულიანი, აგურით ნაგები სათბური. ამას გარდა 70-იან წლებში აიგო მუშების საცხოვრებელი სახლი, და ლითონის ორი ორანჟერეა, რომლებიც პარიზიდან გამოიწერეს. 1886 წელს სათბურში მუზეუმი მოეწყო, ხოლო 1903 წელს როლოვის დირექტორობის პერიოდში შენობა გაფართოვდა. გადაკეთებებზე მეტყველებს შენობის მდგომარეობა ბოლო პერიოდში ჩატარებულ რეკონსტრუქციამდე; სტატიის ავტორის მიერ შენობის ქვემოთ მოყვანილი აღწერა-დახასიათება, რაც რეკონსტრუქციისას გაითვალისწინეს, სწორედ ამ პერიოდისაა. ორსართულიანი შენობა ორქანობიანი სახურავით დამრეც რელიეფზეა განთავსებული და ჩრდილოეთი მხრიდან ის ერთსართულიანად აღიქმება. ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია ე.წ. რუსული აგური, თუმცა ჩრდილოეთ მხარეს შენობის ქვედა ზოლი ქართული აგურითაა ნაგები, ხოლო სამხრეთი ფასადის ფრაგმენტში შებათქაშების ქვეშ და

აღმოსავლეთით ტერასის ქვეშ შეინიშნება თეთრი აგური. ფასადები ნაწილობრივ შებათქაშებულია (პირველი სართულის დონეზე – სამხრეთი ფასადის ნაწილი და აღმოსავლეთი ფასადი), ნაწილობრივ აგურის კედლები შეუმოსავია. შენობის მოცულობა ერთიანი გაბარიტების არ არის: მეორე სართული აღმოსავლეთი მხრიდან პირველი სართულის თავზე მოწყობილ ტერასაზე გამოდის, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლები შეტეხილია, რაც გეგმებშიცაა გამოხატული (პირველი სართულის სამხრეთი ფასადი სწორედ ტეხის ხაზამდეა შებათქაშებული).



სურ. 3



სურ. 4. პირველი სართულის გეგმა ანაზომის მიხედვით



სურ. 5. მეორე სართულის გეგმა ანაზომის მიხედვით

ნაგებობის გარეგანი არქიტექტურულ-მხატვრული სახის ერთიანობის ერთ-ერთი მახასიათებელია მის მთელ პერიმეტრზე პირველი და მეორე სართულის გამყოფი აგურით გამოყვანილი ფიგურული ლენტური “ფრიზი” დასრულებული აგურის კარნიზით; თუმცა მარტო ეს ფაქტორი ვერ განაპირობებს შენობის გარეგნული სახის ერთიანობას, რასაც გარკვეულწილად არღვევს მისი ზემოაღნიშნული განსხვავებული, თითქოს უსისტემო შემოსვის ხასიათი და ასევე ღიობების სხვადასხვაობა: ჩრდილოეთი ფასადის ორი სარკმელი კედლის ტეხამდე აგურის

სოლისებური წყობით შემოსაზღვრული მაღალი თაღებითაა წარმოდგენილი, შეტეხილ ნაწილში ბრტყელთალოვანია, დანარჩენი კი – მართკუთხა. შებათქაშებულ ფასადებზე სარკმელთა ქვეშ კედლის სიბრტყეები ჩაღრმავებულია, ხოლო მათ შორის არსებულ პილასტრის მსაგავს კედლებს კარნიზი ასრულებს, რომელიც სარკმელთა ზედა დონეს მიუყვება.

სამხრეთ ფასადზე შეინიშნება ადრე აქ არსებული სარკმლის კვალი, რომელიც, როგორც ჩანს, მოგვიანებით ამოუშენებიათ. ასევე შეცვლილია ტერასის ქვეშ პირველ სართულზე სარკმლებს შორის არსებული კარის ღიობის გაბარიტები ამოშენების ხარჯზე, რისი კვალიც აშკარაა. აქ ერთფრთიანის ნაცვლად ორფრთიანი კარი უნდა ყოფილიყო.



სურ. 6

შენობის ინტერიერში მეორე სართულზე ყურადღებას იქცევს მზიდ კედლებში გაჭრილი ბრტყელთალოვანი ღიობები, რომლებიც ერთ გრძივ ღერძზე ანფილადურად განლაგებულ სათავსოებს ერთმანეთთან აკავშირებს. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ნიშან – თვისებები მიუთითებს შენობის რამდენჯერმე გადაკეთებაზე. მხატვრული იერსახე მოწმობს, რომ აქ მე–19 ს–ის მეორე ნახევარში არსებობდა ერთსართულიანი ნაგებობა (შებათქაშებული ნაწილი) დასრულებული აგურის ფიგურული ფრიზითა და კარნიზით (ამჟამად სართულების გამომყოფი), რომელსაც მოგვიანებით (მე–20 ს–ის დასაწყისში) ნაწილობრივ დააშენეს მეორე სართული, ხოლო დასავლეთიდან შენობა გაიზარდა ორსართულიანი მოცულობის მიშენების ხარჯზე (ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების შეტეხვა და სარკმლების განსხვავებული ხასიათიც ამით აიხსნება), ბოლოს შენობის მეორე სართული ტერასის მხრიდან კიდევ ერთი ოთახით გაიზარდა.



სურ. 7

ამასვე ადასტურებს ინფორმაცია ბაღის ისტორიულ ნაწილში მე-19ს-ის 70-იან წლებში აქ აგებული ნაგებობების შესახებ, რომელთა შორის მოხსენებულია აგურისკედლებიანი ერთსართულიანი ფარეხის ტიპის სათბური, რომელიც



სურ. 8 გინცენბერგი ოჯახით
მუზეუმის კიბეზე 1898წ.



სურ. 9 მუზეუმის შენობა
1904-1909 წლები

ეტაპობრივად რამდენჯერმე გადაკეთდა მიშენებადამენების ხარჯზე. სწორედ აქ განთავსდა 1904-1909 წლებში მუზეუმი, ჰერბარიუმი და ბიბლიოთეკა, რომლებიც მოგვიანებით ბაღის ტერიტორიაზე აგებულ სხვა შენობებში გადაიტანეს.

კვლევის ობიექტის პირველი სართულის სარკმლების თავების გასწვრივ სამხრეთი და აღმოსავლეთი ფასადების მხრიდან დატანებულია ლითონის კონსტრუქციები, რომლებიც როგორც ჩანს, მოგვიანებით მე-20ს-ში

კედლების გასამაგრებლად გამოიყენეს, სავარაუდოდ დაშენების განხორციელების დროს.

მეორე ობიექტი, რომელზეც გვექნება საუბარი, მდებარეობს წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირის ზედა ნაწილში ე.წ. ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობზე, სადაც ადოლფ როლოვის მიერ ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობის პერიოდში (1889–1919წწ.) მე–20 ს–ის დასაწყისში სანერგე მოეწყო.

1900 წ. სანერგეში აიგო მუშების ოროთახიანი საცხოვრებელი სახლი, ხოლო მე–20 ს–ის დასაწყისში 1901წ. – მებაღეობის ექვსოთახიანი სკოლა. აღწერილობის მიხედვით, სავარაუდოდ, პირველი – კვლევის ობიექტის ზემოხსენებული აღმოსავლეთი ნაწილი უნდა იყოს, ხოლო მეორე – დასავლეთი. მათი შემაერთებული ნაწილი უფრო გვიან უნდა იყოს აგებული, საფიქრებელია, წინა პერიოდის მშენებლობიდან შემორჩენილი მასალით. ამას ადასტურებს ქვით ნაგები ამ ნაწილის ფრაგმენტში სრულიად უსისტემოდ სარკმლის თავზე აგურის ფიგურული ელემენტების ჩართვა. 1904წ. ბოტანიკური ბაღის გეგმაზე უკვე მთელი სტრუქტურაა წარმოდგენილი.



სურ. 10 1904 წ ბოტანიკური ბაღის გეგმა

შენობამ ბოლო პერიოდამდე ხანძრის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანებულმა მოაღწია, თუმცა დარჩენილი ნაწილები შესაძლებლობას იძლეოდა გვემსჯელა მისი თავდაპირველი სტრუქტურის თავისებურებების შესახებ. ერთსართულიანი შენობა სამი ძირითადი სტრუქტურული ნაწილისაგან შედგებოდა, რომლებიც კურდონერს ქმნიდა ღია შიდა ეზოს გარშემო და მისკენ მთელ პერიმეტრზე გამავალი ღია გალერეით იყო ორიენტირებულნი. სამივე ნაწილი ერთიანად არ იყო აგებული. ამაზე მეტყველებს მათი მეტ–ნაკლებად განსხვავებული ხასიათი, საშენი მასალის სხვადასხვაობა, სახურავების სიმაღლეთა ტეხა. ამასვე ადასტურებს ისტორიული მასალაც. ყველაზე კარგად, ფაქტობრივად, დაუზიანებლადაა შემორჩენილი მთლიანად ე.წ. რუსული აგურით ნაგები ორქანობიანი სახურავით გადახურული აღმოსავლეთი ნაწილი (1900წ.). ნაგებობის

ბრტყელთალოვანი სარკმლების არქივოლტები, თაროები, მათ გასწვრივ გამავალი ლენტური სარტყელი, შენობის ფრიზი აგურის ფიგურული ელემენტებითაა გამოყვანილი და აქცენტირებული. ამგვარი მხატვრული დამუშავება დამახასიათებელია მე-19 ს-ის ბოლოსა და მე-20 ს-ის დასწყისისთვის.



სურ. 11

ორ ფრაგმენტში კედლის ყრუ სიბრტყე “გამოცოცხლებულია” ცრუ სარკმლების ნიშებით, რომელთა დამუშავების ხასიათი ანალოგიურია ზემოაღწერილი ნამდვილი სარკმლებისა. აგურის ეს ბრუტალური სტრუქტურა ჰარმონიულად ერწყმის მწვანე ნარგავებიან გარემოს.

შენობის მეორე, დასავლეთი ნაწილი გრძივი ნაგებობაა, რომელიც შერეული მასალითაა ნაგები: დაუმუშავებული ქვების ჰორიზონტალურ რიგებს ენაცვლება რუსული აგურის ორი რიგი (1901წ.). რიყის ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით კედლის წყობა დამახასიათებელია კახეთის რეგიონისთვის.



სურ. 12

აქ ეს მონაცვლეობა გარკვეულ სისტემას ექვემდებარება და საშენი მასალის წყობის სწორედ ეს რეგულარულობა განსაზღვრავს ამ ნაწილის მხატვრულ

სახეს (აღსანიშნავია, რომ კედლის მსგავსი რეგულარული წყობა ახასიათებს წინანდლის სასახლეს (არქ. ოზეროვი, მე-19 ს-ის 80-იანი წწ.); თუმცა მთელი სტრუქტურის მთლიანობას არღვევს გვიანი უსისტემო მიშენებები: ხის ფარდულის ტიპისა – სამხრეთიდან და შებათქაშებული აგურისა – დასავლეთიდან. ზემოაღწერილ აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს აერთებს, ვფიქრობთ, შედარებით გვიან აგებული ჩრდილო ნაწილი, რომელიც მთლიანად ქვითაა ნაგები და რომელსაც მხატვრული ღირებულება არაქვს ზემოხსენებული აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილებისგან განსხვავებით. ამჟამად ყველაზე კარგადაა შემორჩენილი აღმოსავლეთით მდებარე აგურის შენობა, დასავლეთი და აღმოსავლეთი სტრუქტურების შემაერთებელი ჩრდილოეთი ნაწილიდან, ფაქტობრივად, მხოლოდ საყრდენი კედლებია დარჩენილი. დასავლეთ სტრუქტურულ ნაწილის ფრაგმენტებში მსხვილი ბზარები შეინიშნება. მნიშვნელოვნადაა დაზიანებული, ზოგან კი მთლიანად განადგურებული სახურავი და ხის სტრუქტურული ნაწილები. სამივე სტრუქტურული ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, შიდა ეზოს ეკვროდა გარს და შენობათა მთელ პერიმეტრზე არსებული, ნაწილობრივ ლითონის კონსტრუქციებზე (გვიანი მინაშენები), ნაწილობრივ ხის სვეტებზე მოწყობილი ღია გალერეებით იხსნებოდა მისკენ. ხანძრის შედეგად ხის სტრუქტურა ძლიერ დაზიანდა.

თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მე-20 ს-ის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ორი კლასიკური ქანდაკება იდგა ე.წ. რაბატებით ანუ მცენარეული ორნამენტის კვლებით გარშემორტყმულ მცირე წრიული ფორმის აუზებში.




სურ. 13

პირველი დეკორატიული აუზი 1872-1873 წლებში აიგო. ეს არის სწორედ ისტორიულ ნაწილში მუზეუმის წინ მდებარე აუზი, თუმცა ამ პერიოდში ქანდაკების არსებობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება; მეორე - როლოვის ხელმძღვანელობის პერიოდში წავკისის წყლის ხეობის მარჯვენა ფერდობების ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობებზე გაშენებული წიწვოვანი ნარგავების კოლექციის ცენტრალურ ნაწილში მოეწყო. ცნობილია, რომ აუზი ქანდაკებით 1902 წელს აიგო. ლოგიკურად შესაძლებელია, კუპიდონის ქანდაკებაც ნერეიდას ქანდაკებასთან ერთად იყოს რეალიზებული.



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16



სურ.17

ქანდაკებები ერთგვარ აქცენტებს ქმნიდა გარემოში. მათი განთავსების აუზებთან თავს იყრიდა სხვადასხვა მხრიდან მომავალი ბილიკები. ამდენად, ისინი ერთგვარი ორიენტირის ფუნქციასაც ასრულებდა. როგორც ძველი ფოტოსურათები მოწმობს, მუზეუმის წინამდებარე აუზში იდგა კუპიდონის ქანდაკება, ხოლო წიწვნარში - ნერეიდასი. ეს ქანდაკებები ასლებია, რომლებიც შესაძლებელია ალებასტრით ან ცემენტით ყოფილიყო ყალიბში

ჩამოსხმული და შემდეგ შეღებილი. ამ ვარაუდის საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ თვითმხილველების მოწმობით დამტკვეული ნაწილები, რომლებიც შემორჩენილი არ არის, ღრუტანიანი იყო. ქანდაკებები მე-20 ს-ის 90-იანი წლების სამოქალაქო ომის შემდეგ სრულიად განადგურდა და ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ მათი განთავსების ადგილი - ბეტონით შემოსაზღვრული აუზთა სივრცე. ფოტოსურათების მიხედვით კუპიდონის ქანდაკება, რომელიც მუზუმის წინ იდგა, ეტიენ მორის ფალკონეს (1716-1791) მე-18 საუკუნის მარმარილოს როკოკოს სტილის ქანდაკების - მჯდომარე კუპიდონის (იგივე „ამურის მუქარა“) (ლუვრი, პარიზი) ასლია. ასლი სრულიად იმეორებს ორიგინალის მოძრაობას, პოზას, თუმცა განსხვავებით ორიგინალისაგან ის ფრთებგარეშეა. განსხვავებულია მასალაც (იხ. აღწერა).

წიწვოვან ლანდშაფტში მდგარი ნერეიდას ქანდაკება ემილიუს ვოლფის (1802 – 1879) მე-19 საუკუნის მარმარილოს კლასიკური ქანდაკების ნერეიდას, იგივე „მოთევზავე ნიმფას“ (ფრიდრიხსვერდის ტაძარი, მე-19 ს., ავტ. კარლ ფრიდრიხ შინკელი, ბერლინი) ასლია.



„ამურის მუქარა“ (ორიგინალი)

ასლი

სურ. 18



„მოთევზავე ნიმფა“ (ორიგინალი)

ასლი

სურ. 19

ასლი კომპოზიციურად სრულიად იმეორებს ორიგინალს დროის ცვლილებებით გამოწვეული მცირე განსხვავებით; ორიგინალში ნერეიდა ერთ ხელს ეყრდნობა, ხოლო მეორე ხელში სამკაპი უჭირავს თევზზე სანადიროდ. ერთი ფოტოსურათის მიხედვით ასლში ნერეიდას სამკაპის ნაცვლად ისარი თუ შუბი უჭირავს, ხოლო მეორეზე, რომელიც სავარაუდოდ უფრო გვიანია, იარაღი უკვე აღარ ჩანს. განსხვავებულია მასალა. ბოტანიკურ ბაღში მდგარი ორივე ქანდაკება (ასლები) სავარაუდოდ ხელოსნების შესრულებული უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია ისინი ადგილობრივად დაემზადებინათ, რადგან მე-19 ს-ის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მსგავსი სამუშაო თბილისელი ოსტატებისთვისაც არ იყო უცხო და მასალის საამქროებიც არსებობდა. ასევე შესაძლებელია ჩამოტანილიც ყოფილიყო. რომელიმე ვერსიის მტკიცება რთულია, შესაბამისი ფაქტობრივი მასალების არარსებობის გამო.

როლოვის ხელმძღვანელობის პერიოდში 1903-04 წლებში გარდა ზემოხსენებულისა, ბაღის ტერიტორიაზე, კერძოდ სოლოლაკის თხემზე აიგო რამდენიმე ნაგებობა, ასევე 1909წ. - შენობა, რომელშიც მუზეუმი, ჰერბარიუმი და ბიბლიოთეკა გადაიტანეს. მოგვიანებით მუზეუმმა და ჰერბარიუმმა კოჯრის გზტკეცილთან ახალშემოერთებულ მიწებზე 1913 -14 წლებში, აგებულ შენობაში დაიდო ბინა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის კუთვნილებაა. ის ინტერესს იწვევს არა იმდენად ფასადების დამუშავების მხატვრული გადაწყვეტით, რაც იმ დროს გავრცელებულ ხასიათს ემხრობა, არამედ კომპოზიციის სტრუქტურული ორიგინალობით. ამას განაპირობებს გუმბათით დასრულებული ცენტრალურ ღერძზე Y -ისებურად აკინძული სამი ფრთა, ერთნაირად გადაწყვეტილი ფასადებით (შენობას შენარჩუნებული აქვს ავთენტურობა). სამწუხაროდ პროექტს და არქიტექტორს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ,

ბაღის ტერიტორიაზე ბოლო ათწლეულში დაწყებული სამუშაოები - ზემოაღწერილი ძეგლების რეკონსტრუქცია თუ ახალი ნაგებობების აგება და ტერიტორიის კეთილმოწყობის პროცესი გრძელდება, რაც უდავოდ მისასალმებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ლორია, ჯ. კერასელიძე, „ადოლფ ქრისტიან როლოვი და თბილისის ბოტანიკური ბაღი“, თბილისი „დედაენა“, 2001
2. საქართველოს ეროვნული არქივი . ფონდი 243, აღწერა 7, საქმე #422.
3. თბილისის ბოტანიკურ ბაღში დაცული ისტორიული ფოტოები

4. თბილისის ისტორიული გეგმები
5. ავტორის მიერ გადაღებული ფოტოები

რეზიუმე

1899 წლიდან 1919 წლამდე, ადოლფ ქრისტიან როლოვის მიერ ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობის პერიოდში, თბილისის ბოტანიკური ბაღი გადაიქცა მსხვილ სამეცნიერო-კვლევით ცენტრად მთელი კავკასიის მასშტაბით. ბაღის ტერიტორიაზე აიგო მრავალი ობიექტი, მათ შორის: მუშათა საცხოვრებლები, მუზეუმის, სანერგის, ჰერბარიუმის და სხვა შენობები, ასევე დეკორატიული აუზები ქანდაკებებით.

სტატიაში წარმოდგენილია მუზეუმის და სანერგის კვლევა მათი რეკონსტრუქციის მიზნით, ისტორიული მასალებისა და კვლევის პერიოდში მათი მდგომარეობის აღწერისა და შეფასების საფუძველზე, ასევე დეკორატიული აუზების ქანდაკებების იდენტიფიცირება და შედარება ორიგინალებთან არსებული ისტორიული ფოტომასალების მიხედვით.

О нескольких объектах, построенных в начале второй половины XIX и начале XX века в Тбилисском ботаническом саду

М. Дзидзигури

Резюме

В 1899 -1917 годах, в период когда Тбилиским ботаническим садом руководил Адольф Кристиан Роллоф, сад превратился в крупный научно-исследовательский центр на Кавказе. На территории сада было построено множество объектов, в том числе: жилой дом, музей, питомник, гербарий и другие постройки, а также декоративные бассейны со статуями.

В статье представлено архитектурно - историческое исследование музея и питомника с целью их реконструкции, на основе изучения исторических материалов и оценки их состояния в период проведения исследования, а также

идентификация статуй декоративных бассейнов и их сравнение с оригиналами по историческим фотографиям.

About several units built in the beginning of the second half of the 19th century and the beginning of the 20th century in Tbilisi Botanical Garden

M. Dzidziguri

Resume

In 1899-1917, during the period when Adolf Christian Rolloff was in charge of the Tbilisi Botanical Garden, the garden became a major research center in Caucasus. A lot of units were built on the territory of the garden, including: dwelling houses of workers, the museum, the nursery, the herbarium and other buildings, as well as decorative pools with statues.

The article presents an architectural - historical study of the museum and the nursery for the purpose of their reconstruction, on the basis of studying historical materials and assessing their condition during the study, as well as identifying the statues of decorative pools and comparing them with originals according to historical photographic material.

აჭარული ჯამე, როგორც ქართული ხითხურობის ძეგლი

მ. ძიბიგური

პროფესორი

ნ.კვაჭაძე

დოქტორანტი

ქართული ხალხური ხითხუროთმოდგერება მრავალფეროვანია, ამ მრავალგვარობას სხვადასხვა სივრცით-მოცულობრივი ვარიაცია განაპირობებს, მათგან ერთ-ერთი გამორჩეული აჭარული ხის მეჩეთია, რომელიც ქართულ ტრადიციებთან ღრმად დაკავშირებული ფენომენი და საკულტო არქიტექტურის საგულისხმო ძეგლია.

ხის ჯამეებმა გასულ საუკუნეში მიიქცია ქართველ მეცნიერთა ყურადღება, გამოიკვეთა, რომ ისინი ქართული ხალხური ხითხურობის უნიკალური ძეგლია.



სურ.1 ქედის რაიონი, გულების ჯამე

მეჩეთების აგების ქრონოლოგია XIX - XX საუკუნით განისაზღვრება, აგების თარიღი და მშენებელ-ოსტატთა ვინაობა ხშირ შემთხვევაში ძეგლზე არსებული წარწერებით დგინდება, ნაწილი ამ წარწერებისა დაზიანების გამო არ იკითხება. ნაგებობები ძირითადად ხეშია შესრულებული, ბარის რაიონში კი გვხვდება ქვის მეჩეთებიც.

აჭარაში არსებული და დღემდე მოქმედი ხის მეჩეთების უმეტესობას დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი სახე, ისინი მხოლოდ ნაწილობრივ

ინარჩუნებენ ავთენტურ ელემენტებს, ნიშანდობლივია ისიც, რომ არსებობს ისეთი მეჩეთები, რომელთაც პირვანდელი სახე მეტწილად შენარჩუნებული აქ (სურ.1).



სურ. 2 ჩიქუნეთის ჯამე, „მოსაცდელი“

სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, მეჩეთების უმრავლესობა აგებულია ადგილობრივი ან მოწვეული ლაზი ოსტატების მიერ. ამის დადასტურება მეჩეთზე არსებული წარწერით დგინდება. მეჩეთების მშენებლობაში აჭარის მკვიდრნიც იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო, “მთავარი ხელოსნის“ ფუნქციას, როგორც წარწერებიდან ირკვევა, ლაზები ასრულებდნენ. შენობები არქიტექტურული და მხატვრული თვალსაზრისით ძალზე საინტერესო მოვლენაა, რაც, ერთი მხრივ ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციების გავლენა უნდა იყოს. გარეგნული ფორმით მეჩეთები აჭარაში გავრცელებული საცხოვრებელი სახლების მსგავსია. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ძეგლების იდენტურ-მხატვრული თავისებურებების შეცნობას.

მეჩეთების გეგმარებითი სტრუქტურა კვადრატული დარბაზის ირგვლივ განაწილებულ ქოროებს ეფუძნება, მსუბუქი კონსტრუქციის ბოძების რიტმი, სარიტუალო ელემენტების ორნამენტული ჩუქურთმა და სუფთა, ოსტატური წყობა, დეკორატიულ მიმზიდველობას ანიჭებს ინტერიერს [ჭიჭილეიშვილი მ.].

მეჩეთების მხატვრულ-დეკორატიული გაფორმება და ოსტატების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდგომა ასახიერებს ქართულ სამშენებლო ხელოვნების ძირძველ ტრადიციებს, რაც ისლამური საკულტო ნაგებობების საინტერესო ნიმუშების გამომხატველია აჭარაში.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში ადგილობრივი მოსახლეობა მეჩეთს ძირითადად „ჯამედ“ მოიხსენიებს. „ჯამე“, ხალხური გააზრებით, მეჩეთის სინონიმად იწოდება.



სურ. 3 ქობულეთის რაიონი, კვირიკეს ჯამე

ეს მახასიათებელი განპირობებულია იმით, რომ აჭარაში ძირითადად საკრებულო, ანუ ცენტრალური სალოცავები შენდებოდა, რამაც ხელი შეუწყო ტერმინ „ჯამეს“ დამკვიდრებას. მეჩეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია შენობა - ნაგებობებით (მედრესე, მინარეთი, აბდესხანა, ეზო, საცავი და სხვა.), რომელიც აჭარაში აღინიშნება ტერმინით „ჯამიკარი“, წარმოადგენდა მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვის მქონე ადგილს [ბარამიძე რ.].

ხის ჯამეები ძირითადად წარმოადგენს მართკუთხა ან კვადრატული გეგმარების ორ ან სამ სართულიანი ხის ნაგებობას, რომელიც ქვით ამოშენებულ საძირკველზე, ზოგჯერ კი სართულზე იდგა. თვალსაჩინოა ჯამეებისათვის ადგილის შერჩევისა და ბუნებასთან შერწყმის ტრადიცია. ისინი აგებულია საზოგადოებრივი თავშეყრისათვის ხელსაყრელ ადგილებში. უნდა აღინიშნოს, რომ ჯამე ყოველთვის ორგანულად არის ჩაწერილი ლანდშაფტურ გარემოში.

მეჩეთი საგანგებოდ შერჩეული კარგი ხის მასალით იგებოდა. ძირითადად იყენებდნენ წაბლის, ცაცხვის, თელას მასალებს. მეჩეთის შესასვლელშივე აქცენტირებულია აივანი, რომლის სვეტებზეც დაფუძნებულია შენობის მეორე სართული (სურ. 3).



სურ. 4 კვირიკეს ჯამე, ჭერის კონსტრუქცია

აივანს აქვს პრაქტიკული დანიშნულება, ის მოსაცდელია ხშირ შემთხვევაში მასზე საკმაოდ ფართოდ განლაგებული დასაჯდომებია განთავსებული (სურ. 2).

ჯამეში შესასვლელი ჩრდილოეთ მხარესაა მოწყობილი, თვალსაჩინოა შესასვლელი კარის მოჩუქურთმება, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მლოცველზე ზემოქმედების მოხდენა შესასვლელშივე უნდა დაწყებულიყო. შესასვლელი კარი მრავალფეროვანი შემკულობით გამოირჩევა, კარის დეკორში გვხვდება მცენარეული მოტივები, სიცოცხლის ხე, ფოთლის ხვეულები, ყვავილი, ასევე გეომეტრიული და ასტრალური ფიგურები (სურ. 5, სურ. 6).



სურ. 5 მაწყვალთას ჯამე, შესასვლელი კარი



სურ. 6 მეწმანის ჯამე

შესასვლელი კარის პირდაპირ, სამხრეთის მხარეს მდებარეობს სალოცავი ნიშა - მიჰრაბი, რომელიც განსაზღვრავს მიმართულებას მექისაკენ. აჭარული მეჩეთების მთავარი ფასადი ორიენტირებულია ჩრდილოეთ მხარეს, რაც განპირობებულია მექისადმი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით (სურ. 9).

ჯამეს კომპოზიციას საფუძვლად უდევს დახურული მოცულობისა და ღია აივნის შერწყმა. აივანი თავისი მორთულობით მეტად გამომხატველ იერს ატარებს, დახვეწილი ორნამენტული ჩუქურთმა, მრავალფეროვანი ნახაზი, დეკორატიულ-პლასტიკური გამომსახველობა, მას ეროვნულ ხასიათს სძენს [ჭიჭილეიშვილი მ.].

საინტერესოა მეჩეთების გადახურვა და მისი კონსტრუქციული წყობის საკითხი. კვადრატული ფორმის შენობა გადახურულია სახლებისათვის დამახასიათებელი კარვისებური, ოთხფერდა სახურავით. მეჩეთის სახურავი კედლის სიბრტყიდან საკმაო მნამილით არის გადმოწეული. ამგვარი გადაწყვეტა კედლებს იცავდა ნალექისაგან. კლიმატური პირობებით განპირობებული ეს დეტალი ხელოსნობისა და ხითხურობის მაღალ ტრადიციებზე მეტყველებს. მსგავსი დეტალი გვხვდება აჭარულ და ლაზურ საცხოვრებელ თუ სამეურნეო ნაგებობებზე.

რაც შეეხება მეჩეთების ჭერის კონსტრუქციას, იგი მრავალი სახესხვაობებით არის წარმოდგენილი. უმთავრესად გამოყენებულია გადახურვის გუმბათოვანი, „გვირგვინისებური“, „ხონჩისებური“ („ბრტყელ-კასეტური“) ფორმები, რაც, თავის მხრივ ადასტურებს ქართული ხითხურობის ტრადიციების უწყვეტობას ეროვნულ ფესვებთან. მაგალითად ქობულეთში, სოფელ კვირიკეს მეჩეთის გადახურვა გამოძახილს პოვებს ქართული დარბაზის გვირგვინოვან გადახურვის წყობასთან, რომელიც ცნობილია, რომ თავის საწყისებს უძველეს ხანაში პოულობს (სურ. 4).

ნათელია, რომ მეჩეთების გარეგნული სტრუქტურა, შიდა სივრცის გადაწყვეტა, საცხოვრებელი სახლების მხატვრულ-კონსტრუქციული თავისებურებების გამომხატველია.

ქართული ხითხურობის ტრადიციები თვალსაჩინოა სვეტების, ინტერიერის ორნამენტული ჩუქურთმის ხასიათშიც, რომლებშიც წარმოდგენილია შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისა და ხეზე კვეთის ნიმუშებში დადასტურებული მოტივები. ჯამეების აგება და დეკორატიული

ჩუქურთმების ერთიანი ნახაზის შექმნა უმთავრესად ლაზი ოსტატების სახელთანაა დაკავშირებული.

თვალხილულია მეჩეთების გამშვენების ორიგინალური ფორმის სახესხვაობებიც, ორნამენტული მორთულობის სემანტიკური მნიშვნელობა და დეკორატიული სისტემის არსებობა, რაც ქართული ხალხური ხელოვნების განვითარების უწყვეტი რგოლის გააზრებით განისაზღვრება, ძეგლების ფუნდამენტური კვლევა კი მხატვრული მიდგომების და გადაწყვეტის, ისტორიული და კულტურული წანამძღვრების ობიექტური მიზეზების გარკვევაში დაგვეხმარება.

დღევანდელ რეალობაში ხეში „ამღერებული“ ამ ორნამენტების ცქერისას, მსგავსი, ახლობელი ეროვნული ფორმათქმნადობით გამოწვეული განცდა ალბათ არაერთ მკვლევარს შეიძლება გაუჩნდეს, ეს ის ამაღელვებელი შეგრძნებაა, რომელიც საუკუნეებს მოჰყვება და ასეთი ახლობელია მნახველისათვის.

შესრულების ტექნიკის მიხედვით დეკორი შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველს ეკუთვნის ხის ზედაპირზე ამოკვეთილი მცენარეული სახეები, მეორე - ხის ზედაპირზე ფერწერულად, ზეთის საღებავებით შესრულებული ნიმუშები. ხეზე ამოკვეთილი მცენარეული ორნამენტი უფრო ძველია, ინტერიერის ფერწერული მოხატვა კი მხოლოდ ზოგიერთ ჯამეს შემკულობისთვის არის დამახასიათებელი და შედარებით გვიანდელია.

ინტერიერის მორთულობის ნახვისას, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ იქმნება ერთგვარი დეკორატიული, ორნამენტული მოტივებისგან შემდგარი სისტემა, რომელსაც თავისი შესრულების მელოდიური დასაწყისი, განვითარება და დასასრული აქვს.

მეჩეთების წარმოჩენა ეროვნული კულტურული ფენომენის, მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში ქართული ხალხური ხელოვნების მნიშვნელობის, ასევე ადგილის განსაზღვრის თვალსაზრისითაც მეტად საზრისიანია.

მიუხედავად იმისა, რომ ჯამეებში იკვეთება ისლამური არქიტექტურული ფორმა, იგი მაინც მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხურ არქიტექტურასთან, პირველ რიგში, კი ოდა - სახლის ადგილობრივ ვარიანტთან. ეს ნიმუშები ხალხის წიაღიდან გამოსული ოსტატების გამბედაობასა და შემოქმედებით თავისუფლებას წარმოაჩენს.

აჭარის მეჩეთების ექსტერიერი ძალზე სადა და უბრალოა, რასაც ვერ ვიტყვით მის ინტერიერზე. მეჩეთების ექსტერიერი თითქოს საგანგებოდ „მაღავს“ შინაგან ფორმათგანცდის შინაარს და ჩნდება იდენტობა-დაფარული

საკულტო ძეგლი, რომელიც, ერთი მხრივ, მორგებულია ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ კლიმატურ პირობებს და, მეორე მხრივ, მშენებელ - არქიტექტორს შენარჩუნებული აქვს გენეტიკურ მეხსიერებაში დაუნჯებული მხატვრული ფორმის სივრცით-მოცულობრივი გააზრება (სურ.7, სურ.8)



სურ. 7 ჩიქუნეთის ჯამე; ექსტერიერი



სურ. 8 ჩიქუნეთის ჯამე; ინტერიერი

ძალზე საინტერესოა ყურადღება გავამახვილოთ - მიჰრაბის - (სალოცავი დარბაზის მთავარი ნიშის) და ბუხრის ინტერპრეტაციის საკითხებზე.

ი. ადამიას ნაშრომის თანახმად, ბუხარი ყველაზე წმინდა და საკრალური ადგილი იყო საცხოვრებელ სახლში, მისი უძველესი სახელწოდებაა „ოხოი, ოჯახი“ (სურ. 10).

დიდ ინტერესს იწვევს აჭარული სახლის კონსტრუქციული სტრუქტურის არსი, რომელიც ასაწყობი მარტივი ელემენტებისგანაა შედგენილი და ერთმანეთთან სარტყლებით დაკავშირებული დგარებისა და „ბოყვების“ მდგრადი სისტემაა.



სურ. 9 შუახევის რაიონი, დღვანის ჯამე

„შუა ცეცხლის“ გარეშე წარმოუდგენელი იყო ოჯახის არსებობა, ცეცხლის დასანთებ ადგილს ყველგან „ოჯახს“ ეძახიან. „ოჯახი“ ანუ „ონჯაყ“, არაბულ-თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს კერას, აჭარაში ბუხარსაც „ოჯახს“ უწოდებენ. საინტერესოა კონსტრუქციული სტრუქტურის თვალსაზრისით საცხოვრებელ სახლებში ბუხრის (ოჯახის) მოწყობის ტრადიცია. უმარტივესი კონსტრუქციის საშუალებით ბუხრის მთელი სიმძიმე დაყრდნობილია ერთ ხის ბოძზე ე.წ. „დირეგზე“, რომლის სიმაღლე მიწის დონიდან საცხოვრებელი სართულის იატაკამდე აღწევს. იგი თავისი აგებულებითა და დანიშნულებით ქართული სახლის დარბაზულ სისტემაში არსებულ ე.წ. „დედაბოდს“ მოგვაგონებს [ადამია ი.].

ყურადსაღები მითითებები აქვს მოცემული მეცნიერ მ. გარაყანიძეს, იგი თავის ნაშრომში შენიშნავს, რომ მიჰრაბი, ყველაზე მთავარი და საკარალური ადგილი ე.წ. „საკურთხეველი“ მეჩეთისა თავისი სემანტიკური შინაარსით და მკაფიო დომინანტურობით მიმსგავსებულია ბუხართან. ბუხრის საკარალური მნიშვნელობა ხაზგასმულია მდებარეობით და მასზე არსებული გამოსახულებების სიმბოლური გააზრებით. ჯამეს მიჰრაბის კედლის გადაწყვეტა - მისი დომინანტური მნიშვნელობა შესაძლოა საცხოვრებელი სახლის „საკარალური“ კერიის და მასთან დაკავშირებული კომპონენტების დეკორატიული შემკულობის პრინციპით იყოს ნასაზრდოები, რაც, თავის მხრივ, მოწმობს, რომ ჯამეს მთავარი ნიშის მხატვრული გაფორმება ქართული საცხოვრებელი სახლებისათვის ნაცნობ კონცეფციას ეფუძნება [Гараканидзе М.].



სურ. 10 აჭარული სახლის ინტერიერი; ჯ.მიქელაძის ჩანახატი

აჭარული ხის ჯამეები ქართული ხალხური ხითხუროთმოდღვრული ტრადიციების უწყვეტი განვითარების მთლიანი სურათის მაგალითია. მხატვრული ფორმის ორიგინალური გარდაქმნის საინტერესო, ახლებური მხატვრული გადააზრება. ამ ძეგლებში ხილულია ძირძველი ტრადიციული არქიტექტურული ფორმის, ნაცნობი კონცეფციით გააზრებული და აგებული, სხვა სარწმუნოებას მისადაგებული ნაგებობები. ხუროთმოდღვარი აშენებს ისე, რომ სივრცით-მოცულობრივი ფორმა თავისი შინაარსით ახლობელი იყოს მისთვის, მიუხედავად სხვა აღმსარებლობისა (ძალდატანებული ისლამიზაცია), მას აქვს განსხვავებულის პატივისცემა და მასთან თანაარსებობის გრძნობა, ამავე დროს ოსტატს შენარჩუნებული აქვს გენეტიკური მემკვიდრეობა, ხალხურობა, ვიზუალური ფოლკლორის რემინისცენცია.

საკულტო ნაგებობათა ხუროთმოდღვრულ-დეკორატიული თუ სახვითი თავისებურებების გარკვევა გამოამზეურებს იმ სახვითი ტრადიციების გამძლეობას და სიძლიერეს, რაც ნიშნულად დაკავშირებულია ეროვნულ ფესვებთან და მოტივებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ადამია - ქართული ხალხური ხუროთმოდღვრება, აჭარა, წიგნი პირველი, თბილისი, 1956.
2. ი. ადამია - ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში, ძეგლის მეგობარი, 1967.
3. რ. ბარამიძე - მუსლიმური საკულტო ნაგებობანი. ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, 2010, გვ. 390-416
4. ლ. სუმბაძე - ქართული ხითხუროთმოდღვრება, თბილისი, 1985.
5. მ.ჭიჭილეიშვილი - მეჩეთების მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურებანი. ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, 2010, გვ.445-458
6. ჯ. ვარშალომიძე - ქართული ხალხური ხუროთმოდღვრულ-დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები 1, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმი, 2007.
7. ჯ. ვარშალომიძე - ჯამეების ტრადიციული დეკორი. ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, 2010, გვ.417-444
8. Гараканидзе М., Грузинское деревянное зодчество, Тбилиси, 1959.

რეზიუმე

აჭარის ხის მეჩეთები გარეგნული ფორმით აჭარაში გავრცელებული საცხოვრებელი სახლების მსგავსია. ისინი ქართული ხალხური ხითხუროთმოდვრების მნიშვნელოვანი, უნიკალური ქმნილებებია. სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, მეჩეთების უმრავლესობა აგებულია XIX -XX საუკუნეებში, ადგილობრივი ან მოწვეული ლაზი ოსტატების მიერ. ჯამეები თავისი არქიტექტურული ფორმით და გამშვენების დეკორატიული სისტემით ნათლად ასახავს ქართული ხალხური ხითხურობის ტრადიციების უწყვეტი განვითარების მთლიან სურათს, რაც მხატვრული ფორმის ორიგინალური გარდაქმნის საინტერესო მაგალითია. მეჩეთების ფუნდამენტური კვლევა გამოამზეურებს იმ არქიტექტურული ფორმის თუ სახვითი ტრადიციების გამძლეობას და სიძლიერეს, რაც ნიშნულად დაკავშირებულია ეროვნულ საწყისებთან

Mosques of Adjara “Jame” as monuments of Georgian wooden architecture

Dzidziguri M., Kvachadze N.

Resume

The wooden mosques of Adjara are similar to typical houses spread in this region. These unique and important monuments are examples of Georgian wooden carpentry. According to scientific literature, most mosques are built in XIX-XX centuries by local or invited Laz masters.

“Jame” with their architectural form and decorative systems clearly demonstrate the complete picture of the continuous development of the Georgian wooden carpentry traditions, which is an interesting example of artistic form’s unique transformation.

The fundamental research of the mosques will reveal the strength and firmness of the architectural form or fine arts traditions that are precisely associated with the national origins.

**Мечети Аджарии "Джаме", как памятники грузинского
деревянного зодчества**

Дзидзигури М., Квачадзе Н.

Резюме

"Джаме"- по архитектурной форме и системе декора уникальные творения грузинского деревянного зодчества. По своей форме они похожи на жилые дома, распространенные в регионе. Согласно научной литературе большинство мечетей построены в XIX-XX веках местными или приглашенными мастерами - лазами. Они наглядно иллюстрируют всю картину непрерывного развития традиций грузинского народного деревянного зодчества, что является интересным примером оригинальной трансформации художественной формы. Фундаментальное исследование мечетей выявит мощь и устойчивость традиций форм архитектуры и изобразительного искусства знаково связанных с национальными истоками.

„XIX საუკუნის ქ. თბილისის საცხოვრისის არქიტექტურული თავისებურებანი“

თ. ჭანტურია

ასოც.პროფ.

XIX საუკუნის შუა პერიოდში თბილისში (ტიფლისი) საქართველოს სამხედრო გზით შემოსულებს, სამხედრო გზას შუა საუკუნეების ქართულ დოკუმენტებში უწოდებდნენ „სარუსეთო გზას“ მოსკოვის კარიბჭეზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი), თანამედროვის განმარტებით ხვდებოდათ „მრავალაივნიანი“ ქალაქი.

დამახასიათებელ „კოლორიტულ“ არქიტექტურულ სახეს, შექმნილს XIX საუკუნეში ქალაქის ცენტრში (ახლანდელი თავისუფლების მოედანი, შოთა რუსთაველის პროსპექტი) განაპირობებდა 2–3 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, ფართო, ჩამოკიდებული აივნებით. ეს მოტივი წამყვანი იყო ქალაქის ძველ უბნებში ფეოდალურ პერიოდში, სადაც ირიბ, ვიწრო ქუჩებში, რეკომენდებული იყო გევლოთ მხოლოდ მაშინ, თუ თან გქონდათ „არიადნას“ ძაფები (თანამედროვის ხუმრობა).

არქეოლოგიური გამოკვლევები გვიმტკიცებს, რომ თანამედროვე თბილისის ტერიტორია და მისი შემოგარენი, განსაკუთრებით თბილი გოგირდის წყაროების მიდამოებში (საიდანაც წარმოიშვა ქ. თბილისის სახელი) უკვე დასახლებული იყო 5–6 ათასი წლის წინათ. III–IV საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო დასახლებული იმ მოსახლეობით, რომელთაც ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობები „ბაქტრიი“, „პარფიი“. ბოსფორსა და რომთან. IV საუკუნის მატთანეში თბილისი მოიხსენიება, როგორც ქალაქი–ციხე სიმაგრე. სასურველი გეოგრაფიული, სტრატეგიული და ეკონომიკური განლაგების გამო VI საუკუნეში ის ხდება ადრეულ–ფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ქართლის „სამეფო“ ე.ი. დედაქალაქად. ბევრი გადახდა თბილისს შემდგომი საუკუნეების განმავლობაში. აღორძინების ხანა (შუა საუკუნე), როგორც გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო და დაღმავლობის ხანა (გვიანი შუა საუკუნე) და საუკუნეები, როდესაც არ წყდებოდა დამანგრეველი თავდასხმები სხვადასხვა ტომების დამპყრობლებისაგან, მაგრამ თბილისი ყოველთვის რჩებოდა პირველ ქალაქად, განმათავისუფლებელი ომების მებრძოლად, მეცნიერების, კულტურის, მოხელეების ცენტრად მთელს საქართველოში.

ისტორიული იყო საქართველოსთვის, თბილისისათვის რუსეთთან შეერთება. ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს ქართლ-კახეთის სამეფოსი (1801 წ.), ხოლო შემდგომ, ზედიზედ ყველა პროვინციის. მიუხედავად მეფის კოლონიური პოლიტიკური რეჟიმისა, თბილისი ხდება კულტურული და ეკონომიკური ცენტრი არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელი ამიერკავკასიის. ის ჩქარა იზრდებოდა.


ჩვენ გვანტერესებს საცხოვრისის მშენებლობა თბილისში, მისი ევოლუცია XIX საუკუნის პირველ ნახევარში. XIX საუკუნეში, განსაკუთრებით (1796 წ.) აღა-მაჰმად ხანის გამანადგურებელი თავდასხმების შედეგად, ქალაქში ცოტა რამ დარჩა. ვერ გადარჩა არა მარტო ღარიბთა საცხოვრისები, არამედ კაპიტალური შენობებიც. არ დარჩენილა დოკუმენტური მასალაც. არასრული სურათი შეიძლება შევქმნათ მხოლოდ შემორჩენილი სამი გრაფიკული დოკუმენტიდან – მოგზაურთა ჩანახატებიდან. შარდენით ტურნეფორი და გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის და ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის (1735 წ.) ქალაქის გეგმით. შედგენილი მასალა შეიძლება შეივსოს დამატებითი აღწერებით.

აღსანიშნავია ირანულმუსულმანური საერო არქიტექტურა. როგორი იყო საცხოვრისის არქიტექტურა „ქართულ ყაიდაზე“, საცხოვრისის მკვეთრად გამოხატული სოციალური დიფერენციაცია. მეფური სასახლეები, ფეოდალებისა და ვაჭრების სასახლეები, საზოგადოებრივი სახლები (ქარვასლა და აბანოები) შენდებოდა მდიდრულად „სპარსულ ყაიდაზე“).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობდა მშენებლობის სამი ტიპი: 1. ე.წ. „ბანიანი სახლი“ (სახლი ბრტყელი გადახურვით, თიხით. ერთსართულიანი (სიმაღლე 15 ფუტამდე), კედლები აგურის ან კირით გალესილი. ოთახები თბებოდა ბუხრით. სახლები განლაგებული იყო იარუსებად იმდაგვარად, რომ ქვედა სართულის გადახურვა ასრულებდა ზედა სართულის ეზოს ფუნქციას.

2. ე.წ. „დარბაზი“ გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში უძველესი დროიდან. ძირითადი ტიპი – ერთსართულიანი, საკმაოდ დიდი, ოთხკუთხედი საცხოვრებელი, გადახურული ხის მორებით, რომლებიც აწყობილია „კარვის“ პრინციპით („გვირგვინი“), შუაში სხივ-კვამლის ხვრელით („ერდო“) გადახურვა ეყრდნობა „ორ ან ოთხ“ „დედა-ბოდს“. შენობის შუაში იყო კერა („კერა“). „დარბაზი“ იყო სოფლური, ქალაქური, გლეხური, კეთილშობილური და გამოირჩეოდა სიდიდით, ოთახების რაოდენობით, მისი მოწყობით და ა.შ. (სურ. 1)

3. ორ – სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლი – კოშკი („კოშკი“). ყოველ სართულზე თითო ოთხკუთხედი ოთახი, ბრტყელი გადახურვით, სართულები ერთდება კედლის სისქეში დაფარული კიბით.



სურ. 1

საცხოვრისის 1-მა ტიპმა ე.წ. „ბანიანმა სახლმა“ შეწყვიტა არსებობა XIX საუკუნის მეორე ათწლეულში. ე.წ. „დარბაზი“ არსებობდა XX საუკუნის დასაწყისამდე (ვიზუალურად და ძლიერ შეცვალა ფუნქციონალური გეგმარება და მხატვრული პარამეტრები). ასევე სახე იცვალა საცხოვრისმა „კოშკი“ (ის წყვეტს არსებობას XIX საუკუნის 30 –იანი წლებიდან).

უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო საცხოვრისის საინტერესო ევოლუცია მისი ფუნქციის, გეგმარების, მხატვრული გადაწყვეტის. სოციალურმა და ეკონომიკურმა მოძრაობებმა შეცვალა ცხოვრების სტილი.

ამასთან ერთად, შეიცვალა ახალი, გაზრდილი მოთხოვნები საცხოვრისის მიმართ საცხოვრისი, როგორც იტყვიან „გამოდის მიწიდან“ ღია სინათლისკენ, ხდება უფრო დიდი, მაღალი, ნათელი.




სურ. 2

უცვლელი რჩება მთავარი მოთხოვნები. ახალი საცხოვრისის არქიტექტურას განაპირობებს კლიმატი, რელიეფი, ადგილობრივი ცხოვრების პირობები. ასე გაჩნდა ე.წ. „თბილისური საცხოვრისები“ საფილანდრო ოთახების განლაგებით საცხოვრისის ახალი ტიპი: მრავალწლიანი ადგილობრივი ტრადიციებისა და ჩამოტანილი რუსული კლასიციზმის ორგანული შერწყმის საფუძველზე. დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ იმავე წლებში ოფიციალური მშენებლობები (სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი შენობები) ხორციელდებოდა „უმაღლესად აპრობირებული პროექტებით“, გვიანი რუსული კლასიციზმის სტილში, მაგრამ ადგილი არ ჰქონდა ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებს.

საცხოვრისების ახალ ტიპებს თანმიმდევრულად ცვლიან სხვა ტიპები, რომლებიც პარალელურად აგრძელებენ არსებობას და უკვე XIX საუკუნის

40-იან წლებში იკავებს წამყვან პოზიციებს საცხოვრისების მშენებლობებში თბილისში.


ეს ხდებოდა თანდათანობით. 10-იანი წლების ბოლოდან აპროექტებდნენ და აშენებდნენ ე.წ. „სამაგალითო“ (ე.წ. ტიპიური) ფასადებით, აუცილებელი იყო ფასადის სიზუსტით შესრულება, ხოლო საცხოვრისის შიდა განლაგებას წყვეტდა შემკვეთი თავისი შეხედულებებით, რელიეფის. კლიმატის, ცხოვრებისეული კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. 30-იანი წლების დასაწყისში ალაგ-ალაგ, ფასადებზეც ჩნდება სპეციფიკა.



სურ. 3

არქიტექტურულ – მხატვრული თავისებურებანი „თბილისის საცხოვრისის,, ის 2-3 სართულიანია. უმეტეს შემთხვევაში მისი ფასადი განთავსებულია ეზო-კურდოვერის ირგვლივ, რომელიც ქუჩიდან გამოყოფილია მაღალი გალავნით, რომელსაც აქვს ალაყაფის ჭიშკარი. ზოგ-ჯერ ჭიშკრის ზემოთ მოწყობილია ღია აივნები ე.წ. „საჭორიკნო“, ღია, ეზოში გამოტანილი კიბეები, რომელსაც ავყავართ ზედა სართულების აივნებზე.

აივნების გასწვრივ განლაგებულია ოთახების კომპლექტი. 40-იანი წლებიდან ჩნდება ჩამოკიდებული აივნები მეორე სართულზე ქუჩის მხრიდან (ზოგჯერ კი შენობის მთელ პერიმეტრზე). აივნები ზომით საკმაოდ ფართეა და ფართით თითქმის არ ჩამოუვარდება საცხოვრებელ ოთახებს. ამ ოთახების მიკროკლიმატი მუდმივად ნორმალურია. განსაკუთრებით საინტერესოა ამ სახლების სივრცითი გადაწყვეტილებები: გალავანი, მის შემდეგ ეზო-კურდოვერი, კიბეები, გადასასვლელები, აივნები ბრტყელი, გალესილი კედლების ფონზე. აღმოსავლეთის მხით განათებული ეს სახლები ძალიან შთამბეჭდავად გამოიყურება. დეტალები გამოყენებულია „რუსული კლასიციზმის“ სტილის არსენალიდან (კარის და ფანჯრის პროფილები, აივნები, ტუსკანური და დორიული სვეტები და ა.შ). ის ხაზს უსვამს შექმნის და არქიტექტურულ კომპოზიციის ხასიათის ეპოქას. ულამაზესი პროპორციები, გადამუშავებული ხისთვის, ტოსკანური ორდერი (ზოგჯერ სვეტები ორ სართულიან მონაკვეთზეა გაჭიმული) ამ შენობებს აძლევენ კლასიკურობას. აქ უნდა ვეძებოთ ძველი ქართული მონუმენტალური არქიტექტურა. (აივნების მოაჯირის მოჩუქურთმებული ორნამენტის ფიგურა, აივნების შემინვა ფერადი მინებით და სხვა) უმატებს „ეგზოტიკას“. ყველაფერი ეს ერთად ქმნის XIX საუკუნის პირველი ნახევრის ე.წ. თბილისის სახლების“ არქიტექტორულ ხიბლს.



სურ. 4

XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში მოხდა თბილისის საცხოვრისების პირველი კარდინალური ცვლილებები. „თბილისური სახლების“ მშენებლობა გაგრძელდა 60-იან წლებშიც, „მაგრამ ეკლექტიზმის ტალღამ ქალაქის საცხოვრისების მშენებლობა სხვადასხვა სტილში გადაიყვანა. ჩნდება რენესანსის სტილის ფასადები, გოტიკა, ბაროკო და ა.შ. მაგრამ სახლის დაგეგმარება, განსაკუთრებით მისი ეზო დიდხანს ინარჩუნებს ადგილობრივ სპეციფიკას: ხის აივნები, გადასასვლელები, დაფარული კიბეები და სხვა.


XIX საუკუნის პირველ ნახევარში ევოლუციის განვითარების სრული სურათისათვის ავლნიშნავთ თითო სახასიათო მაგალითს შემორჩენილი ნიმუშებიდან. ქალაქის ძველ ნაწილში, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გამოცხადებულია აკრძალულ ზონად, ისტორიისა და კულტურის ძეგლად.



სურ. 5

ჩხოვის ქუჩაზე მდებარეობდა „დარბაზის“ ტიპის საცხოვრებელი სახლი. (შენარჩუნებულია ჩანახატი (დეტალების ზომებით) გერმანელი მხატვრის კარლ ცაარის მიერ. მასზე გამოსახულია სახლის ინტერიერი. „დარბაზი“ ეკუთვნოდა ფორაქიშვილების ოჯახს. ამ დრომდე შენარჩუნებულია სახლის ძლიერ დაზიანებული ნაწილი.

შენობა ყველა მხრიდან დაცულია ორსართულიანი სახლებით. არ არსებობს გადახურვა: „გვირგვინი“, საყრდენი სვეტები და ა.შ., მაგრამ დარჩენილი კედლები, მისი ნიშები, კედლის კარადები, სარდაფი და ა.შ. აგრეთვე ცაარის ნახატი – ნახაზი იძლევა შესაძლებლობას შექმნილიყო აღდგენის პროექტი (არქიტექტორი ლ. სუმბაძე). მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ამ „დარბაზის“ რეკონსტრუქციისათვის, ალბათ XIX საუკუნის პირველ ნახევრის ყველაზე ძველი და ტიპიური ნიმუშის შენარჩუნების მიზნით.



სურ. 6

გეგმაშია ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ წაგრძელებული მთავარი ოთხკუთხედი შენობა. ე.წ. „დარბაზი“ აქვს ორი სვეტი, რომელსაც ეყრდნობა თოთხმეტწახნაგიანი ბლოკიანი გადახურვა „გვირგვინი“. ჭრილი გვირგვინში დაფარულია ფანრით, რომელიც საჭიროა ოთახის გასანათებლად. „კერა“ რა თქმა უნდა უკვე აღარ არის ოთახი თბება კედლის ღუმელით. ჩრდილოეთიდან „დარბაზს“ ემიჯნება პატარა ოთახი (შემოსასვლელი), მასთან ოთხკუთხედი ოთახია. „დარბაზის“ აღმოსავლეთ კედლის სისქეში არის კიბე რომელსაც სარდაფში ჩავყავართ – სადაც მაცივარი და ჭაა.


ესაა ტიპური „დარბაზი“, რომელიც მრავალმა მოგზაურმა აღწერა. ჩანაწერებში საუკეთესო მეთოდებზე თუ როგორ გაშენდეს ქ. ტიფლისი ხელახლა ა. გრიბოედოვი (1827წ.) წერდა: „დარბაზი“ გასაგრძელებლად და ჯანმრთელობისათვის ძალიან სასარგებლოა (ჰაერის მოძრაობა) და სახლის შიგნით მეტი სიგრილე და ნაკლები სინათლეაო.

ავლევის ქ. №4-ში ეს არის ტიპური შენობა „კომპისა“. ის არის შუა საუკუნეების საქართველოს საცხოვრისის მშენებლობის ანალოგი, როდესაც სახლი ითავსებდა როგორც საცხოვრებლის ფუნქციას, ასევე თავდაცვის. სახლი ოროთახიანია, ორსართულიანი. თითოეულ სართულზე და სარდაფში ერთნაირი სიდიდის სამზარეულო. აღსანიშნავია კედლის კარადების სიმაღლე და ხასიათი: სარდაფში (2.70 მ) კარადები ღრმა პროდუქტების შესანახად. საცხოვრებელ ოთახში 3.10 კარადები არის გამოსადეგი უჯრებით ჭურჭლის შესანახად. საძინებელში (3.40 მ) მოწყობილია ღრმა ნიშები ლოგინების შესანახად და უჯრიანი კარადები თეთრეულის შესანახად. იატაკი სამზარეულოში და საცხოვრებელ ოთახებში აგურისაა, ხოლო საძინებელში ხის. ოთახები ერთმანეთთან ერთდება ვიწრო კიბით, რომელიც გვერდითი კედლის სისქეშია ჩატანებული. კიბე ადიოდა ბრტყელ სახურავზე. ოთახებს მიშენებული აქვს აივნები ეს ახალი მოტივია, რომელიც დამახასიათებელი არ არის სახლი „კომპისთვის“. ორივე სართულზე ფანჯრები ოთხკუთხედიანია, მაგრამ თუ პირველ სართულზე მისი ჩარჩო ინარჩუნებს იგივე ფორმას, მეორე სართულზე გაფორმებულია. (შემდგომში ოთხკუთხედი ფანჯრები შენარჩუნდება მხოლოდ პირველ სართულზე, ხოლო მეორეზე გამოყენებული იქნება თაღოვანი ფანჯარა). მეორე სართულის აივანი აქვს ხითაა შემოღობილი. სვეტების პროპორციები აშკარად გაჭიმული და მსუბუქია. საპირფარეო განთავსებულია ეზოში. აქ საკმაოდ წარმატებული მცდელობაა „შეიფუთოს“ საცხოვრებლის ძველი ფორმა ახლით. ზოგიერთი დეტალები (კიბე კედლის

სისქეში, ბრტყელი გადახურვა, კედლის კარადები და თაროები და ა.შ.) კიდევ დიდხანს XIX საუკუნის 40- იან წლებამდე შენარჩუნდება.

გელათის ქ №6-ში თითქმის სრულად სახეცვლილ მდგომარეობაში შემონახულია ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ჰორიზონტალურად განლაგებული ორი ოთახით ე.ი. აქ საცხოვრებელი სახლის ანფილადურ სტილზე გადასვლის მცდელობაა (ცხრ. 6). გვერდითი კედლის სისქეში იყო კიბე ბრტყელ სახურავზე ასასვლელად. გადარჩენილი ფრაგმენტებიდან და თვითმხილველთა მონაყოლიდან კეთდება დასკვნა, რომ მთელი ფასადის გასწვრივ სახლი დაფარული იყო კედლით გალავნით (პუნქტირი გეგმაზე), რომლის ცენტრშიც იყო შესასვლელი ჭიშკარი. კედელს ჰქონდა ეზოს გასანათებელი ნიშები, კედლის ხის დარაბებით. (ეს მეთოდი ხშირად მეორდებოდა უფრო ძველ მშენებლობებში).

გრძივი მიმართულებით წაგრძელებული, გეგმით ოთხკუთ-ხედი ოთახები ერთმანეთთან ერთდებოდა ერთი კარით. ოთახის კედლებში მოწყობილია კარადები, ნიშები, ბუხრები. ყველა ოთახს აქვს თითო კარი ეზოში გასასვლელად, კარის ორივე მხარეს თითო ფანჯარა. ეს ორი (კარი და ორი ფანჯარა) ბრტყელ კედელზე, ინდივიდუალურად გადაწყვეტილი კლასიკური დეტალებით არის ერთადერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი აქცენტებით. გამოშვერილი (არქიტრავი) გადახურვა ეყრდნობა პროფილირებულ ხის კონსოლებს. დამახასიათებელი მოცემული ეტაჰის განვითარებაში არის ოთხკუთხედი ფანჯრის დაყოფა რვა ოთხკუთხედედად. ალავერდის პროსპექტი №2-ში არსებული სახლი არის ერთერთი დამახასიათებელი მაგალითი „თბილისის საცხოვრისის“, მას „ლერმონტოვის სახლს“ ეძახიან, რადგან მასში მოთავსებული იყო ჰაუტვახტი და ჩამოსული კავკასიაში გადასახლებული მ. ლერმონტოვი (თანამედროვეების მონაყოლით) იქ ჩერდებოდა.



სურ. 7

მშენებლობა არაერთდროულია: სახლის მარჯვენა ნაწილი (დამახასიათებელი ქვის სვეტებით, ადგილობრივ ტრადიციებთან მიახლოებული ინტერპრეტაციით, ადრეული ტიპის არქივოლტებით, ოთხკუთხედი ფანჯრებით) უფრო ადრეულია, ალბათ 30 –იანი წლების. ამის მიუხედავად მთელი კომპოზიცია სახლის ორივე ნაწილისა იკითხება ერთიანი გეგმით. აქ ყველაფერი ემთხვევა „თბილისური სახლების“ სტილისტურ თავისებურებებს – გალავანი ჭიშკრით, ეზო კურდღვერი, ღია კიბეები, ოთახების განლაგება, სვეტებზე დაყრდნობილი აივნები (მარჯვენა მხარეს), გამოწეული ფართე აივანი მეორე სართულზე სახლის მარცხენა მხარეს, ულამაზესი, ამაღლებული პროპორციები, ამპირული დეტალები აღმოსავლურ მოტივებზე (სხვადასხვა ფერის მინები, მოაჯირის მოხატულობა და ა.შ.)

საცხოვრისის ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა დაგვანახა არქიტექტურის განვითარება თბილისის საცხოვრისის მშენებლობაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში. იყო, რა თქმა უნდა უფრო ზუსტი ნიუანსები, გადახრები, შუალედური მაგალითები, მაგრამ ევოლუციის მთავარი ხაზი განსაკუთრებით გამოიკვეთება ამ ეტაპებზე და სხვა მაგალითებზე.

1979-80 – იან წლებში უშუალოდ მე ვმონაწილეობდი გაზომვით სამუშაოებში, ფოტოგრაფიაში, სახლის აზომვითი ნახაზების შესრულებაში შანთელის და ჩახრუხადის ქუჩებზე, ძველი ქალაქის იმ მონაკვეთზე, სადაც იწყებოდა თბილისის უძველესი, მთავარი არტერია. ამ სამუშაოს (ხელმძღვანელი იყო დოცენტი შ. გოგოლაძე) მიზანი იყო დაფიქსირებულიყო სახლების რეალური განლაგება უბნებში არტერიის გარშემო და თვით არტერიაზე, რომელიც წარმოდგენილი იყო ქალაქ- მშენებლობის ისტორიასა და კულტურაში VI–XIX საუკუნის ძეგლად და უნდა შევიდეს მრავალტომეულის მომზადებულ ტომში, რომელიც მიემდვნა ტბილის „საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლები“. სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოს ძეგლთა ისტორიისა და კულტურის დაცვის გამომცემლობაში, საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის დაკვეთით.

ის ორი სახლი რომლის სამეცნიერო ფიქსაციაშიც მე ვმონაწილეობდი, არ მიეკუთვნებოდა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კატეგორიას, მაგრამ მათ ჰქონდათ გარკვეული დატვირთვა, როგორც „ისტორიული“, შექმნილი მრავალი საუკუნის განმავლობაში, ისე XIX საუკუნის ობიექტები სახასიათო არქიტექტურული, სტილისტური ხასიათითაც.

აზომვითი სამუშაოების შემდეგ ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლის მიზანი იყო ქალაქის ძველი უბნების აღდგენა და რეგენერაცია. ამ სამუშაოების დროს გამოყენებული იყო ჩვენს მიერ შესრულებული აზომვითი ნახაზები.

ჩახრუხადის ქ. № 31-ში, ეს სამსართულიანი Γ-სებრი საცხოვრებელი სახლი, მისი ორი ფასადი გამოდიოდა ეზოში. ეს იყო არაერთდროული მშენებლობა – ცენტრალური ნაწილის ორი სართული ალბათ აშენებული იყო 30-იან წლებში, ხოლო მარცხენა სამსართულიანი ნაწილი ისე როგორც დაშენება ცენტრალურ ნაწილზე უფრო გვიან (50-იანი წლები). ამის დადასტურებაა სახლის ცენტრალურ ნაწილში „ბრწყინვალე ხის“ (დორიული) ფანჯრების და კარების დაყოფა პატარა კვადრატებად. შეუწყვეტელი და თავისუფალი ინტერპრეტაცია – მეორე სართულის ეს ფანჯრები, ღია კიბის

არსებობა (კიბე მეორე სართულამდე კედლის სისქეშია), რომელსაც ავყავართ მეორე სართულზე, კედლის ნიშები და სხვა. სახეზეა ადრეული ხანის თბილისის საცხოვრისის ძირითადი კომპოზიციები, ატრიბუტები.

მარცხენა მიშენებაში და მესამე სართულზე კიბე შიგნითაა სვეტები და მოაჯირი შაბლონურია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე სართულის მოაჯირი გაკეთებულია ბალასინით.

ჩახრუხადის ქ. №31-ში რეკონსტრუქციის დროს ვფიქრობ უნდა დაგვეცვა შემდეგი პირობები: მაქსიმალურად უნდა გამოგვევლინა სამშენებლო-არქიტექტორული შრეები პირველი და მეორე სართულის ცენტრალური ნაწილის ეზოს მხრივ ფასადში, რომელიც დამალული იყო პირველი სართულის შემინვაში, როგორც უფრო ადრეული და ფასეული. შენახულიყო თბილისის ეზოების დამახასიათებელი დაყოფილი ფასადი, რომელიც ქმნიდა საჭირო საუკუნეების განმავლობაში შექმნილი მშენებლობის მასშტაბს. შენარჩუნებულიყო ეზოში გამოტანილი კიბე მეორე სართულზე. მარცხენა მხრივი მიშენება და მესამე სართულის დაშენება.

რეკონსტრუქციის დროს გადაწყდა, აქ მოწყობილიყო რესტორანი („მუხრანთ უბანი“) რამაც გამოიწვია მრავალი გაუთვალისწინებელი გადაკეთება და მიშენება.

შეიძლება ითქვას, რომ მივიღეთ ახალი სახლი გაბარიტებით და მასშტაბით, რომელიც არ გავდა ძველს. ძველს გვახსენებს მხოლოდ სვეტები და კარფანჯრები, მეორე სართულზე. ბოლო მოტივაციის განმეორება მესამე სართულზე სრულიად არალოგიკურია. მთლიანი კომპოზიცია და ცალკეული დეტალები (ჭიშკარი, რკინის გალავანი, რესტორნის ემბლემა და სხვა) ქმნიან სადღესასწაულო და პომპეზურ ატმოსფეროს.

შანტელის ქ. №13; II – სეზრი სამსართულიანი სახლი. ეზო კურდოვერი მიმართულია ქუჩისკენ. ერთი სართული ქუჩაზე დაბალია. ოთახები თანმიმდევრობითაა განლაგებული, ეზოს გალერეის სამივე მხარეს. მესამე სართული დაშენებულია მხოლოდ მარჯვენა ფლიგელზე და სახლის ცენტრალური ნაწილის ნახევარზე. პირველ და მეორე სართულს აკავშირებდა ღია ეზოში გამოტანილი კიბე, ხოლო მეორე და მესამე სართულს აკავშირებდა აივანგალერეის გაბარიტებში გამოტანილი კიბე. სახლის მარჯვენა ნაწილის ოთახები ნათდებოდა ფანჯრებით, რომელიც მდებარეობდა შანტელის ქუჩის პერპენდიკულარულად (ეს ქუჩა მტკვრისკენ ჩადიოდა). ოთახების ძირითადი განათება იყო ეზოს მხრიდან, ფანჯრებიდან და კარებიდან, რომლებიც აივან-გალერეაზე გამოდიოდა.

ამ სახლს აზომვების დროს თითქმის მთლიანად ჰქონდა დაკარგული ადგილობრივი სპეციფიკური ხასიათი საცხოვრისის არქიტექტურისა. ე.წ. 50-იანი წლების, გამარტივებული პროფილი, ფანჯრები, კარნიზები, მიგვანიშნებს ავტორის დაბალ პროფესიონალიზმზე. გამოწეული რკინის აივნები და რკინის გისოსები წინა კარებზე არის ამ ეტაპის სტილისტური ნორმა. ამ სახლში ხის სვეტები, მოაჯირები თითქმის სტანდარტული – შაბლონურია.

ამ სახლში არის ნაწილები, რომლებიც ამტკიცებენ რომ ის გადაკეთებულია. უფრო ადრეული (ალბათ 20–30 –იანი წლებში) დარჩენილია: პირველი სართული (ძლიერ გადაკეთებული), ეზოში გამოტანილი კიბე, სამ ოთახში მოწყობილი ნიშა და სხვა. სახლის პირველი ნაწილის კუთხის ოთახში განთავსებული იყო ფეხსაცმლის სახელოსნო (XX საუკუნის 30 –იანი წლები) აღმოაჩინეს ფასადის გაწმენდის დროს რეკონსტრუქციული სამუშაოების ჩატარებისას.

ამ სახლის რეკონსტრუქციის დროს შეინარჩუნეს ძირითადი ფორმა (იქ განთავსებულია სახმართველობა). დაშვებულია შეცდომები. არა გამოკვეთილი ვარდისფერი ფონით სახლი გადაიქცა „მნიშვნელოვან“ ობიექტად. მას აქვს პრეტენზია გვერდით მდგარ მხატვრულად გაფორმებულ საინტერესო საცხოვრებელ სახლთან შანტელის ქ. №8 -ში ჩამოკიდებული ხის აივნებით (XIX საუკუნის 30–40 იანი წლები). ამას ადასტურებს სახლის მარცხენა ფლიგელის ფერი მუქი ალუბლის ფერი.

განხილული ორი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ძველი ქალაქის რეკონსტრუქციის დროს უფრო საფუძვლიანად ,მეცნიერულად უნდა მივუდგეთ ამ შენობებს. არ გავალამაზოთ ზედმეტად. ამან შეიძლება მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდე. ქალაქი, მითუმეტეს ძველი ქალაქი. მისი არქიტექტურა არის მრავალი საუკუნის შედეგი. სარეკონსტრუქციო სამუშაოებში მთავარი და მეორეხარისხოვანი უნდა გავითვალისწინოთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შევინარჩუნოთ ქალაქის არქიტექტურის ევოლუციური განვითარების სურათი, მით უმეტეს მისი მთავარი თემის – საცხოვრისის არქიტექტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პოლიექტოვი მ.; ნათაძე გ.
ძველი თბილისი თანამედროვეების ნაწარმოებებში; თბ.; 1929 წ.
2. ჩუბინიშვილი გ.; სვეროვი ი.
მოხსენება წაკითხული 21 თებერვალს საბჭოთა არქიტექტორების 1 ყრილობაზე საქართველოში. თბ.; 1936 წ.
3. ცინცაძე ვ.
ძველი ქალაქის არქიტექტურა და საცხოვრებელი სახლები XIX საუკუნის პირველ ნახევარში.; თბ.; 1958 წ. გვ. 71–109
4. ბერიძე ვ.
1801–1917 წწ თბილისის არქიტექტურა.; თბ.; 1960 წ. გვ. 64–127
5. ჯამბერიძე ნ. ; კარბელაშვილი მ.; კინწურაშვილი ს.
თბილისის არქიტექტურა, გზამკვლევი.; თბ.; 1967 წ. გვ. 129–136
6. კინწურაშვილი ს.
ძველი თბილისის მარშრუტები; თბ.; 1966 წ.
7. კინწურაშვილი ს.; ტყემელაშვილი ო.
თბილისი. ალბომი; თბ.; 1921 წ.
8. კინწურაშვილი ს.
საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა
მ.; 1974 წ. გვ. 12
1. Джанберидзе Н. Мгалоблишвили Н. Архитектура Советской Грузии. Стройиздат 1986.
2. Квирквелия Т. Архитектура Тбилиси. Тбилиси 1982
3. Джанберидзе Н. Грузинская Советская Архитектура./Путь развития /Тбилиси 1971.

რეზიუმე

განიხილება საკითხები ქ. თბილისის საცხოვრისის არქიტექტურული ევოლუციისა XIX საუკუნის 5–6 ათწლეულის განმავლობაში. ასევე, საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801 წელი) და სოციალური წყობის ცვლილებებთან დაკავშირებით ქალაქურ ცხოვრებაში წარმოქმნილი თანმიმდევრობითი ცვლილებები საცხოვრისის ფორმებში, კომპოზიციებსა და დეტალებში.

განიხილება შეხედულებები, ძველი ქალაქის სახლების მშენებლობის თარიღსა და არქიტექტურულ ხასიათზე, შენიშვნები სახლების რეკონსტრუქციისა და რეგენერაციის მეთოდებზე.

Architectural features of the XIX century Tbilisi buildings

T. Chanturia

Resume

The issues of the architectural evolution of the housing stock of Tbilisi during 5-6 decades of the XIX century are discussed. Also, sequential changes in housing forms, compositions and details, regarded to uniting with Russia (1801) and the social order alteration.

It discusses the views on construction dates and architectural characteristics of houses from the old city, the remarks regarding reconstruction and regeneration methods.

«Архитектурные особенности Тбилисских корпусов XIX века »

Чантурия Т.

Резюме

Аннотация по теме:

Обсуждаются вопросы архитектурной эволюции жилого фонда Тбилиси в течение 5-6 десятилетий XIX века. Изменения в общественной жизни Грузии в связи с Россией (1801) и изменения общественного порядка в жилищных формах, композициях и деталях.

Обсуждаются виды на строительство двух домов старого города и архитектурный характер реконструкции и регенерации домов.

რედაქტორები: ნ. ქაფიანიძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია

გადაეცა წარმოებას 10.10.2019, ხელმოწერილია დასაბუქდად 03.04.2020. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11,5.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



Verba volant.
scripta manent